საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №92 (2792) შაბათი, 18 აპრილი, 1998 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისს გარეთ – 45 თეთრი.

### პრეზიდენტის ფოსტიდან

## თანადგომა და მხარდაჭერა — ყოველი მხრიდან

კანადის ხელისუფლება და ხალხი მხარს უჭერს საქართველოს ხელისუფლებას და მის წარმატებებს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით. ამას ადასტურებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სახელზე მოსული წერილი, რომელსაც ხელს კანადის პრემიერ-მინისტრი ჟან კრეტიენი აწერს.

წერილში ხაზგასმულია, რომ „საერთაშორისო ორგანიზაციები დიდად აფასებენ ედუარდ შევარდნაძის ძალისხმევას ქვეყანაში კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის და მხარს უჭერენ მის ყოფნას საქართველოს ხელისუფლების სათავეში".

საქართველოს პრეზიდენტისადმი თანადგომასა და უღრმეს პატივისცემას გამოხატავს სტამბოლის პატრიარქი ბართლომე, რომლის წერილი ედუარდ შევარდნაძისადმი აღსავსეა საუკეთესო სურვილებითა და ლოცვა-კურთხევით. პატრიარქი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს სწერს, რომ გამაოგნებელი თავდასხმის შემდეგ იგი მუდმივად მათს ლოცვებსა და ფიქრებშია. „ჩვენ ვლოცულობთ, რათა თქვენზე განხორციელებულმა თავდასხმამ კიდევ უფრო გაგამაგროთ, როგორც მსოფლიოს დიდი სახელმწიფო მოღვაწე და ლიდერი, მეტ წარმატებებს მიაღწიოთ დემოკრატიის მშენებლობაში, ნდობის აღდგენასა და თავისუფალი ქართველი ხალხის ოცნებების ასრულებაში", ნათქვამია პატრიარქ ბართლომეს წერილში.

სტამბოლის პატრიარქი მამობრივ ლოცვა-კურთხევას უგზავნის ქართველ ხალხსა და მის პრეზიდენტს და ევედრება უფალს, არ მოაკლოს მათ მოწყალების ხელი.

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.**

### ღირსეულნი

## საქართველოში მუდამ ვიმღერებ

ზურაბ ანჯაფარიძის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, თბილისში სხვა მუსიკოსებთან ერთად ჩამოვიდნენ გამოჩენილი ქართველი მომღერლები - მაყვალა ქასრაშვილი და ზურაბ სოტკილავა.

მათ უკვე იმღერეს საიუბილეო კონცერტზე და პუჩინის ოპერაში „ტოსკა".

დღეს, 18 აპრილს, მსმენელი ამ მომღერლებს მეხვდება ვერდის „ბალ-მასკარადში", სადაც ქალბატონი მაყვალა შეასრულებს ამელიას, ხოლო ბატონი ზურაბი რიჩარდის როლს.

ჩვენ შევხვდით ბატონ ზურაბ სოტკილავას, რომელიც დაგვეთანხმა ექსკლუზიურ ინტერვიუზე.

იხ. მე - 9 გვ.

### ყოფა

## აბა, ცხელ-ცხელი პური, ხინკალი, ხაჭაპური!..

იმ უამრავი თავსატეხი პრობლემიდან, რაც ახლანდელმა მეჭირვებულმა ყოფამ მოგვიტანა, ჩვენთვის, რიგით მოკვდავთათვის, ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი, მე რომ მკითხოთ, მაინც, კვების პროდუქტების შეძენასთან არის დაკავშირებული.

დღეს კაცმა არ იცის, სამადლოდ ხელთმოგდებული გროშებით ვინ რას იძენს ან რას ჭამს. გულახდილად რომ ვთქვათ, ბევრს არც აწუხებს (მათ შორის, ალბათ მათაც, ვისაც ეს უშუალოდ ეხება). ამაში რომ დარწმუნდეთ, ლამის ყოველ ფეხის ნაბიჯზე სოკოებივით მომრავლებული ბაზრობებისათვის თვალის ერთი გადავლებაც კი საკმარისია.

იხ. მე - 11 გვ.



მურთაზ პაპიძის ნახატი

### პარლამენტის თავმჯდომარე

## ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო გერმანია-საქართველოს მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარე, დოქტორი გარბერი.

სტუმარმა პარლამენტის თავმჯდომარეს აცნობა, რომ წელს, ივნისში, საარბრიუკენში მოეწყობა ქართულ-გერმანული სიმპოზიუმი და ბატონი ზურაბ ჟვანია ამ სიმპოზიუმში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია. ბატონმა ზურაბ ჟვანიამ ბატონ გატონ გარბერს მოწვევისათვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა საქართველოსა და გერმანიის განსაკუთრებული ურთიერთობა, რომელიც ევროპასთან ინტეგრაციულ პროცესებში განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა. პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, სიმბოლურია, რომ ასეთი სიმპოზიუმი სწორედ საარის მხარეში იმართება, რადგან სწორედ ამ მხარესთან აკავშირებს საქართველოს დიდი ხნის მეგობრობა, ამდენად, თუ დაძაბული საპარლამენტო საქმიანობა საშუალებას მისცემს, ბატონ ზურაბ ჟვანიას თქმით, იგი აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას ამ სიმპოზიუმში.

დღესვე, პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო ცნობილი ამერიკელი ბიზნესმენი ბობ უოლში.

ამერიკული კომპანია „ბობ უოლშ ენთერფრაისი" მრავალმილიონიან ინვესტიციებს ახორციელებს საქართველოში, ძირითადად, მშენებლობის სფეროში, ქართულ მხარესთან შექმნილ რამდენიმე ერთობლივ საწარმოსთან ერთად, მონაწილეობს რუსთაველის პროსპექტისა და თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქციაში, ბატონ უოლშის თქმით, უკვე დამთავრებულია არქიტექტურული და დიზაინერული დაგეგმარების სამუშაოები, ნავარაუდევია მთაწმინდის ზედა პლატოზე მდებარე შენობის ფუნქციონალური რეკონსტრუქციაც და სხვა პროექტები, რომლებიც წარმატებულად ხორციელდება, მაგრამ, მისი თქმით, არის ორგანიზაციული და იურიდიული პრობლემები, რომლებიც ქალაქის მერიასთან ერთად უნდა წყდებოდეს და, რაც ყველაზე სამწუხაროა, ყოვნდება სამუშაოები. პრობლემებია შექმნილი სასტუმრო „თბილისის" მიმდებარე ტერიტორიაზე სახლის მობინადრეებთან, თუმცა ბატონ ბობ უოლშის თქმით, იგი პირნათლად ასრულებს მასზე დაკისრებულ ყველა ვალდებულებას.

ბატონმა ზურაბ ჟვანიამ დავალება მისცა პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტის თავმჯდომარეს დავით ონოფრიშვილს, რათა მან უმოკლეს ვადაში, მერიასთან ერთად შეისწავლოს ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა პრობლემა და მოამზადოს წინადადებები მათ მოსაწესრიგებლად, თავის მხრივ, ბატონმა ზურაბ ჟვანიამ სტუმარს ყოველმხრივი დახმარება და თანადგომა აღუთქვა.

მიმდინარე წლის ივლისში საარბრიუკენში მოეწყობა ქართულ-გერმანული სიმპოზიუმი, ამასთან დაკავშირებით, პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას გუშინ გერმანია-საქართველოს მეგობრობის ასოციაციის პრეზიდენტი დოქტორი გარბერი ეწვია. მან პარლამენტის თავმჯდომარე აღნიშნულ სიმპოზიუმში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია. ზურაბ ჟვანიამ სტუმარს მადლობა გადაუხადა მიწვევისათვის და აღნიშნა, რომ თუ საპარლამენტო საქმიანობის დაძაბული გრაფიკი საშუალებას მისცემს, იგი აუცილებლად დაესწრება სიმპოზიუმს.

**პარლამენტის პრესსამსახური.**

### სულიერება

## პირველი სანთლები ელიას მთაზე

ყოველი საუკუნე თავისი ისტორიით ფასობს, თავისი რწმენით, იდეით, თავისი ციხე-კოშკებითა და ეკლესია-მონასტრებით.

ვინ იცის, რას იტყვის მეოცე საუკუნეზე მემატიანე. ჩვენ კი, თანამედროვენი, ვწუხვართ, რომ ეს რწმენათა მსხვრევის, ფასეულობათა გადაფასების, გაუტანლობის და გათიშულობის საუკუნეა.

ვისთვის — როგორ, გააჩნია, რომელ კაცში როგორი სული სახლობს.

საბედნიეროდ, ერისთვის ყველაზე კრიტიკული ჟამის დროს ღვთის განგებით, ჩნდებიან ხოლმე ადამიანები, იდეის ხორცშესხმა რომ ძალუძთ, უსაშველო მდგომარეობიდან ერთადერთ, სწორ, ოპტიმალურ გზას პოულობენ და იმედს აღვიძებენ ერში.

იხ. მე - 2 გვ.

### ინფორმაცია

#### „ენრონი" სერიოზულ განაცხადს აკეთებს

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი შეხვდა ამერიკის კომპანია „ენრონის" ვიცე-პრეზიდენტს ლოიდ ვინჩეკს. საუბარი შეეხო თურქმენეთის გაზის ტრანსპორტირებას საქართველოს ტერიტორიის გაელით. გადაწყდა ბათუმის მახლობლად მდებარე თბოელექტროსადგურის დაფინანსების საკითხიც. გამოითქვა მოსაზრება ხუდონჰესის აგების თაობაზე.

ამერიკის კომპანიამ გამსადენის მარშრუტის ტერიტორიაზე მოსამზადებელი სამუშაოებისათვის უკვე გაიღო მილიონი დოლარი, რაც დიდი ინვესტიციების დაბანდების წინა პირობაა. „ენრონი" მომავალ თვეში საქართველოში ფილიალის გახსნას აპირებს.

როგორც სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა განაცხადა, ასეთი მძლავრი კომპანიის შემოსვლას საქართველოსათვის დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია, ამიტომ, საქართველოს ხელისუფლება „ენრონს" ყოველგვარ დახმარებას გაუწევს.

#### სენატორი სემ ბრაუნბეკი ეწვევა საქართველოს

ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტთან არსებული ახლო აღმოსავლეთის საკითხების შემსწავლელი ქვეკომიტეტის თავმჯდომარე, სენატორი სემ ბრაუნბეკი და მცირერიცხოვანი დელეგაცია 18 აპრილს ეწვევა საქართველოს.

ვიზიტის დროს, რომელიც 20 აპრილამდე გასტანს, სენატორი ბრაუნბეკი შეხვდება საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, პარლამენტის თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას, სხვა ოფიციალურ პირებს. შეხვედრაზე განიხილავენ რეგიონულ და ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებს.

#### არძინბამ ოზგანი მოხსნა

16 აპრილს აფხაზ სეპარატისტთა ლიდერის ვლადისლავ არძინბას ბრძანებულებით აფხაზეთის ე. წ. რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრი კონსტანტინე ოზგანი გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან. მინისტრად დაინიშნა საგადასახადო სამსახურის ყოფილი უფროსი ბესლან კუპრავა.

არძინბას ბრძანებულებითვე, თანამდებობიდან გათავისუფლდნენ აფხაზეთის ე. წ. რესპუბლიკის პრემიერები: ვლადიმერ არშბა და ვიაჩესლავ ცუგბა. ეს უკანასკნელი გადაყვანილია მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელის თანამდებობაზე, ხოლო ამ თანამდებობაზე მყოფი გრიგოლ ენიკი გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან.

ექსპერტთა შეფასებით, ყოველივე ზემოაღნიშნული მეტყველებს სეპარატისტთა ხელისუფლებაში არსებულ მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისზე. არძინბას განკარგულებით, კულტურის, განათლების, მსს და თავდაცვის სამინისტროთა ხელმძღვანელობას დაევალა ამ უწყებებში სათანადო რეორგანიზაციის განხორციელება და შტატების შემცირებები.

#### არ მოსწონთ...

აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საპროტესტო ნოტები გაუგზავნა აშშ სახელმწიფო დეპარტამენტს, აგრეთვე, საბერძნეთის, თურქეთის, უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროებს. ნოტაში გამოთქმულია პროტესტი საქართველოსათვის ამ ქვეყნების მიერ სამხედრო გემების გადაცემის თაობაზე და რომ საქართველო თანდათან ძლიერდება სამხედრო თვალსაზრისით, რაც სეპარატისტთა განცხადებით, კონფლიქტის განახლების საშიშროებას ზრდის.

საქართველო აპირებს 1 ივლისიდან თვითონ დაიცვას საზღვაო აკვატორია, მათ შორის, აფხაზეთის მიმდებარე წყლები, რაც თავის მხრივ, აფხაზეთის ე. წ. რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს აზრით, უეჭველად გამოიწვევს ომის განახლებას. თუ ასე გაგრძელდა, ნათქვამია ნოტაში, ჩვენ შევწყვეტთ მოლაპარაკებას საქართველოსთან ურთიერთობების განახლების თაობაზე.

#### ლუდვიგ ჩიბიროვის პოზიცია

ლუდვიგ ჩიბიროვმა განაცხადა, რომ ცხინვალის ხელისუფლების კურსია ჩრდილოეთ ოსეთთან ეკონომიკური და კულტურული ინტეგრაცია, საერთო სივრცის შექმნა, ერთმანეთისათვის უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის გამოცხადება. „იბერიის" კორესპონდენტის ცნობით, ამჟამად უღიარებელი სამხრეთ ოსეთის ბიუჯეტი 1998 წლისათვის დაახლოებით 6-7 მლნ დოლარია.

#### უდუგოვი ვარაუდობს...

ჩეჩნეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მოვლადი უდუგოვმა განაცხადა, რომ შესაძლოა, ჩეჩნეთის დედაქალაქ ჯოხარგალაში გაიმართოს კონფერენცია, რომელიც კავკასიაში უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებს მიეძღვნება.

#### საზღვარგარეთული ფირმების დახმარებით

საქართველოს მეფრინველეობის სამეცნიერო-კვლევითმა ბაზამ დაიწყო სასაქონლო პროდუქციის გამოშვება, კერძოდ, იქ კვერცხის ყოველდღიური წარმოება გამოშვება 15 ათასს შეადგენს. სავაჭრო ქსელში აქედან ბროილერების მიწოდებაც დაიწყო.

ერთი წლის წინათ სამეცნიერო-კვლევითმა ბაზამ, რომელიც სერიოზულ სირთულეებს განიცდიდა, პარტნიორობის მესახებ ხელშეკრულება დაუდო ისრაელის „გლობ-ციპის" ფირმას. მაშინ საზღვარგარეთიდან შემოიტანეს დიდი რაოდენობით საინკუბაციო კვერცხი — ასი ათას ცალზე მეტი. ამჟამად ბაზას აქვს ყველა საჭირო პირობა რიტმული მუშაობისათვის. უახლოესი მომავლისათვის მარტო დიეტური კვერცხის წარმოება დღეში აქ 20 ათას ცალს მიაღწევს.

#### ქართველი და ბულგარელი მწვანეების პროტესტი

თურქეთის პარლამენტმა რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა, რომელიც ითვალისწინებს რუსეთიდან თურქეთის ცენტრალური რეგიონებისათვის და დედაქალაქისათვის 30 მლრდ კუბური მეტრი ბუნებრივი გაზის მიწოდებას (პროექტი „ცისფერი ნაკადი"). მტკიცდებოდა პროექტის განხორციელება საქართველოს მილსადენის გამოყენებითაც, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებას შეეშინდა, რომ ამ შემთხვევაში პოლიტიკურ დათმობებზე მოუწევდა წასვლა. 1213 კილომეტრი სიგრძის გაზსადენის 396-კილომეტრიანი მონაკვეთი ამის გამო, შავი ზღვის ფსკერს გაივლის. საქართველოს და ბულგარეთის მწვანეთა პარტიებმა უკვე გამოთქვეს მტკიცე პროტესტი ამ პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით.

## «გააჩერეთ დედამიწა...»

როგორც გუშინ გაუწყეთ, ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრში გაიმართა მორიგი პრემიერა „გააჩერეთ დედამიწა, მე აქ ჩამოვდივარ", რომელსაც ესწრებოდა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მეუღლითურთ.

სპექტაკლის ავტორი და დამდგმელია თეატრის ხელმძღვანელი კოტე მახარაძე.

ზეინაბ ბარნოვას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და „ბეამ".**

### უკანასკნელ საათს

*სერგეი კირიენკოს* კანდიდატურის განხილვა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ტრადიციად იქცა. გუშინ დეპუტატებმა მეორედ განიხილეს და კენჭი უყარეს მის კანდიდატურას პრემიერ-მინისტრის პოსტზე და კვლავ არ მისცეს თანხმობა პრეზიდენტ ელცინს მის დანიშნვაზე მთავრობის ხელმძღვანელად.

მეორე კენჭისყრის შედეგი პირველზე უფრო კატეგორიულია: 115 მომხრე, 271 წინააღმდეგი, თავი შეიკავა ერთმა, ხმა არ მისცა ცხრამ.

პრეზიდენტმა ბორის ელცინმა, გუშინ უკვე მესამედ გაუგზავნა წერილი სახელმწიფო სათათბიროს იმავე კანდიდატურის თაობაზე და კირიენკო მომავალ პარასკევს კვლავ წარსდგება დეპუტატების წინაშე.

ძალიან ჰგავს სერგეი კირიენკო პოლიტიკურ ჭადრაკის თამაშში შესაწირ ფიგურას, რომელსაც მოწინააღმდეგე არაფრის დიდებით არ „კლავს". კიდევ ერთი უარი, „დუმაც" დაიშლება და პრეზიდენტი ელცინი თვითონ აიღებს მთელს ძალაუფლებას ხელში... თუ სახელმწიფო სათათბირო თავის გადასარჩენად მაინც დაიხევს უკან? მაშინ ქვეყნის საკანონმდებლო ხელისუფლება უპრინციპობის გამჭვირვალე წამოსასხამსაც დაკარგავს და დედიშობილა გამოგვეცხადება.

ეს იქნება კარგი სანახავი...

*დღეს* რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი იაპონიის პრემიერ-მინისტრთან ირიუ ხასიმოტოსთან შესახვედრად („უჰალსტუხო შეხვედრა") იაპონიას გაფრინდა.

### შევეწიოთ

## სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა



**ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:**

| | |
|---|---|
| ინდივიდუალური აუდიტორი „ზურაბ ნაყეური" | – 500 ლარი; |
| ვლადიმერ ასკურავა | – 300 ლარი; |
| ომარ კაჭარავა | – 100 ლარი; |
| მარი გელბახიანი | – 50 ლარი; |
| მედეა | – 50 ლარი; |
| დავითი | – 10 ლარი; |
| რკინიგზის დეპარტამენტის სამეურნეო განყოფილების თანამშრომლები: | |
| მაღლაკელიძე | – 10 ლარი; |
| ჩუტკერაშვილი | – 10 ლარი; |
| ლვაბერიძე | – 10 ლარი; |
| ტაბიძე | – 10 ლარი; |
| თუხარელი | – 10 ლარი; |
| ბერძენიშვილი | – 7 ლარი. |

## ნავთობსადენის მშენებლობა დათქმულ ვადაში დამთავრდება

საქართველოს მილსადენის კომპანიასა (GPC) და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციას (GIOC) აქვს პატივი გაცნობოთ სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ დასავლეთის მარშრუტის საექსპერტო ნავთობსადენზე, რომელიც იწყება ბაქოში და მთავრდება სუფსაში.

სამუშაოები ნავთობსადენზე კარგი ტემპით ხორციელდება. კონტრაქტორი კომპანია უკანასკნელი ორი კვირის მანძილზე ყოველდღიურად ასრულებს ერთი კილომეტრი სიგრძის გამოცვლილი მილების დამონტაჟებას, გარდა ამისა, იწყებს მილსადენის აღდგენით სამუშაოებს საქართველოს დასავლეთ რეგიონებში.

ნავთობსადენის მშენებლობასთან ერთად მიმდინარეობს საქაჩი და წნევის დამწევი სადგურების მშენებლობაც. ამჟამად კომპანია „ტექფენაზფენი" 5 ობიექტზე აწარმოებს სამუშაოებს. მათი დასრულება 1998 წლის მე-4 კვარტლისთვისაა დაგეგმილი.

გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაოები მიმდინარეობს სუფსის ტერმინალზეც. კერძოდ, ნედლი ნავთობის 4 რეზერვუარი მშენებლობის პროცესშია. დაიწყო, აგრეთვე, ტერმინალის საქაჩი მოწყობილობებსა და მილების ჩაწყობასთან დაკავშირებული საქმიანობა. ტერმინალზე სამუშაოთა დასრულება 1998 წლის მე-4 კვარტლისათვისაა დაგეგმილი.

ყველა სამუშაო ხორციელდება 1997 წლის ივნისში გაცემული გარემოსდაცვითი ნებართვის საფუძველზე.

სამშენებლო სამუშაოთა პარალელურად მიმდინარეობს ნავთობსადენისა და ტერმინალის მშენებლობისათვის ადგილობრივი პერსონალის შერჩევა.

ამჟამად სამშენებლო სამუშაოებზე 1073 ქართველია დასაქმებული.

**საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია.**
**საქართველოს მილსადენის კომპანია.**

## ლარის კურსი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1998 წლის 18 აპრილიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| გირვანქა სტერლინგი | 1 | 2. 2588 ლარი |
| გერმანული მარკა | 1 | 0.7397 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.3350 ლარი |
| ფრანგული ფრანკი | 1 | 0.2206 ლარი |
| თურქული ლირა | 10,000 | 0.0542 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.2174 ლარი |
| იაპონური იენი | 10,000 | 0.1012 ლარი. |

### დღეს

### ამინდი

**დასავლეთ საქართველოში**

ღრუბლიანი ამინდი, უმეტეს რაიონებში წვიმა, ზოგან ელჭექი. აღმოსავლეთის ქარი 10-15, ზემო იმერეთისა და კოლხეთის დაბლობზე 20-25 მეტრი წამში.

ბარში: ღამით +7+12;
დღისით +15+20
მთაში: ღამით +5+10; დღისით +12+17
მაღალ მთაში: ღამით +1+6; დღისით +4+9.

**აღმოსავლეთ საქართველოში**

ღრუბლიანი ამინდი, უმეტეს რაიონებში წვიმა, ზოგან ელჭექი, შესაძლებელია სეტყვა. სუსტი ქარი. გუდაური-კობის გზის მონაკვეთზე 9-19 საათამდე ზვავსაშიშროება.

ბარში: ღამით +6+11; დღისით +14+19
მთაში: ღამით +4+9; დღისით +11+16
მაღალ მთაში: ღამით 0+5;
დღისით +3+8.

**თბილისში:**

ღრუბლიანი ამინდი, წვიმა ელჭექით. სუსტი ქარი.

ღამით +9+11; დღისით +17+19.

**საქართველოს ჰიდრომეტცენტრი**

### დოკუმენტი

## საქართველოს კანონი

# „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

**საქართველოს პარლამენტი ადგენს:**

I. „საკონსულო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს 1997 წლის 27 ივნისის კანონში (პარლამენტის უწყებანი, 31 ივლისი, 1997, № 33), შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საკონსულო მოსაკრებელი არის საკონსულო დაწესებულებებისა და სამსახურების მიერ ამ კანონით განსაზღვრული საკონსულო მოქმედებების შესრულებისათვის დადგენილი თანხა, რომელიც ასახავს მოქმედების პოლიტიკურ მნიშვნელობასა და ეკონომიკურ ღირებულებას“.

2. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საკონსულო მოსაკრებლის გადახდა წარმოებს ამ კანონის, საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და ნაცვალგების საფუძველზე“.

3. მე-6 მუხლის:

1. ა) ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ა. დ) და ა. ე) ქვეპუნქტები:

„ა. დ) სხვა სახელმწიფოში დროებით ან
მუდმივად მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეზე
პირადობის მოწმობის გაცემა – 1 ლარი და 50 თეთრი“.
„ა. ე) სხვა სახელმწიფოში დროებით ან
მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქის
რეგისტრაცია და შესაბამისი მოწმობის გაცემა – 1 ლარი“.

2. ბ) ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ბ. ბ) ქვეპუნქტი:

„ბ. ბ) ორჯერადი ვიზების გაცემა –
შესაბამისი ვადის ერთჯერადი
ვიზისათვის დაწესებული
მოსაკრებლის ორმაგი ოდენობა“.

შესაბამისად ბ. ბ), ბ. გ), ბ. დ), ბ. ე), ბ. ვ), ბ. ზ) და ბ. თ) ქვეპუნქტები ჩაითვალოს ბ. გ), ბ. დ), ბ. ე), ბ. ვ), ბ. ზ), ბ. თ) და ბ. ი) ქვეპუნქტებად.

3. ე) ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ვ) ქვეპუნქტი:

„ვ) სხვა ცნობების გაცემა – 3 ლარი“.

4. კანონის მე-7 მუხლის:

1. ა) ქვეპუნქტის ა. გ) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა. გ) სხვა სახელმწიფოში საქართველოს მოქალაქის რეგისტრაცია და შესაბამისი მოწმობის გაცემა – 5 აშშ დოლარი“.

2. ბ) ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ბ. ბ)ქვეპუნქტი:

„ბ. ბ) ორჯერადი ვიზების გაცემა –
შესაბამისი ვადის
ერთჯერადი ვიზისათვის
დაწესებული მოსაკრებლის
ორმაგი ოდენობა“.

შესაბამისად ბ. ბ), ბ. გ) და ბ. დ) ქვეპუნქტები ჩაითვალოს ბ. გ), ბ. დ) და ბ. ე) ქვეპუნქტებად.

3. ე. შ.) ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე. შ) სხვა ცნობების გაცემა – 10 აშშ დოლარი“.

4. ვ) ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ვ. პ. გ) ქვეპუნქტი:

„ვ. პ. გ) დოკუმენტის ერთი ენიდან
მეორე ენაზე თარგმნა – 7 აშშ დოლარი თითოეული გვერდისათვის“.

5. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 მუხლი:

„მუხლი 8

პირს, რომლისთვისაც საქართველოს საკონსულო დაწესებულება ასრულებს გარკვეულ საკონსულო მოქმედებას, შეუძლია მოსაკრებელი გადაიხადოს საქართველოს ნებისმიერ საკონსულო დაწესებულებაში“. შესაბამისად მე-8 მუხლი ჩაითვალოს მე-9 მუხლად.

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
**ედუარდ შევარდნაძე.**

თბილისი, 1998 წლის 3 აპრილი.

### კადრი



კონტრასტი.

ზურაბ დათუაშვილის ფოტო.

### წინაპრები

# დედაენა ღონეა ერისა

ზუსტად 100 წლის წინათ „ივერიის“ სარედაქციო წერილში ილია ჭავჭავაძე წერდა: „როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლთამთხეველნი მამულისათვის. რამლა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა? – მან, რომ ვიცოდით იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი, დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა... ვიცით, კი დღეს ყოველივე ეს?

არ ვიცით – რანი ვყოფილვართ, არა ვხედავთ რანი ვართ, ვერ გამოგვისახია – რანი ვიქნებით?“

ისტორია, ძველიც და ახალიც იმას გვასწავლის, რომ მემკვიდრეობის უნივერსალური კანონის გარეშე ვერც კაცი და ვერც ხალხი საწადელს ვერასოდეს მიაღწევს. „შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს თავისი უღლის წევა“. მთავარი აქ ისაა, რომ სწორედ და უტყუარად დავადგინოთ, თუ ვისი და რისი მემკვიდრენი ვართ.

ამ ფორმულაში ილია ჭავჭავაძე ქართული ენის სიწმინდის დაცვასაც გულისხმობდა. „საერთო ნიადაგის“ ილიასა და არჩილ ჯორჯაძის ცნობილ თეორიაში ერთ-ერთი პირველი ადგილი ქართული ენის მოვლა-პატრონობის საკითხს ეკავა. მათ ქართული ენის დევნა-შევიწროების მიზეზად მარტო ცარიზმის [illegible] რეჟიმი კი არ მიაჩნდათ, არამედ თვითონ ქართველთა დაუდევრობაც – ეს ცოდვა უმეტეს წილად თავადაზნაურობაზე მოდიოდა, რომელსაც ბევრად არ ადარდებდა მშობლიური ენა და ხშირად „საყველპუროდაც არ იცოდნენ იგი“.

დიდი ილია მშობლიური ენის შესახებ წერდა: „ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვის ხელით არ უნდა შეეხოს“.

მშობლიური ენის ქომაგი და მოსარჩლე თვითონ იყო მაგალითის მიმცემი ყველგან და ყველაფერში, ამიტომაც ქართულად გამოდიოდა თავადაზნაურების შეკრებაზე, საბანკო საბჭოსა და სასამართლო სამსჯავრო სხდომებზე.

მდიდარი და მრავალფეროვანია ქართული ენის ლექსიკა, ამ ენაზე ყოველნაირი აზრისა და გრძნობის გამოხატვა შეიძლება, ალბათ, ამას გულისხმობდა ილია, როდესაც წერდა: „განა არ შეიძლება ენის გამოუცვლელად ქართულად, ჩვენებურად ვსწეროთ და ვილაპარაკოთ კიდეცა? თუ დავაკვირდებით სიტყვები იმდენი არის, რომ ამიერ უკუნისამდე ეყოფათ“. მართალია, იმ დროს სწავლა-განათლება, ძირითადად რუსულ ენაზე ხორციელდებოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ქართული საზოგადოებაც ბევრს ცოდავდა, მავანნი ნებითაც ამბობდნენ უარს მშობლიურ ენაზე. ამიტომ დიდი მწერალი გულისტკივილით ამბობდა: „ჩვენ ყველანი ქართული ენის ხმარებაში ცოდვილნი ვართ“.

თავის დროზე არჩილ ჯორჯაძემაც წამოჭრა ქართული ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების დაცვა-განვითარების საკითხი. იგი წუხდა, რომ რუსეთთან შეერთებისთანავე ოფიციალურ სახელმწიფო დაწესებულებებში საქმის წარმოება შემოიღეს რუსულ ენაზე, მართლმსაჯულების ენაც რუსული გახლდათ, სკოლებიდან ნელ-ნელა განდევნეს ქართული. საზოგადოების ერთმა ნაწილმა თვითონვე უგულებელყო მშობლიური ენის მადლი, „რუსულად აზროვნებდა, რუსულად წერდა და შემოქმედობდა“. მისი აზრით, მშობლიური ენის ბედ-იღბლის გადაწყვეტა ისევ ქართველი ხალხის ხელში იყო. ილია ჭავჭავაძე და არჩილ ჯორჯაძე ქართული ენის დაცვისა და შენარჩუნების საქმეში მომავალ თაობაზე ამყარებდნენ იმედს: ილია წერდა: „გვიან თუ მალე, დღესა თუ ხვალე, რაც ენას ვცოდეთ, ის გასწორდება“. არჩილ ჯორჯაძეს კი მიაჩნდა, რომ „ჩვენს ახალგაზრდობაში ენა ჯერ კიდევ ცოცხალია და ფესვების გამაგრებასაც აპირებს“. არც შემცდარან. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში არაერთხელ დაისვა საკითხი საქართველოში სახელმწიფო ენად რუსული ენის გამოცხადების შესახებ. ახალგაზრდობის ეროვნულმა სულისკვეთამ, მშობლიური ენის უსაზღვრო სიყვარულმა, გამბედაობამ და თავგანწირვამ, იმდროინდელი ხელისუფლებისა და ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილის მხარდაჭერამ გვიხსნა მოსალოდნელი უბედურებისა და სირცხვილისაგან. ეს იყო 1978 წლის 14 აპრილი, საიდანაც სათავეს იღებს ქართული ენის დღესასწაული – 14 აპრილი.

„1978 წლის 14 აპრილი იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე ნათელი დღე“, – განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ ზეიმის დღეს.

„ახალგაზრდობა სულგანაბული და გაოგნებული ელოდა, რა მოხდებოდა, რით დამთავრდებოდა ეს მოვლენები, მე რომ წამეკითხა ის ტექსტი, რომელიც მომზადდა და დამტკიცდა აქაც და მოსკოვშიც და რომლის მიხედვითაც ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი არ უნარჩუნდებოდა, თბილისი სისხლისღვრას ვერ გადაურჩებოდა. ამიტომ მადლობელი ვარ იმ ძალის, რომელმაც შთამაგონა და მათქმევინა – ქართული ენა ინარჩუნებს სახელმწიფო ენის სტატუსს“. („საქართველოს რესპუბლიკა“, 14 აპრილი).

ისტორიული კანონზომიერება, ქართული ცნობიერება გვიკარნახებს, – არ ვიყოთ უმადურნი. ყველაფერს უნდა მიეცეს სწორი შეფასება, ფაქტებს თუ მოვლენებს, მოღვაწე პიროვნებებს მიეჩნიოს შესაფერისი ადგილი ერის ისტორიაში.

საუკუნე გვაშორებს ილიასა და არჩილის მოღვაწეობას, მაგრამ მშობლიური ენის მოვლა-პატრონობა, მისი სიწმინდის დაცვა დღესაც საჭირბოროტო პრობლემად რჩება. ერმა უნდა გაითავისოს მშობლიური ენის მადლი და სიკეთე, მისი ზნეობრივი ძალა, დიდი გამომსახველობითი უნარი, როგორც ქართული აზროვნების განვითარების აუცილებელი პირობა, თორემ ქვეყნის კონსტიტუციით (მე-8 მუხლი), სახელმწიფო ენად გამოცხადებული, ხელისუფლების გადაწყვეტილებებითა და მხარდაჭერით გამაგრებული, ენაც ვერ იქნება სიცოცხლისუნარიანი და კვლავ შეიქმნება საფრთხე ენის წახდენასთან ერთად ერის დაცემისა.

რას ვგულისხმობთ? თუ საუკუნის წინათ, ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, ქართული ენის შევიწროებით რუსული ენა მომძლავრდა და გაგვიბატონდა, დღეს, ჩვენივე სურვილით გაფეტიშებული, (და არა აუცილებლობით გამოწვეული) ინგლისური, გერმანული და სხვა დასავლური თუ აღმოსავლური ენები ცდილობენ ჩვენი მშობლიური ენის ხარჯზე ქართული აზროვნებისა და გონების დაპყრობას. ამას თვალყურის დევნება სჭირდება, რათა არ დაირღვეს წონასწორობა.

დიდი ილია ბრძანებდა: „დედა ენა ერთადერთი ღონეა, რომ მოძლეარმა უმოძლეროს ერსა“. ერის გამთლიანების, შერიგების და „საერთო ნიადაგზე“ ყოფნის აუცილებელი პირობა მშობლიური ენის სიყვარული და პატივისცემაა.

**გივი ლობჟანიძე,**
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

### აჭარის ამბები

22-24 აპრილს ბათუმში გაიმართება საერთაშორისო კონფერენცია „ადამიანის უფლებები, დემოკრატია და სამართალდამცავი ორგანოები“. კონფერენციის ორგანიზატორები არიან აჭარის ხელისუფლება და საერთაშორისო ორგანიზაცია „ევროპა-2000“. მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოში ცნობილი იურისტები, მეცნიერები, სახელმწიფო მოღვაწეები.

* * *

შუახევის რაიონის სოფელ სხეფში შენდება 115 მოსწავლისათვის გათვალისწინებული სკოლის ორსართულიანი შენობა. მეზობელ ხულოს რაიონში მალე დასრულდება ტაძრების კომპლექსის მშენებლობა.

### გამოიცა ნიუ-იორკში

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენლობამ საქინფორმს აცნობა, რომ ქალაქ ნიუ-იორკში გამოიცა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, მხატვარ ვლადიმერ კანდელაკის მონოგრაფიული ალბომი.

გამოცემაში ვლადიმერ კანდელაკის სამასამდე ნამუშევარი შევიდა, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული მხატვრული ტილოების რეპროდუქციები გადმოსცემენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის, მისი ბუნების, თბილისის უბნების განუმეორებელ კოლორიტს.

ბევრ ნამუშევარს საქართველოს საზოგადოებრიობა იცნობს, ბევრი ახალი შექმნილია და ამერიკელ ხელოვნების მოყვარულთა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

უახლოეს მომავალში შედგება ალბომის პრეზენტაცია ვაშინგტონში, ნიუ-იორკსა და ფილადელფიაში.

### ეკლესიას სიწმინდეები დაუბრუნდა

სააგენტო „თბილისის“ საკუთარი კორესპონდენტი ზუგდიდიდან გვატყობინებს, რომ ოჩამჩირის ტერიტორიაზე არსებულ უძველეს ქრისტიანულ ტაძარს, ილორის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიას 5 წლის შემდეგ დაუბრუნდა სიწმინდეები: 50 ხატი, დიდი რაოდენობით წმინდა წიგნები და სხვა საეკლესიო ნივთები. ეკლესია აფხაზეთის ომის დროსაც და ომის შემდეგაც იძარცვებოდა. მაროდიორობისგან დაცვის მიზნით, აფხაზმა ბესლან არშბამ საეკლესიო სიწმინდეები სოფ. აიმარაში, რომან ამუბას სახლში გადამალა.

აღდგომის წმინდა დღესასწაულამდე რამდენიმე დღით ადრე, ბესლან არშბამ და რომან ამუბამ სიწმინდეები კვლავ მიტოვებულ და უკვე ნგრევის პირამდე მისულ ტაძარში დააბრუნეს. აღსანიშნავია, რომ 5 წლის მანძილზე, ილორის ცნობილი ეკლესია გაუქმებულია. აფხაზები აცხადებენ, რომ ილორის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია მხოლოდ აფხაზი ეროვნების ხალხის საგანძურია.

ილორი ქართულად გარჩევას ნიშნავს, სხვათა შორის, საყურადღებოა, რომ ქართველ და აფხაზ უხუცესთა საბჭოს შეხვედრა, სწორედ ილორის ტერიტორიაზე „გარჩევის“ ადგილას მოხდეს.

### გარდაიცვალა მარტინ ბაუერი

16 აპრილს, ღამით, ბავარიაში კონცერნ „მარტინ ბაუერის“ დამფუძნებელი, 96 წლის მარტინ ბაუერი გარდაიცვალა. მსოფლიოს ეს უდიდესი კონცერნი ჩაის გადამამუშავებელ სფეროში 1930 წელს შეიქმნა და დღესდღეობით მისი ფაბრიკები 22 ქვეყანაში მოქმედებს. საქართველოში გერმანული კონცერნი 1995 წლიდან ერთობლივი საწარმო „მარტინ ბაუერ გეორგიენით“ არის წარმოდგენილი. როგორც „გეას“ კორესპონდენტს „მარტინ ბაუერ გეორგიენის“ პრეზიდენტმა დავით დუმბაძემ აცნობა, დასავლეთ საქართველოში „მარტინ ბაუერს“ ჩაის 17 ფაბრიკა ეკუთვნის, მათ შორის, 14 ჩაის გადამამუშავებელი და 3 დამფასოებელი.

### იარაღს ნებაყოფლობით აბარებენ

16 აპრილს, ხობის რაიონის სოფელ ბიაში მცხოვრებმა შალვა გვასალიამ პოლიციის განყოფილებას ნებაყოფლობით ჩააბარა ხელყუმბარა და ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარმტყორცნი 3 ჭურვით, სოფელ სათხეში მცხოვრებმა ლევან ბალიამ – ერთი შაშხანა, ხოლო კასპელმა მერაბ ფსუტურმა პოლიციაში წარადგინა თვითნაკეთი მცირეკალიბრიანი პისტოლეტი და შაშხანა.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს საქინფორმმა და „გეამ“.**

### სულიერება

# პირველი სანთლები ელიას მთაზე

(პირველი გვერდიდან)

იმედი კი რწმენას ბადებს!

ეს იმედი ჯერ კიდევ 1989 წელს ჩაისახა, მაშინ, როცა საქართველოს საპატრიარქომ, საქართველოს არქიტექტორთა კავშირმა და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გამოაცხადეს კონკურსი ქალაქ თბილისში საკათედრო ტაძრის ასაშენებლად, ისეთისა, რომლის ბადალი დღემდე არ აგებულა.

კონკურსზე ასზე მეტი ნამუშევარი წარმოადგინეს. მათ შორის – საყდრის პროექტები სხვა ქვეყნებიდანაც ჩვენი თანამემამულეების ავტორობით.

საგულისხმოა, რომ პირველ ეტაპზე გამარჯვებული არ გამოვლენილა. მისი ვინაობა მხოლოდ კონკურსის მეორე ეტაპზე გაირკვა – გაიმარჯვა საუკეთესომ – არქიტექტორ არჩილ მინდიაშვილის პროექტმა: წმიდა სამების საკათედრო ტაძარი! და – დაიხსომე მემატიანევ: – **1995 წლის გიორგობისთვის 23-ს დაიკრა პირველი ბარი და წერაქვი საძირკვლის გასაჭრელად!**

ბატონი ირაკლი ანდრიაძე – საქართველოში ცნობილი პიროვნება, – წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდს მისი შექმნის დღიდან, 1995 წლიდან თავმჯდომარეობს. იგი გვიყვება: – ფონდი ქვეყნის პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის დავალებით და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით შეიქმნა. მასში გაერთიანდა რამდენიმე ორგანიზაცია, მათ შორის, ავტორთა ჯგუფი, მშენებელი ორგანიზაციის „საქგვირაბმშენის“ ხელმძღვანელობა...

მინდა მკითხველმა იცოდეს, რომ თავიდან მონასტრის აგება ბარათაშვილის აღმართის ზედა ნაწილში გვინდოდა, მაგრამ ძნელი იყო დასახლებული ტერიტორიის გათავისუფლება. ასევე იყო აზრი, რომ ტაძარი აგებულიყო იქ, სადაც გალაკტიონის ძეგლი დგას. მაგრამ ეს, ან სხვა ადგილები, სპეციალისტთა აზრით, არ გამოდგებოდა ასეთი კომპლექსის მშენებლობისათვის, რადგან იგი ხილული არ იქნებოდა ქალაქის ყველა კუთხიდან. ბოლოს კი არჩევანი წმიდა ელიას მთაზე შეჩერდა, მეგობრობის პარკის ტერიტორიაზე. გადაწყდა, ამ წმიდათა-წმიდა ალაგზე აგვეშენებინა ტაძარი.

ბატონი ირაკლი მოწიწებითა და თაყვანისცემით წარმოთქვამს მის სახელს, სიყვარულით საუბრობს მშენებლობის მიმდინარეობაზე და ჟესტიკულაციით მიგვანიშნებს: აი, ნახეთ, როგორი განლაგებაა: მტკვრის გაღმა-გამოღმა, ორი წმიდა მთა – ელია და მთაწმინდა, შუაში – სიონი... ნამდვილი წმიდა სამებაა!

შემდეგ თანმიმდევრობით გადმოგვცემს გაკეთებულისა და იმ პიროვნებების შესახებ, რომელთაც თავისი წვლილი შეიტანეს ამ საშვილიშვილო საქმეში: – „საქგვირაბმშენის“ მმართველი ავთანდილ ჩალაძე და მთელი მისი ორგანიზაცია დიდი სიყვარულით ეკიდებიან ამ საქმეს. პროექტის მიხედვით ხომ საკათედრო ტაძრის კომპლექსი ძალზე მასშტაბურია – დამუშავებული ფართობი ნახევარ ჰექტარს მოიცავს. აქვე აშენდება საპატრიარქოს რეზიდენცია, სასულიერო სემინარია.



ბეტონის პირველი სამუშაოები 1996 წლის 3 მარტს დავიწყეთ – სამების დღესასწაულთან დაკავშირებით. მას შემდეგ გაიშალა მუშაობა, თუმცა, ტემპი, ფინანსების უკმარისობის გამო, ძალიან დაბალი იყო. ეს ტელევიზიისა და პრესის საშუალებითაც კარგად იცის ჩვენმა მოსახლეობამ...

ბატონმა ირაკლიმ გვამცნო, რომ შარშან თვითონ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტმა თავისი ფონდიდან გაიღო გარკვეული თანხა, რამაც დააჩქარა მშენებლობა. აქვე გვინდა მკითხველმა იცოდეს, რომ წმიდა სამების სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის ფონდის საპატიო პრეზიდენტები ყოფილან თავად საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ-გიორგი შევარდნაძე და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II.

ფონდის თავმჯდომარე მუდამ ცდილობს ზუსტად იმ მოცულობის სამშენებლო სამუშაოები შესრულდეს, რაც ხელმისაწვდომია მუშაობის ამ ეტაპზე. უკვე მთლიანად დამუშავდა ქვაბული. დასასრულს უახლოვდება საძირკვლის არმირება, გაითხარა სადრენაჟო არხი, უკვე დაიწყო რკინაბეტონის კოჭების, მნიშვნელოვნად დიდი კონსტრუქციების ჩასხმა.

და, რაც მთავარია, უკვე დამთავრდა წმიდა ილია თებბიტელის სახელობის ხის ეკლესიის მშენებლობა.

ბატონი ირაკლი სიამაყით გვიმხელს, რომ უცხოეთში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულეებმა ტაძრის მშენებლობას სამი ათასი ტონა ცემენტი შემოსწირეს. შემდეგ გვპირდებიან დანარჩენს, რაც დასჭირდება მშენებლობას, – სულ ათი ათას ტონას!

ორგანიზაცია „კოდაკომ“ უკვე გადმოსცა 150 ტონა არმატურა, კიდევ შემოიტანენ 350 ტონას.

სამი თვის განმავლობაში შეწყვეტილი იყო მშენებლობა, რადგან ცემენტის ქარხნები გაჩერდა. მეტი აქტიურობა მართებთ მათ, თუნდაც იმიტომ, რომ ასრულდეს დანაპირები ღვთის წინაშე – წლის ბოლომდე აშენდეს მიწისქვეშა ორი სართული!

– ზოგჯერ გვისაყვედურებენ, რა დროს ეკლესიაა, როცა ხალხს ასე უჭირს, ირგვლივ ამდენი პრობლემაა მოსაგვარებელიო. მაგრამ, განა გაჭირვების ჟამს არ შესძლეს ქართველმა ხალხმა, ჩვენმა ღირსეულმა წინაპრებმა აეგოთ ხუროთმოძღვრების ხელთუქმნელი ძეგლები?

განა, დღესაც იგივე სისხლი, [illegible] და ჯიში არ მძლავრობს ჩვენს ერში? მაშ, ხელს რაღა შეგვიშლის, რომ დავიმსახუროთ, ჩვენი მთამომავლობის პატივისცემა და ჩვენი, მეოცე საუკუნის მიწურულის ქართველობის სულიერება ამ გრანდიოზული, 75 მეტრის სიმაღლის ტაძარში განსხეულდეს, განსპეტაკდეს, კიდევ უფრო ამაღლდეს!

ჩვენი თანამემამულეების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თანდათან კიდევ უფრო მეტი გულმოდგინებით ეკიდებიან ისინი მშენებლობის პროცესს: სწირავენ თანხას, ხშირად ჩვენი ქალბატონები ძვირფას ნივთებსაც იმეტებენ მისთვის. ეს ძალზე მნიშვნელოვანი ქმედებაა, რომელშიც მალე მთელი საქართველო ჩაებმება, რადგან არა აქვს მნიშვნელობა, კაცი ას ლარს გაიღებს თუ ერთს, მთავარია, თავისი წილი აგური შემატოს ტაძრის უკვდავ სხეულს.

**გახსოვთ, ქვრივმა ერთი დინარი რომ შესწირა და მაცხოვარმა კი თქვა: მან გაიღო ყველაზე მეტი, რადგან გასცა უკანასკნელიო?**

რკინა-ბეტონის ჩონჩხის შეკვრას, გადახურვას 16-17 მილიონი ლარი სჭირდება. მთავარია გადაიხუროს, შემდეგ დარჩება შიდა და გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები. თანაც, პარალელურად, მიწისქვეშა ორ სართულზე გაიმართება წირვა-ლოცვა, და წმიდა სამების ტაძარი იქცევა მოქმედ ეკლესიად!

ბატონი ირაკლი მიჩვენებს შემოწირულობათა წიგნს. აქ ქრონოლოგიური სიზუსტითაა აღნუსხული შემოწირული თანხის ყოველი თეთრი, პიროვნებების ვინაობა... მათი სახელები უკვე ისტორიის კუთვნილებაა, წიგნი სამ ეგზემპლარად ივსება.

**ბატონმა ირაკლიმ მშენებლობის შემოგარენი დამათვალიერებინა. თვალს მოგტაცებს წმინდა ილია თებბიტელის სახელობის მცირე ტაძარი, წაბლის ხით ნაშენი. აპრილის ცის სილურჯე ათინათობს გუმბათის რვა სარკმლიდან. ეკლესიას სამი კარი აქვს და სატრაპეზოს მხრიდან, აღმოსავლეთის სამი სარკმლიდან შემოჭრილი სინათლე მონასტრის იდუმალი სიმშვიდით გვავსებს...**

**ეზოში, ასევე, ხით ამოყვანილ სასანთლესთან დიდი ჯვარი ასვენია, მხატვარ გია ჯაფარიძის ნასტატარი. მას მალე თავის ადგილს მიუჩენენ. აქვეა მის მიერ მოჭედილი ზარებიც.**



**მზის სხივებზე თვალისმომჭრელად ლაპლაპებს სპილენძის სახურავი, – იშვიათი, ულამაზესი გვირგვინი ეკლესიის გუმბათისა, რომელიც აღმართიდან ბაღის შესასვლელშივე გხიბლავს და მოწიწებით გავსებს.**

**ეს სახურავი დიზაინერთა კავშირმა შემოსწირა ეკლესიას – მისმა ხელმძღვანელებმა ზურაბ წერეთელმა და გოჩა წულაძემ იაქტიურეს.**

**მუშები სადაცაა დაამთავრებენ უკანასკნელ სამუშაოებს – ნახერხს გადაწმენდენ იატაკის პროალა ფილებს.**

**სამმართველოს უფროსი ანზორ მიროტაძე, მთავარი ინჟინერი აკაკი ხარშილაძე და სამუშაოთა მწარმოებელი ფრიდონ მათირიშვილი თავს დასტრიალებენ მუშებს.**

**გვერდით კი, რუდოლფ ვარდიაშვილი – მშენებლობის უფროსის მოადგილე, წმიდა სამების ტაძრის არემარეს არ შორდება დღე და ღამე... ყოველი კვირის შაბათს კი, დღის ოთხ საათზე მშენებლობის ფონდის წარმომადგენლები მისი თავმჯდომარის ხელმძღვანელობით სათათბიროდ და გრაფიკის განსახილველად იკრიბებიან.**

**მათ ღვთისმოსაობა, ენთუზიაზმი, სიყვარული და ერთგულება ეწევათ მშენებლობისაკენ!**

**ბატონი ირაკლისთვის კი ეს, მომავლის ტაძარი, უკვე იმდენად მშობლიურია, რომ მის ხორცშესხმას, განსხეულებას და ამაღლებას ისე შესცქერის, თითქოს საკუთარი შვილი ეზრდებოდეს. ამიტომაც ყოველ ცისმარე აქ ტრიალებს.**

**აღდგომის კვირის სწორს, 26 აპრილს გაიხსნება წმინდა ილიას სახელობის ეკლესია! – ეს თარიღიც დაიხსომე მემატიანევ.**

**ადიდებს მრევლი მის სახელს, აკურთხებს მის კედლებს უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II.**

არსაკიძის სულით, მოთმინებითა და მარჯვენით იგება წმიდა სამების მონასტერი. გული მისი უკვე ფეთქავს, ფესვები წინა საუკუნეებში გაუდგამს და ახლა ტანის აყრაღა აკლია.

მოვა დრო და ეს ცადაწვდილი ტაძარი სრულიად საქართველოს დიდების სიმბოლოც გახდება, ის ხვალის შვილია და ამდენად, სინაზის, სიხარულისა და მიტევების საწინდარი. ის წინ გვახედებს და სიმაღლეებისკენ გვეწევა.

მისი ხორცშესხმით საქართველოში ახალი ეპოქა იწყება. ხელი შევაშველოთ კირით-ხუროებს. ტაძარი სრულიად საქართველოს კუთვნილებაა. ჩვენს შვილებს თამამად უნდა შეეძლოთ შიგ შესვლა და შემოწირულობათა წიგნის გადაფურცვლა სიამაყით და მოწიწებით, რომ ჩვენ – მე, შენ, მან – ყველამ ერთად, თითო ლარი მაინც გავიღეთ მისი კედლების ასამაღლებლად!

ყოველ ჩუქურთმას ცრემლნარევი ღიღინით წნავდნენ ჩვენი წინაპრები. ასევე არის ნაწერი ჩვენი ისტორიაც.

...და არც ახლა ვართ დალხინებულნი.

მინდა ვგავდეთ წინაპრებს და ენერგიის ერთი წილი, რომელსაც ყოველდღიურად ვხარჯავთ, წმიდა სამების ტაძარს მოვახმაროთ. მალე მას მეტი ფიზიკური ძალა, ენთუზიასტი ქართველი ვაჟკაცების ღონიერი მარჯვენაც დასჭირდება.

დაე, მასზეც თქვან შთამომავლებმა: „ნეტა, ვინ აზიდა, რა ხელმა აზიდა!“...

**ლია ჟიღლაძე.**

P. S. ამ წერილის ჰონორარს ვრიცხავ წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდში.

საქართველოს რესპუბლიკა
№92. შაბათი, 18 აპრილი, 1998 წელი.

## ისტორია

# ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან

სადამდე გრძელდება კოლხეთის ძველი სამეფოს ხანა. ამის შესახებ ვიგებთ ჰეროდოტეს შრომაში დაცული უძველესი წყაროს ცნობებიდან, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება აღდგეს კოლხეთის სამეფოს გაბმული ისტორია. ჰეროდოტესთან დაცული ერთ-ერთი ცნობის მიხედვით, მეოტიის ტბიდან (ე.ი. აზოვის ზღვიდან) მდინარე ფასისამდე და კოლხებამდე 30 დღის სავალია მსუბუქად ჩაცმული ყოჩაღი ქვეითისათვის, რომ კოლხეთიდან შორს აღარ არის მიდიამდე. ამ ცნობიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ კოლხეთი იწყებოდა მდინარე ფასისიდან და უერთდებოდა მიდიას. ასეთივე აზრია გამოთქმული ჰეროდოტესთან დაცულ მეორე ცნობაშიც, სადაც ნათქვამია, რომ კოლხებმა და მათმა მეზობელმა ხალხებმა კავკასიის მთებამდე ნებაყოფლობით იკისრეს აქემენიდური სპარსეთის მეფისათვის ხარკის გაღება. გამოდის, რომ კავკასიის მთებსა და კოლხებს შორის ცხოვრობდნენ სხვა, კოლხების მეზობელი ხალხები. ჰეროდოტესთან დაცულ მესამე ცნობაში ლაპარაკია იმაზე, რომ სპარსელები ცხოვრობდნენ იმ ადგილებში, რომლებშიც ადრეც მოსახლეობდნენ, სამხრეთ ზღვასთან — მეწამულს რომ უწოდებენ. მათგან ზემოთ, ჩრდილოეთით, ცხოვრობდნენ მიდიელები, მიდიელებს ზემოთ სასპეირები, ხოლო სასპეირების ზემოთ კოლხები, რომლებიც აღწევდნენ ჩრდილოეთ ზღვამდე, მდინარე ფასისი რომ ერთვოდა. ეს ოთხი ხალხი ცხოვრობდა ზღვიდან ზღვამდე. ალსანიშნავია, რომ ჰეროდოტესთან დაცულ ამ ცნობაში კოლხეთის მდებარეობის ფორმულირება აშკარად ეხმაურება ასურულ ტექსტებში დაიაენის მდებარეობის განსაზღვრას: „თუმედან დაიანემდე და ზემო ზღვამდე", „თუმედან დაიანამდე ზემო ზღვამდე". ჰეროდოტესთან დაცულ ცნობებში აღწერილი ამბების მიხედვით მეწამული ზღვიდან შავ ზღვამდე მხოლოდ ოთხი დიდი ხალხი ცხოვრობდა, ეს იყო (ძვ. წ. VI ს-ის პირველი ნახევრის დასასრულს, როდესაც მიდია ჯერ კიდევ ფეხზე იდგა, ხოლო სპარსეთი ახლადგამოსული იყო დიდ ასპარეზზე, მაგრამ ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიდია დაპყრობილი. როგორც ეხედავთ, მხედველობაშია დროის მონაკვეთი ძვ. წ. VII ს-ის შუა ხანებიდან — ძვ. წ. VI ს-ის შუა ხანებამდე. მამასადამე, ჰეროდოტესთან დაცულ ცნობებში მოხსენიებული კოლხეთი (და არა ჰეროდოტესდროინდელი კოლხეთი) კვლავ იმდენად დიდი და ძლიერი სახელმწიფო იყო, რომ მიდიისა და სპარსეთის შესაბამის დონეზე მოიხსენიებოდა. ამრიგად, კოლხეთის სამეფოს ძვ.წ. VIII ს-ის მეორე ნახევრიდან ძვ. წ. VI ს-ის შუა ხანებამდე, როგორც ჩანს, უკავია იგივე ფარგლები, რაც ურარტული სამეფოს კოლხას.

ვითარება იცვლება აქემენიდური სპარსეთის მიერ მიდიის განადგურების შემდეგ, ძვ. წ. VI ს-ის შუა ხანებში. ეს ცვლილებები ნათლად აისახა დარიოს I-ის (ძვ. წ. 521-486 წწ). ადმინისტრაციულ რეფორმებში, რომელთა შედეგადაც კოლხეთის სამეფოს უშუალო სამხრეთი მეზობლის სასპეირების დიდი გაერთიანება დაშლილი აღმოჩნდა და მის ადგილზე ეხედებით აქემენიდური სპარსეთის მე-18 სატრაპიას (სამხედრო ადმინისტრაციულ ოლქს). მეთვრამეტე სატრაპია შედგებოდა თვით სასპეირებისა, ალაროდებისა და მატიანებისაგან, ე.ი. სასპეირების გარდა ურარტუსა და მითანის ტომებისაგან, რომელთაც ფარავდა დაწინაურებული ტომი სასპეირებისა და რომლებმაც თავი იჩინეს სასპეირების გაერთიანების დაშლისთანავე. ამ დროს კოლხეთი ინარჩუნებს თავის დამოუკიდებლობას და აქემენიდურ სპარსეთთან მისი ურთიერთობა კოლხეთის მხრივ დიპლომატიური თვითდაბეგვრით ისაზღვრება: კოლხეთმა იკისრა სპარსეთში ხარკად გაგზავნა ხუთ წელიწადში ერთხელ 100 ბიჭისა და 100 გოგოსი. მიუხედავად იმისა, რომ კოლხეთი კვლავ იმდენად ძლიერი სახელმწიფოა, რომ ინარჩუნებს დამოუკიდებლობას, როგორც ჩანს, ის მაინც შევიწროებული იყო სამხრეთით და ამიტომ მისი ცენტრი ჩრდილოეთით ინაცვლებს. ეს ყოველივე ნათლად გამოჩნდება ქვემოთ მოტანილ ცნობებში.

აქედან იწყება კოლხეთის სახელმწიფოს ისტორიის ახალი ეტაპი. ამ დროს, ძვ. წ. VI ს-ის დასასრულს, როგორც ჩანს, ხდება კოლხეთში ლითონის ფულის, ვერცხლის მონეტის მოჭრა, მეცნიერებაში კოლხურ თეთრს რომ უწოდებენ. კოლხური თეთრი, უპირატესად, როგორც საშინაო ალებ-მიცემობისთვის საგანგებოდ მოჭრილი მონეტა, ასახავს კოლხეთში არა მარტო ფულადი ურთიერთობის დამკვიდრებას, არამედ ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მთლიანობას და წარმოადგენს კოლხური სახელმწიფოებრიობის მეორე ეტაპის, ან როგორც მას ვუწოდებ კოლხეთის შუა სამეფოს ხანის ყველაზე არსებით ნიშანს. კოლხური თეთრების, განსაკუთრებით მათი განძების აღმოჩენის ადგილები საზღვრავენ კოლხეთის შუა სამეფოს ფარგლებს და მის სახმელეთო და საწყლოსნო ძირითად არტერიებს, რომლითაც ხორციელდებოდა ქვეყნის ინტენსიური ეკონომიკური ცხოვრება. საინტერესოა, რომ კოხური თეთრების განძები, ძირითადად, აღმოჩენილია მდინარე ჭოროხსა და სოხუმს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე. ამასთან დაკავშირებით, ფრიად საგულისხმოა, რომ ძვ. წ. IV ს-ის ბერძენი ავტორი ფსევდო-სკილაქს კარიანდელი, დიოსკურსა (თანამედროვე სოხუმი) და მდინარე აფსაროსს (ჭოროხი) შორის მხოლოდ ერთ ხალხს — კოლხებს ასახელებს, რაც ასახავს ამ მიწაწყალზე მცხოვრები მოსახლეობის პოლიტიკურ მთლიანობას და იმ ხალხის პოლიტიკურ ბატონობას, რომელიც აძლევდა სახელს მთელ ქვეყანას. როგორც დავინახეთ, ანალოგიურმა მოვლენებმა თავი იჩინეს უფრო ადრეც, როცა დიაოხის ნაცვლად იგივე ქვეყანა კოლხას სახელით მოგვევლინა და როდესაც დაიმალა სასპეირების გაერთიანება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა იოანე ლიდეს (ახ. წ. VI ს) ცნობა, რომ კოლხეთს ლაზიკას ეძახიან იმიტომ, რომ ჰეგემონობა ლაზებს აქვთ მოპოვებული (ს. ყაუხჩიშვილი). ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ახ. წ. V ს-ის ბერძენი ანონიმი ავტორის ცნობა, რომ დიოსკურიიდან, ანუ იგივე სებასტოპოლიდან აფსაროსამდე ცხოვრობდა ხალხი, რომელიც კოლხებად იწოდებოდა, ხოლო შემდეგ ლაზებად. ამ ცნობაში არა მარტო კოლხეთის ეთნოპოლიტიკური მთლიანობა აირეკლა, არამედ კოლხების ეთნიკური კუთვნილებაც და სხვადასხვა დროს კოლხეთში სახელმწიფოებრიობის არსებობა და მათ შორის მემკვიდრეობითი კავშირი. ყურადღებას იქცევს ამ მხრივ ახ. წ. VI ს-ს ბიზანტიელი მწერლის აგათია სქოლასტიკოსის ცნობაც: „ლაზები ამაყობენ კოლხეთის ძველი სახელით და ზომაზე მეტად მოაქვთ თავი, შესაძლოა არც თუ უსაფუძვლოდ". საგულისხმოა, რომ ამ ცნობის მიხედვით თვით ლაზებს მიაჩნიათ თავი კოლხეთის შთამომავლებად, ხოლო თავისი სახელმწიფო კოლხეთის ძველ სამეფოთა მემკვიდრედ. როგორც ეხედავთ, ეს იცოდნენ უკვე ძველი დროის ბერძნებმაც და ადგილობრივმა მოსახლეობამაც. ალსანიშნავია ისიც, რომ კოლხეთის უკიდურეს სამხრეთ საზღვრად რაკი აფსაროსს ასახელებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ კოლხეთის სამეფოს, როგორც ზემოთაც ალვნიშნეთ, ძვ. წ. VI ს-ის ბოლოსათვის აქემენიდური სპარსეთის მოწოლის შედეგად სამხრეთით პოზიციები დაკარგული აქვს და მისი ცენტრი ჩრდილოეთით არის გადანაცვლებული. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ კოლხური თეთრების განძების განსაკუთრებულ თავმოყრას ფასისის (რიონის) აუზში აქვს ადგილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ დროს მთავარი ეკონომიკური არტერია რიონის აუზში გადიოდა შესართავიდან სათავეებამდე. ამას ნათლად ასახავენ ქალაქ ფასისის (ფოთი) მიდამოებში და ონში აღმოჩენილი კოლხური თეთრების განძები, ამაზე მიუთითებს სწორედ ფასის-რიონის ხეობაში ისეთი ქალაქების წარმოქმნა, როგორიც იყო ფასისი, ფსევდო სკილაქსის მიერ დასახელებული დიდი ბარბაროსული ქალაქი, აგრეთვე ქუთაისი, ვანი, რომლებიც ძვ.წ. V-IV საუკუნეებში მნიშვნელოვან საქალაქო ცენტრებს წარმოადგენდნენ.

კოლხეთის სახელმწიფოებრიობის მესამე ეტაპი, რომელსაც მე ვუწოდებ კოლხეთის ახალი ან გვიანი სამეფოს ეტაპს, იწყება ახ. წ. პირველი საუკუნეებიდან, პონტოს სამეფოსა და რომაელთა დაპყრობების შედეგად დაქუცმაცებული კოლხეთის სამეფოს აღორძინებით. კოლხეთის მესამე სამეფოს აღდგენაში დიდი როლი შეასრულა ლაზიკის თავდაპირველად შედარებით მოკრძალებულმა სამეფომ, რომელმაც შეძლო კოლხეთის წინამორბედი სამეფოს ფარგლების აღდგენა. ახ. წ. IV-VI საუკუნეებში ლაზიკის სამეფოს ეკავა ფართო ტერიტორია ჭოროხისპირეთიდან მთელი დანარჩენი კოლხეთი აფხაზეთისა და სვანეთის ჩათვლით.

ამრიგად, არსებული მასალა (ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი ასურული, ურარტული, ბერძნული, სომხური წყაროების ცნობები, ამ ცნობათა თანხვედრა, რაც მთავარია — არქეოლოგიური მასალა, ეთნონიმია და ტოპონიმია), კოლხეთის სახელმწიფოებრიობის გაბმული ისტორიის აღდგენის საშუალებას იძლევა ძვ.წ. XII საუკუნიდან მაინც.

ძვ. წ. XII-VIII საუკუნეები კოლხეთის სახელმწიფოებრიობის ის ხანაა, როდესაც ძველი კოლხური სამეფო ასურულ წყაროებში მოიხსენიება ზემო ზღვასთან არსებული სამეფოს დ-აია-ენის სახელით, ხოლო ძველ ბერძნულ წყაროებში — აიას სახელით. იქნებ, აქვე იყოს ალსანიშნავი, რომ დიაოხი (დაიაენი) სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ხარკად ოქროსაც უხდიდა ურარტუს, რაც ოქროს საწმისის აია-კოლხეთის ძველ ბერძნულ წყაროებში მიღებული ოქრომრავალი ქვეყნის რეპუტაციას ეხმაურება.

მეორე ეტაპი იწყება ძვ. წ. VIII ს-ში, როდესაც კოლხეთის სამეფო ერთდროულად ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელ წყაროებში ურარტუს მეფის სარდურ II-ის (ძვ. წ. 764-735 წწ.) და ძვ. წ. VIII ს-ის ბერძენი მწერლის ევმელოსის თხზულებაში „კორინთიაკა" შესაბამისად, **კოლხად** და **კოლხიდად** მოიხსენიება. აქ ამოსავლის მნიშვნელობა ორ თარიღს შეიძლება ჰქონდეს: ძვ. წ. XII ს-ს და შემოდავების შიშით, განსაკუთრებული სიფრთხილის გამო — ძვ. წ. VIII ს-ის შუა ხანებს. მე ზემოთ მოყვანილი მასალის საფუძველზე კოლხური სახელმწიფოებრიობის ამოსავალ თარიღად, თუ უწინარესი ხანა არგონავტების ლაშქრობის ხანა არა, ძვ. წ. XII საუკუნე მიმაჩნია, როდესაც პირველად თავს იჩენს კოლხური არქეოლოგიური კულტურის არეალში მოქცეული უძველესი დროიდან ქართული (მეგრულ-ჭანური) მოსახლეობით დასახლებული **დ-აია-ენი, დიაოხი, აია** სახელებით მოხსენიებული სამეფო. რაც შეეხება ძვ. წ. VIII ს, აქ, საკამათოც არაფერია, რადგან სხვადასხვა წარმომობის წყაროებში კოლხეთის სახელწოდებით ცნობილ სამეფოზეა ლაპარაკი.

საკითხი იმის შესახებ, იყო თუ არა დაიაენი-დიაოხი და კოლხას გაერთიანებები სახელმწიფოები, სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში (გ. მელიქიშვილი, ი. დიაკონოვი) დიდი ხანია, დადებითად არის ალიარებული. ამის ნათელსაყოფად ბევრი მონაცემი არსებობს: უპირველეს ყოვლისა, დაიაენი-დიაოხის გაერთიანების მრავალსაუკუნოვანი არსებობა, როგორც ასურეთსა და ურარტუს მიმართ დაპირისპირებული ერთიანი კოლხური გაერთიანებისა, რომელიც ვერ ეგუებოდა მორჩილებაში ყოფნას და ხშირად უკუაგდებდა დამპყრობლებს. სატომო კავშირი, როგორც პოლიტიკურად ორგანიზებული ძალა, ვერც ამდენხანს იარსებებდა და, რაღა თქმა უნდა, საუკუნეთა მანძილზე ვერ გაუძლებდა ისეთი სახელმწიფოების წინააღმდეგობას, როგორიც ასურეთი და ურარტუ იყო. საგულისხმოა ისიც, რომ ამ გაერთიანების სათავეში მუდამ ერთი მეფე იხსენიება, რაც განსაკუთრებით ნიშანდობლივია მუშქებისა და ტაბალების გაერთიანებათა მრავალმეფიანობის შესახებ იგივე ასურული წყაროების ცნობათა ფონზე, და, რაც, აგრეთვე ნიშანდობლივია, ცნობილია დაიაენი-დიაოხის მეფეთა სახელები. დაიაენი-დიაოხის სამეფოს ჰქონდა სამხედრო ძალა, რომელიც თავის მრისხანე მეზობლების არმიათა დონეზე იყო შეიარაღებული და აღჭურვილი იყო იმ დროისათვის ძლევამოსილი საშუალებით — საბრძოლო ეტლებით. რაც შეეხება კოლხას სამეფოს, მის სათავეშიც მხოლოდ ერთი მეფე იხსენიება, რომელიც იჯდა სამეფო ქალაქში და განაგებდა ადმინისტრაციულ ოლქებად დაყოფილ ქვეყანას. სარდური II-ის ერთ-ერთ წარწერაში შემორჩენილია კოლხას სამეფოს ერთ-ერთი მეფის სახელის ნაწილი. კოლხას ოლქების სათავეში იდგნენ მეფის ნაცვალები, ე.ი. შექმნილი იყო სახელმწიფოს მთელი ადმინისტრაციული სისტემა. სამეფო ქალაქებს გარდა, ქვეყანაში იყო საოლქო ცენტრები. სამეფო ქალაქს, როგორც ჩანს, ჰქონდა სიმაგრეთა მთელი სისტემა: სარდური II კოლხას დედაქალაქის არა სიმაგრეს, არამედ სიმაგრეებს მოიხსენიებს. ალსანიშნავია ისიც, რომ, თუ არქეოლოგიური მონაცემებით ვიმსჯელებთ, კოლხა წარმოადგენდა ერთ-ერთ უძველეს და უდიდეს სამთამადნო და მეტალურგიულ კერას მთელ მცირე აზიაში. ალსანიშნავია, აგრეთვე, კოლხას მეფეების სახელმწიფოებრივი აზროვნების დონე. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ისეთი დიპლომატიური სვლა, როგორც გააკეთეს კოლხეთის პოლიტიკურმა მესვეურებმა აქემენიდური სპარსეთის მიმართ, როდესაც თვითდაბეგვრის წესით იკისრეს ნომინალური ხარკის გაღება. ეს უკვე იმ დროის საერთაშორისო ვითარებაში ჩახედული და ჩართული პოლიტიკური ერთეულის სახელმწიფური პოლიტიკური აზროვნების გამოვლენაა. შეიძლება თუ არა დაიაენი დიაოხი-კოლხას გაერთიანებები ქართველურ ტომთა პოლიტიკურ გაერთიანებად მივიჩნიოთ? იქნებ, ამ კავშირში სხვა, მაგალითად, ხურიტული ტომებიც შედიოდნენ? დიაოხსა და კოლხას ისეთი მიწა-წყალი ეჭირათ, რომ იქ შესაძლოა, არა თუ, მონათესავე, არამედ სხვა, არამონათესავე ტომებსაც ეცხოვრათ. საქართველოში ოდითგანვე ცხოვრობდნენ სომხები, ებრაელები, არაბები, თურქები და სხვა მოდგმის ხალხები. მაგრამ საქართველო მაინც ყოველთვის ქართულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. გარდა ამისა, ზემოთ წარმოდგენილი მასალა (ისტორიული ცნობები, არქეოლოგიური მონაპოვრები, ტოპო და ეთნონიმია) თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ალნიშნულ გაერთიანებათა მოსახლეობა ქართული (მეგრულ-ჭანური) იყო, და მათი ისტორია საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილია.

საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა ამა თუ იმ ხალხის ეთნიკური წარმომობის, კულტურის, სახელმწიფოებრიობის ფესვების ძიება. ქართული სახელმწიფოებრიობის ფესვები სახეზეა, ჩვენ კი ამ ფესვების გადაჭრას ვლამობთ, ე.ი. უარს ვამბობთ სხვადასხვა წარმომობის ურთიერთდამოუკიდებელი წერილობითი წყაროების ერთნაირი შინაარსის შემცველ ცნობებზე, ენობრივ მასალაზე, არქეოლოგიურ მონაპოვარზე, ეგრეთ წოდებული კოლხური არქეოლოგიური კულტურის ერთ-ერთი თავდაპირველი კერის მასალაზე, სადაც წარმოჩენილია გვიან ბრინჯაოს ხანის კოლხური კულტურის ყველა შემადგენელი ელემენტი და თვალი გაედევნება მათ გენეზისს. ეს, მეტი რომ არა თქვათ, დიდი გამბედაობაა.

**თეიმურაზ მიქელაძე,**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 91.

---

## თბილისის უნივერსიტეტი — 80

# იურიდიული ფაკულტეტი — გარდაქმნის მხარდამხარ

## ქართველ იურისტთა დიდი სამჭედლო

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი ჩვენს სახელმწიფოში უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე სპეციალისტებისა და მეცნიერ-იურისტთა მომზადების, აგრეთვე იურიდიული მეცნიერების განვითარების მთავარი კერაა, რომელიც ჩამოყალიბდა უნივერსიტეტის არსებობის დასაწყის პერიოდში. მის პირველ ლექტორთა და მეცნიერთა შორის იყვნენ დიდი ივანე ჯავახიშვილი, რომელიც კითხულობდა ქართული სამართლის ისტორიის კურსს და შექმნა ფუძემდებლური გამოკვლევები ამ დარგში, პროფესორი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი — მანამდე რუსეთში მოღვაწე სახელგანთქმული იურისტ-ადვოკატი, რომელიც უნივერსიტეტმა მოიწვია და სალექციო კურსებს ბრწყინვალედ უძღვებოდა სამართლის ზოგად თეორიაში, სისხლის სამართალსა და სამოქალაქო სამართალში, პროფესორი ზოზო ნანეიშვილი — იმ დროისათვის უკვე ცნობილი თეორეტიკოსი, რომელიც ტრაგიკულად დაიღუპა პოლიტიკური რეპრესიების დროს. აგრეთვე პროფესორები: იროდიონ სურგულაძე და

ალექსანდრე ვაჩეიშვილი, ხოლო უფრო მოგვიანებით პროფესორი ივანე სურგულაძე, პროფესორი თინათინ წერეთელი და სხვები.

სხვადასხვა დროს მომიჯნავე დარგებში იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს ლექციებს უკითხავდნენ შალვა ნუცუბიძე (ფილოსოფიის ისტორია), კოტე ბაქრაძე (ლოგიკა), ვლადიმერ ჟღენტი (სასამართლო მედიცინა), ფილიპე გოგიჩაიშვილი (ეკონომიკური თეორია), ალექსანდრე ფრანგიშვილი (ფსიქოლოგია).

მშობლიური უნივერსიტეტის მე-80 წლისთავის იუბილეს ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომელთა შედარებით არამრავალრიცხოვანი კოლექტივი ხვდება გარკვეულ წარმატებებით და სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ფართო სამომავლო გეგმებით, ამასთანავე, მის წინაშე მდგარი სიძნელეებით და რთული პრობლემებით. ეს სირთულეები დაკავშირებულია იმ ძირეულ ცვლილებებთან, რაც ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში განხორციელდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ.

საზოგადოებრივ მეცნიერებებში, განსაკუთრებით კი იურისპრუდენციაში, წარმოიშვა კარდინალური სიახლეების განხორციელების საჭიროება, კომუნისტური მსოფლმხედველობის ბატონობის პერიოდში დამკვიდრებული დოგმების უარყოფისა და ღირებულებათა გადაფასების, მოვლენათა ობიექტური შეფასებისა და თავისუფალი აზროვნების ვითარების შექმნის აუცილებლობა.

იურიდიულ მეცნიერებათა კონკრეტულ დარგებში მრავალფეროვან ტრადიციულ პრობლემათა საკითხებიდან, ზემოთ დასახელებული მიზეზებისა და ახალი მიდგომების გათვალისწინებით, იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო მუშაობაში მკვეთრად გამოიკვეთა ორი პრიორიტეტული მიმართულება: თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ქართულ ენაზე ახალი სახელმძღვანელოების შექმნა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს იურისტთა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას, და სამართალშემოქმედებით საქმიანობაში მონაწილეობა კანონპროექტების შემუშავების, სპეციალურ სახელმწიფო ორგანოებში მომზადებული ნორმატიული აქტების პროექტთა განხილვისა და შესაბამისი წინადადებების ან შენიშვნების მიწოდების გზით, რაც ხელს უწყობს ამ აქტების სრულყოფას და სამართლებრივი სახელმწიფოს საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებას.

უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული პირველი ამოცანის განხორციელებაში ნამდვილად მთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. თუ ადრე სახელმძღვანელო ლიტერატურა მშობლიურ ენაზე ნაკლებად არსებობდა ან რუსული წიგნების თარგმანების გამოცემა ხდებოდა, — ამჟამად, ბოლო წლების მანძილზე წამყვან მეცნიერ-პედაგოგთა ძალისხმევით უკვე მომზადდა და გამოიცა ახალი სახელმძღვანელოები და დამხმარე სახელმძღვანელოები თითქმის ყველა იურიდიულ დისციპლინაში: სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში, პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიაში, რომის სამართალში (პროფ. ვ. მეტრეველი, დოც. მ. ცაცანაშვილი, დოც. გ. დავითაშვილი), სახელმწიფოსა და სამართლის ზოგად თეორიაში (პროფ. გ. ინწკირველი), სახელმწიფო სამართალში (პროფ, ზ. ჯინჯოლავა, პროფ. ო. მელქაძე, დოც. პ. ცნობილაძე), ადმინისტრაციულ სამართალში (პროფ. ვ. ლორია, პროფ. ა. აბესაძე), სისხლის სამართალში და კრიმინოლოგიაში (პროფ. გ. ტყეშელიაძე, პროფ. მ. ლეკვეიშვილი, პროფ. ზ. წულაია), სისხლის სამართლის პროცესსა და კრიმინალისტიკაში (პროფ. ა. ფალიაშვილი, პროფ. მ. ფაფიაშვილი, პროფ. რ. ჭოლოშვილი). ოდნავ დაგვიანდა სახელმძღვანელოს მომზადება სამოქალაქო სამართალში, რაც იმითაა გამოწვეული, რომ უკანასკნელ დრომდე არ არსებობდა ამ დარგში ახალი კანონმდებლობა, რომლის საფუძველზეც უნდა დაწერილიყო სახელმძღვანელო. მაგრამ 1997 წელს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღების შემდეგ ამ დარგში ფაკულტეტის სპეციალისტებმა (პროფ. ს. ჯორბენაძე, პროფ. ზ. ახვლედიანი, პროფ. ლ. ჭანტურია, პროფ. მ. ჩიკვაშვილი, პროფ. ბ. ზოიძე, პროფ. რ. შენგელია, დოც. მ. კახაძე) შეადგინეს და გამოსაცემად უკვე მოამზადეს ამ საკანონმდებლო აქტის ვრცელი კომენტარები და ლექციების კურსი, რამაც, გარკვეულწილად, დამხმარე სახელმძღვანელოს როლიც შეუძლია შეასრულოს სტუდენტებისათვის. ცხადია, ეს ახალი სახელმძღვანელოებიც თანდათან უნდა დაიხვეწოს და ახალი სასწავლო პროგრამების საფუძველზე უფრო სტაბილური უნდა გახდეს. მაგრამ პირველი, ყველაზე უფრო ძნელი ნაბიჯი გადადგმულია — იურისპრუდენციის შემსწავლელ ქართველ სტუდენტობას უკვე აქვთ მშობლიურ ენაზე დაწერილი ორიგინალური ლიტერატურა, რომელიც ხელს შეუწყობს მათი ცოდნის უფრო გაღრმავებას.

რაც შეეხება იურიდიულ ფაკულტეტზე სამეცნიერო მუშაობის მეორე ძირითად მიმართულებას — სამართალშემოქმედებით საქმიანობას, — სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ ამ საქმიანობაში ჩაბმულია ფაკულტეტის აბსოლუტურად მთელი კოლექტივი — იმის რწმენითა და შეგნებით, რომ ამჟამად დამყარებული ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობების და საბაზრო ეკონომიკის მოსაწესრიგებლად, ახალი პოლიტიკური სისტემის მოქმედებისათვის, დემოკრატიული პრინციპების აღიარებისა და რეალური განხორციელებისათვის საჭიროა ფართო საკანონმდებლო ბაზა, აგრეთვე იმ იმედის გამართლების სურვილით, რასაც საზოგადოებრიობა ამყარებს იურისტებზე და იურიდიულ მეცნიერების წარმომადგენლებზე ამ ამოცანების გადაწყვეტის საქმეში.

სწორედ ამიტომ ფაკულტეტის მუშაკების ყოველწლიური სამეცნიერო-კვლევითი გეგმები უმთავრესად სახელმძღვანელოების შექმნასა და სამართალშემოქმედებითი პრობლემების დამუშავებას დაექვემდებარა. ამავე დროს, ისინი აქტიურად მონაწილეობენ საკანონმდებლო პროცესთან დაკავშირებით შექმნილ საპარლამენტო და სამთავრობო სხვადასხვა კომისიებში. პირველყოვლისა, ალსანიშნავია ფაკულტეტის პროფესორ მასწავლებელთა ფართო წარმომადგენლობა და საქმიანობა საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში 1993-1995 წლებში და მათი წვლილი 1995 წლის კონსტიტუციის მიღებაში. ამ კომისიის წევრები, სხვა ორგანოებში მომუშავე იურისტებთან ერთად იყვნენ პროფ. ლ. ალექსიძე, პროფ. ს. ჯორბენაძე, პროფ. გ. ტყეშელიაძე, პროფ. ვ. ლორია, პროფ. ო. მელქაძე, პროფ. ზ. ჯინჯოლავა, პროფ. ჯ. ხეცურიანი, პროფ. ა. აბესაძე, პროფ. ლ. ჭანტურია, პროფ. რ. შენგელია, დოც. გ. მეფარიშვილი, დოც. ბ. სავანელი, დოც. დ. შემლაძე და, ცხადია, ჩვენი ფაკულტეტის ის მუშაკები, რომლებიც ერთდროულად სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელები არიან — იუსტიციის მინისტრი თ. ნინიძე და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მ. უგრეხელიძე, ხოლო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის მოადგილეობა დაკისრებული ჰქონდა იურიდიული ფაკულტეტის დეკანს, პროფ. გ. ინწკირველს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთო ხელმძღვანელობით ამჟამად შექმნილ სამთავრობო კომისიებშიც, რომლებიც დარგობრივ საკანონმდებლო საკითხებზე მუშაობენ, ფაკულტეტის მასწავლებლები მონაწილეობენ. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შემმუშავებელ ქვეკომისიის თავმჯდომარეა პროფ. გ. ტყეშელიაძე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ქვეკომისიისა — პროფ. აპ. ფალიაშვილი, ხოლო ადმინისტრაციული კანონმდებლობის რეფორმისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ქვეკომისიის — პროფ. ვ. ლორია. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნისათვის საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წელს ივნისში მიღებულ სამოქალაქო კოდექსის მომზადებას სამთავრობო ქვეკომისიის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფ. სერგო ჯორბენაძე.

აღნიშნული საკანონმდებლო აქტების შემუშავების პროცესში ჩატარდა მომზადებული პროექტებისა და ცალკეული პრობლემების მრავალი საჯარო განხილვა, კონფერენციები, ექსპერტიზები, როგორც თბილისში, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების სამეცნიერო ცენტრებში, განსაკუთრებით საქართველოს კონსტიტუციისა და სამოქალაქო კოდექსის პროექტების ირგვლივ. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კონსტიტუციის პროექტის ექსპერტიზას 1994 წ. აშშ-ის ქალაქ ჩიკაგოში ამერიკელი იურისტებისა და საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის წევრთა ჯგუფის მონაწილეობით. სამოქალაქო კოდექსის პროექტის საკითხების განხილვა კი მოხდა გერმანიის ქალაქ ბრემენში მოწყობილ სპეციალურ კონფერენციაზე, აგრეთვე პოლანდიის ქალაქ ლეიდენდორპში 1994-1995 წლებში ჩატარებულ საერთაშორისო თათბირებზე პოლანდიელი, გერმანელი, ამერიკელი და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების სპეციალისტთა მონაწილეობით. ამ თათბირებზე საქართველოს იურისტებს წარმოადგენდნენ პროფ. ს. ჯორბენაძე, პროფ. ლ. ჭანტურია, პროფ. ზ. ახვლედიანი, პროფ. გ. ინწკირველი, იუსტიციის მინისტრი თ. ნინიძე.

უნივერსიტეტის რექტორატის თანხმობით და პირადად მისი რექტორის, აკადემიკოს როინ მეტრეველის მხარდაჭერით შესაძლებელი გახდა იურიდიული ფაკულტეტის ბაზაზე საერთაშორისო კონფერენციების ტრადიციის დამკვიდრება, ისევე როგორც ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა, მათ შორის ახალგაზრდების მონაწილეობა უცხოეთში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე და ლექცია-მოხსენებებით გამოსვლები სხვადასხვა ქვეყნის სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებში. ზოგიერთი მათგანი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრია — მსოფლიო იურისტთა ასოციაციის, პოლიტიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო ასოციაციის, არასამთავრობო საერთაშორისო იურისტთა კავშირის, უმაღლესი სკოლის მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიისა და ა.შ.

იმის გამო, რომ ფაკულტეტის სტუდენტთა რაოდენობის მკვეთრი ზრდისა და სასწავლო პროცესის სრულყოფის, სამეცნიერო მუშაობის დონის ამაღლებისათვის სულ უფრო მეტი პროფესორ-მასწავლებლის საჭიროება წარმოიშვა, დიდმნიშვნელოვან პრობლემად იქცა შესაბამის მეცნიერ-სპეციალისტთა კადრების მომზადება და მათი კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება. ამ ამოცანის გადაწყვეტის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს გაღრმავებული სამეცნიერო-კვლევის საფუძველზე სამეცნიერო ხარისხების მოპოვება და სამეცნიერო წოდებების მინიჭება.

ამისათვის კი დიდი როლის შესრულება ეკისრება იურიდიულ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს საქმიანობას. ასეთი საბჭო ერთადერთია საქართველოში და უკანასკნელი წლების მანძილზე მის სხდომებზე დაცული იყო მრავალი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია იურიდიული მეცნიერების სხვადასხვა დარგებში — სამართლის ზოგად თეორიასა და სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიაში, სახელმწიფო სამართალსა და ადმინისტრაციულ სამართალში, სამოქალაქო სამართალსა და სისხლის სამართალში. ამჟამად ფაკულტეტის პედაგოგთა აბსოლუტური უმრავლესობა სამეცნიერო ხარისხების მქონეა. ამავე, დროს, მათ დიდ ნაწილს მინიჭებული აქვს პროფესორისა და დოცენტის სამეცნიერო წოდებები.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორები და პროფესორები გახდნენ ზაურ ჯინჯოლავა, ოთარ მელქაძე, ლადო ჭანტურია, ჯონი ხეცურიანი, ზაურ წულაია, ალბერტ აბესაძე, ბესარიონ ზოიძე, ავთანდილ კობახიძე, ოთ. გამყრელიძე, ბადრი ნაკაშიძე, ალექსანდრე შუშანაშვილი, გურამ ნაჭყებია. უკვე კარგა ხანია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატები და დოცენტები არიან ჩვენი კოლეგები, რომლებიც თვალსაჩინო სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევიან და კანონშემოქმედებით პროცესშიც დიდი წვლილი შეაქვთ, მაგრამ სადოქტორო ხარისხების გაფორმებას აყოვნებენ.

ალსანიშნავია, რომ ტრადიციულად დასახელებული საბჭოს სხდომებზე სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციებს იცავენ ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებათა თანამშრომლები, ასევე წარმატებით დაიცვეს დისერტაციები ვიეტნამიდან მოვლინებულმა იურისტებმა. ამ მხრივ ჩვენი უნივერსიტეტის იურიდიულმა ფაკულტეტმა განსაკუთრებით დიდი დახმარება გაუწია აზერბაიჯანელ კოლეგებს სამეცნიერო კადრების კვალიფიკაციის ამაღლებასა და ატესტაციაში: ამ მეზობელი ქვეყნის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტსა და მეცნიერებათა აკადემიაში მომუშავე დოქტორებმა ეს სამეცნიერო ხარისხი სწორედ თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საკვალიფიკაციო საბჭოს სხდომაზე მოიპოვეს, რისთვისაც უზომო მადლიერებას გამოთქვამენ და უყოყმანოდ ალიარებენ ქართული იურიდიული მეცნიერებისა და მის წარმომადგენელთა მაღალ დონეს.

ამავე დროს, წარმოუდგენელია იურიდიულ ფაკულტეტზე, ისევე როგორც მთლიანად უნივერსიტეტში და, საერთოდ, უმაღლეს სასწავლებლებში თანამედროვე პირობებისა და დროის მოთხოვნების შესაბამისი სპეციალისტების მომზადება სასწავლო პროცესში სიახლეების დანერგვის, რადიკალური რეფორმების განუხორციელებლად. პირველყოვლისა, ალვნიშნავთ, რომ ფაკულტეტმა მხარი დაუჭირა სწავლების ორეტაპოვან სისტემაზე გადასვლას გარკვეული სახესხვაობით: პირველი ეტაპი გრძელდება ხუთ წელიწადს და კურსდამთავრებულებს ენიჭებათ იურისტის კვალიფიკაცია: მეორე ეტაპი კი — მაგისტრატურა ერთწლიანია და ითვალისწინებს ამ სპეციალისტებიდან წარჩინებით დამთავრებულ და სათანადო მონაცემების მქონე პირთა შერჩევას ფუნდამენტური სამეცნიერო მუშაობისათვის მოსამზადებლად (ასპირანტებად, მაძიებლებად, სამართალმცოდნეობის სასკოლო საგნის მასწავლებლებად და ა.შ.).

მაგრამ, ჩვენი აზრით, ყველასათვის ნათელი უნდა იყოს, რომ მარტო ამგვარი ცვლილებებით და ახალ სისტემაზე გადასვლით სასურველი შედეგის მიღწევა თავისთავად არ მოხდება. ნებისმიერი სისტემის პირობებში, ძველის შენარჩუნებასა თუ ახლის შემოღებას დასაბუთება და გამართლება ექნება მხოლოდ სწავლისა და სწავლების ხარისხის ამაღლების მიღწევის შემთხვევაში. სწორედ ამიტომ იურიდიულ ფაკულტეტზე რეფორმის შინაარსის დევიზად გამოცხადდა მაღალკვალიფიციურ იურისტთა კადრების მომზადება სასწავლო პროცესის სრულყოფის გზით.

მთლიანად იურიდიული ფაკულტეტის სასწავლო, ისევე როგორც სამეცნიერო მუშაობის ძირეულ საყრდენ რგოლებს, კათედრები წარმოადგენენ. ფაკულტეტის სტრუქტურაში ასეთი ექვსი კათედრაა, რომლებიც შექმნილია იურიდიული მეცნიერების ცალკეული დარგებისა ან მონათესავე დარგთა ჯგუფების შესაბამისად: სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის (კათედრის გამგე — პროფესორი ვ. მეტრეველი), სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის (კათედრის გამგე — პროფესორი გ. ინწკირველი), სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის (კათედრის გამგე — პროფესორი გ. ტყეშელიაძე), სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის (კათედრის გამგე — პროფესორი ა. ფალიაშვილი) სამართლის საფუძვლების (კათედრის გამგე — პროფესორი ვ. ლორია) და სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო პროცესის კათედრა, რომელსაც უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე უცვლელად ხელმძღვანელობდა ფართოდ ალიარებული მეცნიერ-იურისტი, არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი სერგო ჯორბენაძე. მისი გარდაცვალება აუნაზღაურებელი დანაკლისია იურიდიულ მეცნიერებაში, მაგრამ მისი ლიდერობით შექმნილი ცივილისტთა დიდი სკოლის წარმომადგენლები შეეცდებიან თავისი ახალი შესაძლებლობები გამოავლინონ სასწავლო, სამეცნიერო და სამართალშემოქმედებითი პროცესების განვითარებაში.

ზემოთ დასახელებულ ყველა კათედრებში გაერთიანებულია ფაკულტეტის დაახლოებით შვიდი ათეული პროფესორ-მასწავლებელი და თანამშრომელი — ძირითად შტატში, შეთავსებელი ან საათობრივი ანაზღაურებით მომუშავენი, უფროსი და მომდევნო თაობების წარმომადგენლები, რომლებიც ურთიერთდაპირისპირებლად, ერთგულად ემსახურებიან დღის, სალამოსა და დაუსწრებელ განყოფილებათა სამი ათას სამასამდე სტუდენტს უფასო და ფასიან სექტორებზე.

მაგრამ, სხვა ობიექტური მიზეზების გარდა, რაც უმთავრესად დაკავშირებულია მატერიალური ბაზის გაუმჯობესების საჭიროებასთან, თანამშრომელთა ხელფასის სიმცირესთან და ა.შ — არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დაბრკოლება, რომლის გადალახვა მეტად რთული გამოდგა. ეს არის ე.წ. პროტექციონიზმი. სამწუხაროდ, ეს უშნო ქცევა თუ მოვლენა ისეთნაირად ფართოდ დამკვიდრდა ჩვენს ცხოვრებაში, რომ საზოგადოების წევრთა არც თუ მცირე ნაწილს იგი აღარ მიაჩნია უშნოობად და, ზოგჯერ სამწუხაროდ, ადამიანის დადებით თვისებად, ერთდაგვარ ქველმოქმედებად თვლის, მაშინაც კი, თუ (განსაკუთრებით სამეურნეო და პოლიტიკურ სფეროში) კორუფციად გადაიზრდება.

უმაღლეს სასწავლებლებში, დაწყებული მისაღები გამოცდებიდან, სწავლის პროცესში და სახელმწიფო გამოცდების დროს პროფესორ-მასწავლებლები, გამომცდელები განიცდიან უდიდეს ზეწოლას აბიტურიენტთა და სტუდენტთა მშობლების, ასევე ნათესავების, მეგობრებისა და, არაიშვიათად, თანამდებობის პირებისა ან სხვა გავლენიანი და ავტორიტეტიანი ადამიანების მხრივ, — ნიშნის დაწერის, გადაბარების, დაუსწრებლიდან დასწრებულზე გადაყვანის, სხვა უმაღლეს სასწავლებლებიდან გადმოყვანის, დახასიათების ან შუამდგომლობის გაცემის დროს და ა. შ.

ლოგიკურია, თუ ასეთ შემთხვევებზე ვიტყვით, რომ გამომცდელი ობიექტური უნდა იყოს და პროტექტორების გავლენის ქვეშ არ მოექცეს. მაგრამ ვინც იცის და ხედავს, რა ხდება გამოცდების დროს სასწავლებელთა შენობებისა თუ მასწავლებელთა კაბინეტების წინ, სატელეფონო მომართვებში, თხოვნებისა და მუქარის სახით, მათთვის გასაგები უნდა იყოს, თუ რატომ ვერ უძლებს ყველა მასწავლებელი ასეთ შემოტევებს და, საბოლოოდ, რატომ ხვდებიან და ამთავრებენ კიდეც უმაღლეს სასწავლებლებს ის პირები, რომლებიც თავიანთი მომზადების მიხედვით ამას არ იმსახურებენ. ეს განსაკუთრებით ითქმის იმ ე.წ. პრესტიჟულ სპეციალობებზე, სადაც დიდი კონკურსია და რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი მიეკუთვნება.

**გივი ინწკირველი,**
იურიდიული ფაკულტეტის
დეკანი, პროფესორი,
საქართველოს
მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი,
მეცნიერების
დამსახურებული მოღვაწე

ახალი მოდის ძირითადი ნიშნები 20-იანი წლების თეატრსა და ბალეტს გვაგონებს.

ქალებმა პლატფორმებიდან თხელძირიან ფეხსაცმელზე გადაინაცვლეს.

# ლონდონი პარიზს ეცილება მოდის კანონმდებლობას

# რამდენად საშიშია ბიოლოგიური ტერორიზმის საფრთხე?

ამ ბოლო დროს ბევრს წერენ ბიოლოგიური იარაღის საშინელებებზე, აღნიშნავს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი". ჩვენ გვეუბნებიან, რომ ყოველ კაცს, რომელსაც აქვს ბიოლოგის დიპლომი, მცენარეთა სასხურებელი და... გულში ჩადებული ბოღმა, შეუძლია სიცოცხლეს გამოგასალმოთ, როცა გძინავთ და ზედ მოგაყოლოთ მილიონობით მეზობელი. მართლაც, ბიოლოგიური იარაღი პოტენციურად ისევე მომაკვდინებელია როგორც ბირთვული. ასი კილოგრამი ანტრაქსი — გაცილებით ნაკლები, ვიდრე ერაყშია წარმოებული, — სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ მილიონობით ადამიანს გაავლოს მუსრი. თანაც, ოკლაჰომა-სიტიში გამოყენებული ბომბისაგან განსხვავებით, ბიოლოგიური იარაღი — ეს არის უხილავი და უხმო მკვლელი. რა თქმა უნდა, ყველა საფუძველი გვაქვს შეშფოთებისა ასეთ ფაქტებთან დაკავშირებით, მაგრამ პანიკა მაინც გაუმართლებელია. მართალია, შედარებით იოლია, გამოზარდო ან შეიძინო ბიოლოგიური ნივთიერებანი, მაგრამ მარტოოდენ ეს როდია საკმარისი. საჭიროა, აგრეთვე, მათი ეფექტიანი გაფრქვევა. მხოლოდ თითო-ოროლა ქვეყანას და ასევე თითზე ჩამოსათვლელ ტერორისტულ ჯგუფს აქვს ამჟამად შესაძლებლობა, განახორციელოს თავდასხმა გაშლილ სივრცეში, რასაც შედეგად მასობრივი მსხვერპლი მოჰყვებოდა. თვით გაწაფულ ტერორისტებსაც კი გაუჭირდებათ ბიოლოგიური ტერორიზმის საფრთხის რეალიზაცია. „აუმ სინრიკოს" სექტას ჰქონდა მილიარდ დოლარზე მეტი აქტივები და ჰყავდა 50 000 წევრი, რომელთა შორის პროფესიონალი ბიოლოგებიც იყვნენ. მაგრამ ამ სექტამ ვერ შეძლო განეხორციელებინა წარმატებული ბიოლოგიური იერიში მრავალრიცხოვანი ცდების მიუხედავად. ამის მაგიერად მან გამოიყენა ნერვების დამბლადამცემი გაზი „ზარინი", რასაც ტოკიოს მეტროში 12 კაცი შეეწირა. ტერორისტებს უკვე კარგა ხანია, შეუძლიათ განახორციელონ უფრო მომაკვდინებელი აქციები, მაგრამ ამ ბოლო დრომდე მათი უმრავლესობა სჯერდებოდა ტერორის სიმბოლური აქტების განხორციელებას, ნაცვლად იმისა, რომ დიდძალი ხალხი დაეხოცა. მაგრამ ყოველთვის ასე ხომ არ იქნება? ზოგიერთი ისლამისტი ფუნდამენტალისტი უკვე საქვეყნოდ აცხადებს, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, დასაჯოს თავისი მტრები ყველაზე ექსტრემალური მეთოდებით.

და მაინც, მასობრივი დაზიანების წარმატებული ცდები იშვიათი იქნება. ნებისმიერ შემთხვევაში იარაღად, ალბათ, გამოიყენებენ ჩვეულებრივ სამრეწველო ან სასოფლო-სამეურნეო ქიმიკატებს, რომლებიც საბრძოლო ნითიერებებზე ნაკლებად ტოქსიკურია, მაგრამ უფრო იოლი სამოვნელია. ინდოეთის ქალაქ ბჰოპალის 1984 წლის ავარიამ, სადაც ტოქსიკური სამრეწველო ქიმიკატების გამოჟონვამ სულ მცირე დროში 4 000 კაცი შეიწირა, ცხადყო, რაოდენ სამიში შეიძლება იყოს ზოგიერთი ქიმიური ნივთიერების ზემოქმედება. ტერორისტები და დამნაშავენი შხამს იყენებდნენ მკვლელობის ან ფულის გამოძალვის მცდელობისათვის. შეერთებულ შტატებში ზოგიერთმა გასამხედროებულმა ექსტრემისტულმა დაჯგუფებამ და უკიდურეს მემარჯვენე პოზიციებზე მდგომმა გაძლება-გადარჩენის მოძრაობის მონაწილეებმა გამოიჩინეს ინტერესი უბრალო ბიოლოგიური იარაღისადმი. მაგალითად, 1995 წელს „მინესოტის" პატრიოტთა საბჭოს წევრები ბრალეულად ცნეს მცენარეული ტოქსინის რიცინის დამზადებაში, ადგილობრივი პოლიციის უფროსის მკვლელობის მიზნით. ზოგიერთ ტერორისტს შეუძლია განახორციელოს აქციები ისეთი პრიმიტიული ტექნოლოგიის ბაზაზე, როგორიც არის პათოგენური მიკროორგანიზმების გაფრქვევა დახურულ შენობებში ან მზა სასურსათო პროდუქტების, პირუტყვის ან ჭირნახულის მოწამვლა ფარმაცევტული პრეპარატებით. ასეთ აქციას არ მოჰყვებოდა მილიონების დაღუპვა, მაგრამ შედეგები მაინც შემზარავი ექნებოდა.

ყველაზე საგანგაშო პერსპექტივაა სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი ტერორისტული აქციები, კერძოდ, ისეთები, რომელთა გამოყენებითაც დაემუქრა ერაყი დიდ ბრიტანეთს, — მაგალითად, ანთრაქსის ჩამატებით სპირტიანი სასმელების ბოთლებში, კოსმეტიკასა და სუნამოში, რომლებიც ბაჟით არ იბეგრება. მაგრამ ასეთ შემთხვევაში სპონსორ სახელმწიფოს, ალბათ, ეყოფოდა ჭკუა, აეწონ-დაეწონა მოსალოდნელი რისკი, როდესაც შეიძლებოდა საპასუხო შურისძიების ობიექტი გამხდარიყო.

ამჟამად შეერთებული შტატები ამკაცრებს ტერორიზმის წინააღმდეგ მიმართულ კანონებს და აფართოებს ბიოლოგიურ ნივთიერებათა გამოყენებით განხორციელებული თავდასხმების შემთხვევაში ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენის შესაძლებლობებს. და მაინც, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ძალზე ბევრია. წამლებს შეუძლიათ გაანეიტრალონ ზოგიერთი ბიოლოგიური ნივთიერება, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ექიმებმა იციან, რომ აქცია უკვე განხორციელდა, — სანამ გამომჟღავნდებოდეს სიმპტომები. ასევე გამოდგებოდა ვაქცინებიც ერთი ადამიანის მიერ მეორისათვის ზოგიერთი ტოქსიკური ნივთიერების გადაცემის თავიდან ასაცილებლად. არსებობს საფრთხის ალკვეთის სხვადასხვა ხერხი, მაგრამ ყველაზე უმნიშვნელოვანესი ღონისძიება მაინც ის იქნება, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს იმ მეცნიერთა დასაქმება, რომლებიც წინათ მუშაობდნენ საბჭოთა ბიოლოგიური იარაღის შექმნაზე, ახლა კი სამუშაო ვერ უშოვიათ ან იღებენ არასაკმარის გასამრჯელოს. ასეთ მეცნიერთაგან რამდენიმემაც რომ გადაწყვიტოს მათი ხელშემწყობი სახელმწიფოების მხარდაჭერა, შედეგი მართლაც დამღუპველი იქნებოდა, მეტადრე, თუ ამ საქმეში ჩაება ორგანიზებული დანაშაულობა.

ბანგლადეშის მდინარე გორაისეს ხიდი აბსოლუტურად უმაქნისი გახდა, ვინაიდან წყლის დონემ კატასტროფულად დაიკლო დალამვის შედეგად. გარემოს მდინარის კალაპოტის ლამით ამოვსების გამო დიდი საფრთხე შეექმნა.

# „მეტისმეტი — რეტისრეტი" ვიტამინებსაც ეხება

„C" ვიტამინით მეტისმეტმა გატაცებამ შეიძლება კიბო შეჰყაროს კაცს, წერს „აირიშ ტაიმსი". ეს ვიტამინი დიდი ხანია გამოიყენება სურდოს სამკურნალოდ და დაავადებათა პროფილაქტიკის მიზნით. მაგრამ როგორც ლეიჩესტერის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, ვიტამინის უზომო დოზა, რომელსაც ავადმყოფი მედიკამენტებთან ერთად იღებს, ზრდის კიბოს დაავადებათა განვითარების შესაძლებლობას. როგორც მედიკოსები აღნიშნავენ, ადამიანისათვის საკმარისია 40 მილიგრამი „C" ვიტამინი დღეში. გრიპიანი ავადმყოფი კი, მაგალითად, დღეში იღებს დაახლოებით 1 გრამ ვიტამინს, რაც 25-ჯერ აღემატება დღიურ ნორმას.

# რომელი ლოთი შეელევა 10 ათას დოლარს ლოთობის სამკურნალოდ?!

ერიკ კლეპტონმა გამოაცხადა, რომ ააშენებს სარეაბილიტაციო ცენტრს ალკოჰოლიკებისა და ნარკომანებისათვის, [illegible] ნმა თავის ინიციატივას უწოდა „რობინ ჰუდის კიდევ ერთი [illegible] გებლობის შესაძლებლობას მიიღებენ მხოლოდ ადგილო- [illegible]



უცხოეთის სააგენტოების, გაზეთების და სააგენტო „[illegible]" მასალების მიხედვით
უძღვება
არჩილ მანჯგალაძე.

## ევროტურნირებზე

# ფინალში — ღირსეულნი!

იშვიათ გამონაკლისებს თუ არ ჩავთვლით, სპორტში სამართლიანობა ზეიმობს. ფეხბურთელთა წლევანდელი ევროტურნირების ნახევარფინალური მატჩების შედეგებმა ეს მოსაზრება კიდევ ერთხელ დაადასტურა.

ამ ეტაპის შეხვედრები თასების მფლობელთა თასისათვის მებრძოლი კლუბების საპასუხო რაუნდმა დააგვირგვინა.

ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, გერმანული „შტუტგარტი" როგორც ვარსკვლავთა სიმრავლით, ისე ტრადიციებით მოსკოვის „ლოკომოტივზე" ძლიერია. აკი დაამტკიცა კიდეც უპირატესობა. გაჭირვებით, მაგრამ მაინც, მათი მოსკოვური დუელის ბედი ბობიჩის ზუსტმა დარტყმამ გადაწყვიტა — 1:0 (პირველი მატჩი 2:1). რკინიგზელთა ქართველი ლეგიონერი ზაზა ჯანაშია ამჯერადაც აქტიურობდა, ცალკეულ ეპიზოდებში — მეტისმეტადაც, რაც ყვითელ ბარათად დაუჯდა, მაგრამ სტუმართა დაცვა შეუვალი იყო.

დრამატულად წარიმართა „ჩელსისა" და „ვიჩენცას" დაპირისპირება. პროვინციული იტალიური კლუბი ფეხბურთის სამშობლოს ერთბურთიანი მარაგით ეწვია და იმდენი მოახერხა, იქაც დაწინაურდა (ლუიზო), მაგრამ სამართალმა პური ამ შემთხვევაშიც ჭამა. უცხოელი ვარსკვლავებით დახუნძლულმა ლონდონის არისტოკრატთა უბნის გუნდმა, რომელიც ოდესღაც უკვე ფლობდა საპატიო პრიზს, დარჩენილ დროში სამი გოლი გაიტანა (პოიეტი, ზოლა, ჰიუზი) და ორი შეხვედრის ჯამში გამარჯვებული გამოვიდა (0:1, 3:1).

„შტუტგარტისა" და „ჩელსის" ფინალურ მატჩს 13 მაისს სტოკჰოლმი უმასპინძლებს.

## ჭადრაკი

# თეთრების შავი დღე

საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ეროვნულ ჩემპიონატზე გუშინ გათამაშდა მეოთხე ტური. ლიდერების — დიდოსტატ მაია ლომინეიშვილისა და საერთაშორისო ოსტატ სოფიკო ტყეშელაშვილის პარტია ლომინეიშვილის გამარჯვებით დამთავრდა. ახლა მას ოთხი შესაძლებლიდან 4 ქულა აქვს. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება ნატო ეძგვერაძე, რომელმაც გუშინ შავი ფიგურებით სოფიკო ტერელაძეს სძლია. საგულისხმოა, რომ IV ტურში შავი ფიგურებით მოთამაშე მოჭადრაკეებმა ცხრა პარტია მოიგეს, ოთხი ყაიმით დაამთავრეს და ხუთი ხელი დათმეს.

ტურის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ჯავახიშვილი-ნიკოლაძე 0,5:0,5, თვაური-გოლეთიანი 0:1, ხურცილავა-მელაშვილი 1:0, წურწუმია-მათნაძე 0,5-0,5, მაისურაძე-ცალუღელაშვილი 0,5:0,5, ხორავა-თანდაშვილი 0:1, ხმიადაშვილი-ჯაფარიძე 0:1, ყველიაშვილი-გვეტაძე 0:1, ძაგნიძე-წიტაიშვილი 0,5:0,5, ფურცელაძე-ჩხაიძე 0:1, კურცხალია-ლომსაძე 1:0, წიქარიშვილი-დათუაშვილი 0:1, ჩაიკოვსკაია-ხოტენაშვილი 1:0, ვახანია-კვარაცხელია 0:1, ბიბილაშვილი-ბაწაშვილი 0:1, კალადარიშვილი-ადეიშვილი 1:0.

დღეს მეხუთე ტურია.

**ეკა ბესტავაშვილი.**

## ჭიდაობა

# თბილისი, გორი, ქუთაისი...

ფილას წლევანდელი კალენდრის მიხედვით, ევროპის პირად-გუნდური ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში იუნიორთა შორის (1978-81 წლებში დაბადებულები) 24-27 ივნისს მაკედონიაში გაიმართება, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატს 8-10 აგვისტოს სან-ხოსე (აშშ) უმასპინძლებს. ამ ოფიციალურ ასპარეზობათა გენერალურ დათვალიერებას წარმოადგენდა საქართველოს 1998 წლის პირადგუნდური ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც, სულ ახლახან, გორში გაიმართა. მასში საქართველოს 18 ქალაქისა და რაიონის 115-მდე ჭაბუკი ფალავანი გამოდიოდა, რომელთა მორისაც 8 ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების გამარჯვებული და პრიზიორი გახლდათ.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონის საპატიო ტიტულები მოიპოვეს: ბესიკ გოჩაშვილმა (49 კგ. გორი), შალვა მუზიაშვილმა (52 კგ. გორი), ოთარ თუშიშვილმა (56 კგ. გორი), ენაცაკან არუთინიანმა (60 კგ. გორი), ბონდო ჭიღლაძემ (65 კგ. თბილისი), თენგიზ ბაკურაძემ (70 კგ. ამბროლაური), ზაზა ნოზაძემ (76 კგ. თბილისი), ზვიად ბიძიშვილმა (83 კგ. თბილისი), მიხეილ ტურაშვილმა (90 კგ. თბილისი), დავით ოთიაშვილმა (მძიმე წონა, თბილისი).

საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა თბილისის მოჭიდავეთა ნაკრებმა, მეორე ადგილზეა გორის, ხოლო მესამეზე — ქუთაისის ფალავანთა გუნდი.

**შოთა ბოკერია.**

## კალათბურთი

# შინ და გარეთ

გუშინ გამოვლინდა ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მეორე ფინალისტი. რუსთავის „აზოტმა" ანგარიშით 88:76 დაამარცხა სდასუ და ნახევარფინალური „პლეი-ოფების" სერია 3:1 მოიგო.

ფინალური შეხვედრები და მატჩები მესამე ადგილისათვის 28 აპრილს დაიწყება და სამ მოგებამდე გაგრძელდება.

ევროპის საკლუბო თასი პირველად მოიპოვა კაუნასის „ჟალგირისმა". ლიტველებმა ფინალური მატჩი ბელგრადში იტალიის „სტეფანელს" მოუგეს 82:67.

## ფეხბურთი

# ბრძოლა გამწვავდა

გუშინ საქართველოს სტადიონებზე გაიმართა ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის XXIII ტურის შეხვედრები. გაუწყებთ მათ შედეგებს:

„სიონი" — „მორკინალი" 3:0, „ტორპედო" — „მერანი" 3:0, „მაღაროელი" — „გურია" 2:0, თსუ — „სამგურალი" 2:1, „კოლხეთი" — „დინამო" 3:1, „ბათუმი" — „დილა" 2:0, „ოდიში" — „მარგვეთი" 2:2.

## ასეც მომხდარა

# სანამ უსაათოდ თამაშობდნენ...

თბილისის ერთ-ერთ პირველ ჩემპიონატში უსაათოდ თამაშობდნენ, ყველაფერი მოჭადრაკეზე იყო დამოკიდებული, შეეძლო ეფიქრა რამდენიც სურდა, ზოგი ელვისებური სისწრაფით თამაშობდა, ზოგი სვლაზე ერთ საათს ფიქრობდა.

და აი, ჩემპიონობის ბედი ერთადერთ პარტიას უნდა გადაეწყვიტა. ერთმანეთს ხვდებოდნენ ოსტატი სმოროდსკი და პირველი კატეგორიის მოჭადრაკე ალამალიანი. ალამალიანი იმით იყო ცნობილი, რომ მეტად მძიმედ თამაშობდა, სვლების მოფიქრებას უმრავ დროს ანდომებდა, სმოროდსკიმ ეს მშვენიერად იცოდა, მაგრამ რას გააწყობდა.

დაახლოებით ათი სვლა რომ გაკეთდა, ალამალიანი პირველად ამ პარტიაში, ღრმად ჩაფიქრდა. სმოროდსკი, დრო რომ უქმად არ დაეკარგა, რესტორანში წავიდა და კარგად ივახშმა. ორი საათის შემდეგ კლუბში რომ დაბრუნდა, ალამალიანი კვლავ ფიქრობდა, ვინ იცის, რთული მიტელშპილის წინ როგორი გეგმის არჩევას აპირებდა. ბოლოს, როგორც იქნა, ითამაშა. ოსტატმა სწრაფად უპასუხა, ალამალიანი კი კვლავ ღრმა ფიქრს მიეცა.

სმოროდსკი აღელდა, აღშფოთებასაც ველარ მალავდა. ამ დროს გაიღო კარი და დარბაზში მისი მეუღლე შემოვიდა. მაშინ ოსტატს ბედნიერი აზრი მოუვიდა — ცოლი კინოში დაპატიჟა.

სალამოს სეანსის შემდეგ, სმოროდსკიმ ცოლი სახლში გააცილა, კლუბში დაბრუნდა და რას ხედავს — მეტოქე კვლავ ფიქრობდა. ოსტატი იცდიდა, ბოლთას სცემდა, ერთი ოთახიდან მეორეში დადიოდა. ბოლოს, ველარ მოითმინა, შუაღამისას ფიგურები აურია და, ამრიგად, თავი დამარცხებულად ცნო.

თბილისის ჩემპიონობა ალამალიანს მიენიჭა. მიულოცეს ვართან მიხეილის მეს. ვინ იცის, შეიძლება მას ეს წოდება შემდეგ წელსაც შეენარჩუნებინა, მაგრამ მისდა საუბედუროდ, მომდევნო წლიდან თბილისის ჩემპიონატი სულ სხვანაირად ჩაატარეს — საათების თანხლებით.

## ათლეტიზმი

# ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად

## სოსო ხარაბაძის ერთი სავარჯიშო კვირა



სოსო ხარაბაძე საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათლეტთა ნაკრები გუნდის „ამირანის" კაპიტანია. დაიბადა 1952 წელს. ათლეტიზმში ვარჯიში დაიწყო 1992 წელს, 40 წლის ასაკში (ამ ასაკამდე სოსო ხარაბაძეს ვერაფრით ვერ მიაკუთვნებდით ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმდევრებს). 1993 წელს შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი, 1995 წელს გახდა ევროპის ჩემპიონი 82,5 კგ-მდე წონით კატეგორიაში. 1995 წლიდან დღეის ჩათვლით ვერ მოხერხდა მისი ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატებზე და მსოფლიოს არაოლიმპიურ თამაშებზე (1997 წ. ფინეთი, ლაჰტი) გაგზავნა უსახსრობის გამო. მთელი ამ დროის განმავლობაში და დღესაც, სოსო ხარაბაძე შედეგებით უძლიერესი ათლეტია მსოფლიოში თავის წონით კატეგორიაში. ამჟამად იგი იწონის 100 კგ, მისი სიმაღლეა 165 სმ, მკერდის გარშემოწერილობა — 135 სმ, ხელის — 50 სმ, ფეხის — 78 სმ.

ვარჯიშებზე 10-ჯერ ჭიმავს 200 კგ, ამდენჯერვე უჯდება 300 კგ-ს. ამოწევაში, ძირითადად, ვარჯიშობს ყუთებიდან. სავარჯიშო წონები მერყეობს 360-400 კგ-ს შორის.











გთავაზობთ რამდენიმე ვარჯიშს სოსო ხარაბაძის სავარჯიშო არსენალიდან. დღევანდელი ვარჯიში ეთმობა აჭიმვასა და მის დამხმარე ვარჯიშებს.

### I დღე — ორშაბათი

1) **აჭიმვა განიერი ჭიდით (სურ. 1)**, 6 მისვლა, 8-10 გამეორება.

2) **აჭიმვა ვიწრო ჭიდით (სურ. 2)**. 6 მისვლა, 8-8 გამეორება.

3) **აჭიმვა შებრუნებული ტაცით (სურ. 3,4)** 4 მისვლა 8-8 გამეორება.

ალნიშნული სტილით ჭიმავს შტანგას მსოფლიოს რეკორდსმენი პროფესიონალებს შორის, ზემძიმეწონოსანი ენტონი კლარკი (აშშ). მისი პირადი წონაა 180 კგ, საუკეთესო შედეგი აჭიმვაში — 353 კგ. ეს ვარჯიში კარგად ანვითარებს მხრის სამთავა კუნთებს (ტრიცეპსებს) და ზურგის უგანიერეს კუნთებს, აგრეთვე, მკერდის დიდ კუნთებს.

4) **აჭიმვა ხიდზე (სურ. 5, 6)**. ათლეტი გადრეკილია წელში, ფეხებით და მხრებით ეყრდნობა ასაჭიმ სკამს. ეს მოძრაობა კლასიკურ მოძრაობასთან შედარებით გაცილებით დიდი წონების აჭიმვის საშუალებას იძლევა. გამოიყენება დამხმარე ვარჯიშად.

ამ ვარჯიშისთვის რეკომენდებულია 4-6 მისვლა, 8-10 გამეორებით.

5) **აჭიმვა დახრილი სკამიდან მძიმე ჰანტელებით (სურ. 7, 8)**. იგივე ვარჯიში შეიძლება შესრულდეს შტანგითაც. სოსო ხარაბაძე სათანადო მოთელვის შემდეგ ამ ვარჯიშს 75 კგ. წონის ჰანტელებით ასრულებს, საშუალოდ 4-6 მისვლას, 10-10 გამეორებით.

6) **აჭიმვები ორძელზე (სურ. 9)**. ეს ვარჯიში მნიშვნელოვნად აძლიერებს მხრის სამთავა კუნთებსა და მკერდის დიდ კუნთებს, შესაბამისად ზრდის შედეგს აჭიმვაში. უმჯობესია ვარჯიში შესრულდეს ქამარზე დაკიდებული წონებით. სოსო ხარაბაძე წონებს ცვლის 60-დან 100 კგ-მდე. ასრულებს 4 მისვლას, 8-10 გამეორებით.

**ზურაბ ჭავჭანიძე,**
საქართველოს დამსახურებული
მწვრთნელი, პროფესორი.

თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.









უძღვება
ანზორ ბასილაია.

თეატრალური
გაზეთი

# სახიობა

„საქართველოს რესპუბლიკის“
ყოველთვიური დამატება

№4

> ...დიდია, განუზომელია მნიშვნელობა თეატრისა ყველა ერისათვის. კულტურა თეატრისა უმაღლესი კულტურაა ერისა. იგი ხარობს, ფრთებს ისხამს მასთან ერთად და ეცემა, კვდება ერის სიკვდილთან ერთად.
>
> **სანდრო ახმეტელი.**

## მარადიული კანდელი

# «მსახიობი სიკვდილშიც ცოცხლობს»

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირს კარგი ტრადიცია აქვს. კ. ნინიკაშვილის ხელმძღვანელობით ყოველი წლის გაზაფხულზე აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლი ხსოვნის დღეებს მასპინძლობს. საღამოებზე ცოცხლდებოდნენ უკვე ლეგენდად ქცეული ადამიანები.

წლეულს ხსოვნის საღამოები 6 აპრილს უშანგი ჩხეიძის მოგონებით დაიწყო, კაცისა, რომელმაც ვერიკო ანჯაფარიძესა და კოტე მარჯანიშვილთან ერთად მთელი ეპოქა შექმნა ქართულ თეატრში.

სცენის სევდიან განწყობას უშანგი ჩხეიძის ფოტოები, რამდენიმე კოსტუმი, ფირზე ჩაწერილი მისი ხმა ქმნიდა თითქმის ორი საათის განმავლობაში. იხატებოდა მსახიობის პორტრეტი. ათი წელიწადი იდგა იგი ქართულ სცენაზე. თითქოს ცოტა დროა იმისათვის, რომ კაცმა მთლიანად გამოავლინო შენი შესაძლებლობები, ითამაშო ურიელი, ჰამლეტი, ყვარყვარე, ჩენჩი და ყველაფერი ეს ტრიუმფალური წარმატებით! და რაც მთავარია, როგორც საღამოს დასაწყისში ბატონმა გიგა ლორთქიფანიძემ ბრძანა, განსაზღვრო იმდროინდელი ქართული თეატრის მხატვრული დონე.

ქალბატონმა ნათელა ურუშაძემ წაიკითხა საოცრად თბილი მოგონება პეტრე სარაჯიშვილისა, რომელიც უშანგი ჩხეიძის ექიმი გახლდათ. მსახიობს ხომ შიში დაეუფლა სცენაზე გამოსვლისა, რის გამოც ნაადრევად ჩამოშორდა თეატრს. მთელი საღამოს განმავლობაში მსახიობები კითხულობდნენ მის ლექსებს. გულთბილი მოგონებით გამოვიდა ბატონი ვახტანგ გაბლიაშვილი. ფრიად საინტერესო იყო ქალბატონ ნინო ჩხეიძის მოგონებაც მის ძვირფას ძმაზე, რომლის მეოხებითაც ეზიარა სცენას.

იხ. გვ - 10 გვ.

## მოვლენის წინ

# „ბრავოს“ სავიზიტო ბარათები

როგორც უკვე ვიუწყებოდით, წლეულს 28 აპრილიდან 6 მაისამდე, თბილისში გაიმართება საოპერო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი „ბრავო“. ამ დიდი ზეიმის იდეის ავტორი და სულისჩამდგმელია, გამოჩენილი ქართველი მომღერალი პაატა ბურჭულაძე.

ცხადია, რომ პაატას უდიდესი ავტორიტეტი, შემოქმედებითი კონტაქტები მსოფლიოს საოპერო ხელოვნების დიდოსტატებთან იქცა იმის წინაპირობად, რომ ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო მომღერლები — კალუდი კალუდოვი, კატია რიჩარელი, რენატო ბრუზონი, ალესანდრა მარკი, ანდრეა როსტი, კრისტიან იოჰანსონი, სტეფანია ტოჩესკა, რომელთა შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ ინფორმაციას შემოთავაზებულ „სავიზიტო ბარათებში“ გაგაცნობთ.

ყურადღებას სწორედ მათს მოღვაწეობაზე იმიტომ ვამახვილებთ, რომ ქართველი მკითხველი ამ მხრივ ნაკლებად არის ინფორმირებული.

შეგახსენებთ, რომ ამ მუსიკოსების გვერდით, ჩვენ შევხედებით ქართველ მომღერლებსაც, მათ შორის თვით პაატა ბურჭულაძეს, რომელიც შეასრულებს სპარაფუჩილეს პარტიას „რიგოლეტოში“ და რამფისს — „აიდაში“. გარდა ამისა, პაატა ფესტივალის ყველა მონაწილესთან ერთად მსმენელის წინაშე გალა-კონცერტშიც წარსდგება.

**ზურაბ ოიკაშვილი.**

# კალუდი კალუდოვი

## (ტენორი)

დღეს უკვე მსოფლიოში ცნობილ ბულგარელ მომღერალს — კალუდი კალუდოვს მუსიკაში პირველი ნაბიჯები ვესელინა ზოფიროვამ გადაადგმევინა. ბულგარეთის სახელმწიფო კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში ((1974-78 წ.წ.) მისი აღმზრდელი იყო ლილიანა ქაბლენსკა.

სოფიის ოპერის თეატრის სოლისტი კალუდი კალუდოვი თავის ხელოვნებას ხვეწდა სახალხო არტისტის — ნიკოლა ნიკოლოვის ხელმძღვანელობით.

კალუდი კალუდოვის დებიუტი 1978 წელს შედგა პლოვდივის ოპერის თეატრში ვერდის „ტრავიატათი“. ამავე წელს მომღერალი გაიცნო პოლონელმა მსმენელმაც ვარშაველთა სპექტაკლებში — „ტრავიატა“ და „რიგოლეტო“.

11 წლის მანძილზე იგი სოფიის ოპერის თეატრის სოლისტი იყო.

1989 წლიდან კალუდი კალუდოვი პოზნანის, ლოძის და ბიტომის თეატრების სოლისტია. იმავდროულად მღეროდა „ლა სკალას“ სპექტაკლებში — ვერდის „ატილასა“ და პუჩინის „მანონ ლესკოში“.

ცნობილი დირიჟორის ზუბინ მეტას მიწვევით კალუდი კალუდოვმა თელ-ავივში შეასრულა რადამესის პარტია ვერდის „აიდაში“ და მონაწილეობა მიიღო ვერდის „რექვიემის“ აჟღერებაში.

ავსტრია, გერმანია, საფრანგეთი, პოლანდია, ბელგია, შვეიცარია, მალტა, დანია, ესპანეთი, იტალია, პოლონეთი, პორტუგალია, ისრაელი, კანადა, აშშ — იმ ქვეყნების მოკლე ჩამონათვალია, სადაც უდიდესი წარმატებით უმღერია კალუდი კალუდოვს.

სურათზე: საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე პაატა ბურჭულაძესთან და მის კოლეგებთან ერთად. (1992 წელი).

მისი სასცენო პარტნიორები არიან ცნობილი მომღერლები — მირელა ფრენი, მარია კიარა, პლასიდო დომინგო, შერილ სტიუდირი, ხუან პონსი, ნიკოლაი გიაუროვი, პაატა ბურჭულაძე და სხვები.

მომღერალს შემოქმედებითი ურთიერთობა აქვს თანამედროვე სადირიჟორო ხელოვნების აღიარებულ ოსტატებთან — კლაუდიო აბადოსთან, რობერტო აბადოსთან, რიკარდო მუტისთან, ფაბიო ლუიზისთან, ზუბინ მეტასთან, ხორსტ შტაინთან...

კალუდი კალუდოვის შემოქმედებას უყურადღებოდ არ ტოვებენ ხმისჩამწერი ფირმები — „ბალკანტონი“, „დეკა“, „ნაქსოსი“, „სონი-კლასიკი“.

თბილისში გამართულ ფესტივალზე კალუდი კალუდოვი შეასრულებს კავარადოსის („ტოსკა“) და ჰერცოგის („რიგოლეტო“) პარტიებს, ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო კი, ალბათ, მის მიერ განსახიერებული აბესალომი იქნება. საგულისხმოა, რომ მომღერალმა აბესალომის პარტია საგანგებოდ თბილისის ფესტივალისათვის შეისწავლა. სპექტაკლში მას პარტნიორობას ქართველი მომღერლები მარინე ჯახუტაშვილი (ეთერი), გიორგი გაგნიძე (მურმანი) და გია ასათიანი (აბიო მეფე) გაუწევენ.

იხ. გვ - 8-9 გვ.

### პრემიერა

# სოლომან მორბელაძის ახალი სიცოცხლე

**დავით კლდიაშვილის** თეატრი წლების განმავლობაში იცვლება. ევოლუცია განსაკუთრებით საგრძნობი გახდა 60-იანი წლებიდან, როცა მ. თუმანიშვილმა რუსთაველის თეატრში დადგა „დარისპანის გასაჭირი“ (ს. ზაქარიაძის მონაწილეობით). მას შემდეგ არაერთი საინტერესო ექსპერიმენტული ხასიათის სპექტაკლი დაიდგა. ქართული რეჟისურა მწერლის შემოქმედებაში ახალ გამომსახველობით საშუალებებს ეძებს.

რეჟისორმა ანდრო ენუქიძემ მარჯანიშვილის თეატრში დ. კლდიაშვილის მოთხრობის „სოლომან მორბელაძის“ ახალი ვერსია შემოგვთავაზა. ანდრო ენუქიძე დიდ ინტერესს იჩენს კლდიაშვილის ნაწარმოებებისადმი. რამდენიმე წლის წინათ მან რუსთაველის თეატრში წარმატებით განახორციელა „ირინეს ბედნიერება“. ორივე სპექტაკლში რეჟისორი ცდილობს ახლებურად გააზრებული, ერთის შეხედვით თითქოს ყველასათვის ადვილად გასაგები და ნაცნობი სამყარო წარმოგვიდგინოს.

სპექტაკლში — „სოლომან მორბელაძე“ — მოქმედება სცენაზე განლაგებულ, ფიცრით შეკრულ მოედანზე ვითარდება (მხატვარი ი. გეგეშიძე). აქ იმ ადამიანთა ცხოვრების ეპიზოდები თამაშდება, რომელთაც გაჭირვების გამო მოთმინებისა და იმედის მეტი არაფერი დარჩენიათ. ისინი ხშირად ტყუიან, პირფერობენ, არღვევენ ეთიკას და როგორც თვითონ დ. კლდიაშვილი ამბობდა, „ეწირებიან ამ შავბნელ ცხოვრებას“. სპექტაკლის ფინალშიც ზუსტად ისახება მატყუარათა და მოტყუებულ ადამიანთა ბედი. „ტყუილი, ტყუილი, ყოველ ნაბიჯზე და უპირობა!“. გასული საუკუნის ბოლოს დაწერილი ეს სტრიქონები დღესაც თანადროულად ჟღერს.

ა. ენუქიძის დადგმაში წარმოდგენილი გმირები სასაცილონიც არიან და საბრალონიც. მათ ქცევაში კარგად იკითხება ის ტკივილი, რაც ცხოვრებამ მოიტანა. ამ სცენაზე ადამიანებს თითქოს დროებითი თავშესაფარი აქვთ. აქ მსახიობი გმირიც არის და მაყურებელიც, რომელიც შორიდან ადევნებს თვალყურს თავისევე სულის ორეულს. სპექტაკლი ეპიზოდებადაა დაყოფილი და „კონფერანსიეს“ პრინციპითაა წარმოდგენილი, რაც, ჩემი აზრით, ზედმეტია, რადგან გამოუცხადებლადაც ადვილი მისახვედრია, თუ რომელი სცენა თამაშდება.

სპექტაკლის მთავარი გმირი სოლომან მორბელაძე საინტერესოდ მოფიქრებული სახეა. მსახიობი დავით დვალიშვილი თავის გმირს ტრაგიკომიკურ პლანში წარმოგვიდგენს. სპექტაკლის დასაწყისშივე, როცა იგი მევალეს დაპირებით ისტუმრებს, ნათელი ხდება არა მარტო მისი ეკონომიკური მდგომარეობა, არამედ საერთო სოციალური ფონიც. დაგლახაკებულ და ამავე დროს თავმომწონე აზნაურიშვილს (იგი ასეთად წარმოგვიდგება) თავისი ახალი ხელობის — მაშვალობის დიდი იმედი აქვს. თუმცა, ამას აზნაურიშვილი არცკი უნდა კადრულობდეს, მისი ხელობა ხომ კარდაკარ სიარული და წანწალია, ფარისევლობა და „მანჭვა-გრეხვაა“, რადგან მხოლოდ ასე შეიძლება „საქმის მოკვარახჭინება“ და ფულის შოვნა. იგი ამგვარად იბრძვის არსებობისათვის, მაგრამ საქმე ყოველთვის კარგად როდი მთავრდება. სწორედ ეს გახლავთ მისი ტრაგედია. დ. დვალიშვილი იუმორს გვარიანად ფლობს და ოსტატურად უთავსებს ერთმანეთს დრამატულ და კომიკურ ხასიათებს. სოლომანის გაჭირვების თანაზიარი და მისი მეგობარი ჯორია დ. ანთაძის მიერ ცოცხლად არის წარმოდგენილი და მის გამოჩენას მაყურებელი ინტერესით ადევნებს თვალს.

სპექტაკლში დ. დვალიშვილისა და მ. კოშაკოევას (ელპიტე) გარდა, თითოეული მსახიობი რამდენიმე მოქმედ პირს ასახიერებს — ნ. მგალობლიშვილი (ბესარიონი, ქაიხოსრო), ნ. ჩიქვინიძე (პელაგია, ეფროსინე), ლ. ანთაძე (პლატონი, მოხუცი აზნაური, ჯორის სული) ზ. ბერიკაშვილი (გოგია, სიკოია და ნიკო).

ამგვარად, რეჟისორი საინტერესო პირობებს უქმნის მსახიობებს და აძლევს მრავალმხრივი მუშაობის საშუალებას. მაყურებელთა თვალწინ ხდება მათი როლიდან როლში გარდასახვის პროცესი. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ, მსახიობთა თამაში მართლაც საინტერესოა, თუმცა — ყოველთვის თანაბარი ძალის როდია.

ბესარიონისა და ქაიხოსროს როლების შემსრულებელი ნ. მგალობლიშვილი კონტრასტულ პრინციპებზე აგებს სახეთა შეპირისპირებას. აქ გმირების განსხვავებული პორტრეტები, მარტო ჩაცმულობისა და მანერების მიხედვით კი არ განირჩევა, არამედ თვითმყოფადი ხასიათებია წარმოდგენილი. ბესარიონი გამხდარი, სცენაზე მოლასლასე, ჩაცვენილი ლოყებითა და ფიქრით დაღლილი კაცის სილუეტივით ილანდება. მისი საფიქრალი ისაა, იმას მიათხოვოს ქალიშვილი, ვინც ცოტა მზითევს დაყაბულდება. სულ სხვაა ქაიხოსრო, უფრო მტკიცე, ამაყი, ენერგიული, მიწიერი. იგი თავისი ვაჟით — ნიკოთი (ზ. ბერიკაშვილი) ამაყობს, რომელიც მალე სასულიერო პირი გახდება. არც ზ. ბე[illegible]აშვილს აკლია იუმორის გრძნობა, [illegible] სამივე როლი შესრულებულია ლაკონური და დახვეწილი არტისტიზმით.

სპექტაკლში შედარებით მკრთალადაა წარმოდგენილი პელაგიასა და ელპიტეს ურთიერთობა. რეჟისორმა ელპიტე კლდიაშვილისაგან სრულიად განსხვავებულ სახედ წარმოგვიდგინა. იგი როდი ჰგავს მორცხვ, დედის კალთას ამოფარებულ საწყალ არსებას. პირიქით, რეჟისორმა ელპიტე აქტიურ ქალად აქცია, რომელიც სამზითვო „ფულის გამომძალვის“ მიზნით დედაზე ნაჯახს აღმართავს. დედის — პელაგიას (ნ. ჩიქვინიძე) სახე იუმორითა და მკვეთრი სახასიათო ნიშნებით ხასიათდება, მაგრამ მეტყველების შეცვლისას ზოგჯერ ტექსტი იკარგება.

გაუგებარია და არავითარ მხატვრულ აუცილებლობას არ წარმოადგენს სცენაზე იარაღის ტრიალი. თუ ეს თანამედროვეობასთან ასოციაციის მიზნით ხდება, მაშინ იგი მეტისმეტად მარტივი და „ღია ხერხია“. ასევე სრულიად ზედმეტი და არაბუნებრივიცაა კლდიაშვილის გმირებისათვის სოლომანისა და მისი მეუღლის სასიყვარულო სცენა. ხელოვნურია ასეთი „გათანამედროვეობა“.

წარმოდგენას აქვს ზუსტი მუსიკალური რიტმი, რომელსაც ბუნებრივად ერწყმის გია მარღანიას ქორეოგრაფია.

რეჟისორი ა. ენუქიძე საერთოდ გემოვნებით სავსე სპექტაკლს ქმნის, სადაც მხატვრული ხედვა, ოსტატობა პროფესიულ დონეზეა, მაგრამ სასურველია, დადგმაში უფრო მეტად იყოს წარმოჩენილი კლდიაშვილისეული ცრემლნარევი იუმორი და გმირთა ტრაგიკომიკური ბუნება.

**მაია კიკნაძე.**

# ფიფქია და მისი ამალა

**ევროპის** ხალხთა ზღაპრებში ხშირად შეხვდებით ფრაზას — სწრაფად ზღაპარი თავდება, საქმე კი არა. თუ ამ მოარულ გამოთქმას ზღაპრიდან რეალობაში გადავიტანთ და ქართულ სინამდვილეში გამოვიყენებთ, ვფიქრობ, ზუსტ შეფასებას მოვუძებნით იმას, რაც კიდევ ერთი ახალი სპექტაკლის დაბადებას ახლდა თან. ვასო აბაშიძის სახელობის სახელმწიფო მუსიკალური თეატრის სცენაზე ახლახან ორმოქმედებიანი მიუზიკლის პრემიერა გაიმართა, რომელსაც მოუთმენლად ელოდნენ დიდებიც და პატარებიც. უამრავი სიძნელის გამო, რომელთა ხელისშემშლელ ბარიერად დასახელება დღეს არავის გაუკვირდება, პრემიერა ვადით განსაზღვრულ დროსთან შედარებით, რამდენადმე დაგვიანდა, დიახ, ზღაპარი სწრაფად თავდება, საქმე კი არა!

სპექტაკლის ფორმა საოცრად შეკრულია და შეკუმშული. ამბის განვითარების ხანგრძლივობის პრობლემა მსმენელის აღქმის ფსიქოლოგიის გათვალისწინებითაა გადაწყვეტილი. მაყურებელთა უდიდესი ნაწილი ბავშვებია, რომელთა მხატვრული ალღო, გემოვნება, მსოფლაღქმა ძალზე ფაქიზია — მათ ადვილად ვერაფერს მოაწონებ, მით უმეტეს, გასცენიურებულ საყვარელ ზღაპარს. ბავშვები ძალზე იჭვნეულად განეწყობიან ხოლმე მათი სათაყვანებელი ზღაპრის ისეთი ეკრანიზაციისა ან სცენური დადგმის მიმართ, რომელიც პირველწყაროს დიდების თვალით გაიაზრებს და, ამდენად, ბავშვის სამყაროს თვალსაწიერიდან გაიყვანს.

ამ ახალი სპექტაკლის პრემიერამ ნათლად დაგვანახა, რომ მისი უპირველესი მსაჯულები ბავშვები იყვნენ, რომელთა გაბრწყინებული სახეები სპექტაკლის დამთავრებისას მრავლისმეტყველი გახლდათ. სპექტაკლის პრემიერას წარმატება ხვდა.

მიუზიკლის ლიბრეტოს მთარგმნელი და დამდგმელი რეჟისორი ვაჟა ძიგუა ბრძანდება, კომპოზიტორი — ნუნუ გაბუნია, მხატვარი — ლომგულ მურუსიძე, კოსტიუმების მხატვარია მანანა გუნია, დამდგმელი ქორეოგრაფი — რამაზ გულუა, ბალეტის რეპეტიტორი — იანინა იასინსკაია, რეჟისორის ასისტენტი — ზაალ ალლაძე, რეჟისორის თანაშემწე — ნატო მელიქიშვილი, ხმის რეჟისორებია ემზარ ბეგიაშვილი და ნინო ბარბაქაძე, ფარიკაობის სცენარის დადგმაზე მუშაობდა კახა ხოშტარია.

სპექტაკლში ძირითადად მონაწილეობენ თეატრალური ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტები. ამ ჯგუფს ხელმძღვანელობენ — ბატონები გიგა ლორთქიფანიძე და ნუგზარ გაჩავა. ახალბედა მსახიობებს პარტნიორობას უწევენ შედარებით უფროსი თაობის მსახიობები — მარინა ლორთქიფანიძე, ბადრი და ალექსანდრე ბეგალიშვილები, ნუგზარ ახალკაცი.

სპექტაკლს საფუძვლად უდევს ლევ უსტინოვისა და ოლეგ ტაბაკოვის პიესა, რომელიც, თავის მხრივ, რასაკვირველია, ლიტერატურულ პირველწყაროს, მშვენიერ ზღაპარს ეფუძნება, ყოველ ზღაპარში კეთილისა და ბოროტის დაპირისპირების იდეაა გაცხადებული, რაც ორ სახეობრივ სფეროს წარმოქმნის. ჩაგრული გმირის ყოფა ერთ მშვენიერ დღეს ბედნიერების შარავანდედით იმოსება, მაგრამ ამ გზაზე სიწმინდით, უმანკოებით, სიკეთის გამოსხივებით ბოროტება უნდა განაიარაღოს. ზღაპრის ეს იდეა მის დინამიურ განვითარებაში მთელი სისავსით წარმოაჩინა პრემიერის დღეს ფიფქიამ — ნატო ჩხეიძემ. მის თამაშს ამაღლებული ტონი გამოარჩევდა. აკადემიური მოძრაობები, ზღვრული ემოციით ალსავსე შესრულება სწორედ იმ ამაღლებულობის, უმანკოების წარმოჩენას უწყობდა ხელს, რომელიც ფიფქიას მთავარი იარაღია, ამასთან, ნატომ ამ როლისთვის ხმის სპეციფიკური ტემბრიც მოძებნა. არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ნატოს შესრულების მანერა ბალერინას პლასტიკურ მოძრაობებს შეიცავს, რომლებიც სწორედ აღმაფრენის და პაეროვნების განცდას წარმოშობენ.

ფიფქიას როლის განსხვავებული ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა თამარ ცხვიტავამ პრემიერის მეორე დღეს. მშვენიერება არც ამ ფიფქიას აკლდა, აქცენტი გადატანილი იყო მძაფრ ემოციურ თამაშზე. ფიფქიას როლის ორივე შემსრულებელს პარტნიორობას უწევდა ირაკლი ჯაფარიძე — უფლისწული.

განსაკუთრებული გამოყოფის ღირსია სამეფო სურვილების შემსრულებელი ბადრი ბეგალიშვილი. ოჯახური ტრადიციების ღირსეულმა გამგრძელებელმა გმირის ხასიათის რელიეფური გადმოცემა შესძლო.

დედოფლის როლს პრემიერის დღეს ასრულებდა ალა ბერიძე, მომდევნო დღეს კი — მარინა ლორთქიფანიძე. ალა ბერიძე ნატო ჩხეიძის მსგავსად ახალბედა მსახიობია, თუმცა ეს სრულებით არ ეტყობა მათი თამაშის დონეს.

ჯუჯების როლს ასრულებენ: ორშაბათს — გიორგი ყველაშვილი, სამშაბათს — აკაკი თოფურია, ოთხშაბათს — ტატო ზარათაშვილი, ხუთშაბათს — თომა ბულაშვილი, პარასკევს — ანზორ ხიდაშელი, ზურაბ ქევხიშვილი, შაბათს — იოსებ ტვილდიანი, ნუგზარ ჯებაშვილი, კვირას — ალექსანდრე ბეგალიშვილი.

მასხარას როლში გამოდიან ნუგზარ ახალკაცი და იოსებ ტვილდიანი, ყვავის როლში კი ერთმანეთს ენაცვლებიან ციალა გურგენიძე და მანანა გრიგორიანი. სპექტაკლში მონაწილეობენ ბალეტის მსახიობები, საოცარი სილამაზე შემოაქვთ სცენაზე ფიფქიას მეგობრებს — ყვავილებს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს სპექტაკლის ერთი, ჩვენი აზრით, პატარა ლაფსუსის შესახებ, რომელიც პრემიერის მეორე დღეს კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა. პირველ მოქმედებაში დედოფალი გვეკითხება — არის თუ არა ვინმე მისით უკმაყოფილო და დარბაზისკენ შემობრუნდება. ბავშვები, რომელთათვისაც სცენური პირობითობის ცნება არ არსებობს და, რომლებიც, სინამდვილესა და თამაშს შორის ზღვარს ვერ ავლებენ, ყვირილით, სკანდირებით პასუხობენ დედოფალს, ორ სიტყვას: „კის“ და „არას“. მარინა ლორთქიფანიძის რამდენიმე არაჩვეულებრივად პლასტიკური პანტომიმური მოძრაობა რომ არა, ბავშვების დასაშოშმინებლად რომ იყო მიმართული, შესაძლოა ერთ ხანს შეწყვეტილიყო მოქმედება სცენაზე. მოკლედ, დედოფლის დასმულმა შეკითხვამ ბავშვები ალაშფოთა, სამეფო სურვილების შემსრულებლის მომდევნო ფრაზამ კი, — ხომ გაიგონე არავინ არ არის უკმაყოფილოო, უფროსები გაგვაცინა. თუკი ეს სცენა საგანგებოდ არის დადგმული კომიკური ეფექტისთვის, მაშინ ამას უბრალოდ უკბილო ხუმრობას დავარქმევდით.

და ბოლოს, ამ სპექტაკლის მუსიკალური მხარის შეფასება მოვიტოვეთ. ნუნუ გაბუნიას ლომის წილი უძევს სპექტაკლის წარმატებაში. მუსიკა იმდენად რელიეფურია და სახეობრივად ინდივიდუალიზებული, რომ თავისუფლად შეგვეძლია მუსიკის ჟღერადობით ამოვიცნოთ, თუ ვინ გამოვა სცენაზე და როგორ წარიმართება მოქმედება — კომპოზიტორმა ყოველ გმირს საკუთარი მუსიკალური დახასიათება მოუძებნა. სიყვარულის ხაზის თემა სპექტაკლში ლირიკულია, მასხარასა და ჯუჯების მუსიკალური დახასიათება სავსეა მხიარული, ჟანრული კოლორიტით. ფარიკაობის სცენას თან ახლავს შფოთის, აურზაურის გამომხატველი მუსიკა, დედოფლის გამოსვლას კი არაბულ-სპარსული მუსიკის შთაბეჭდილების შემქმნელი მელოდია. ასე რომ, გმირთა სახეების გამოკვეთა მუსიკის საშუალებით ხდება.

სხვათა შორის, ქართულ სცენაზე ეს მიუზიკლი ორი წლის წინათ რუსთაველის სახელმწიფო საბავშვო თეატრშიც იგივე რეჟისორმა ვაჟა ძიგუამ დადგა, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ამ პიესის ქართული თარგმანის ავტორიცაა. ამ დადგმას შარშან რუსთაველის თეატრალურ ფესტივალზე „ოქროს ნიღაბი“, ერთერთი მთავარი პრიზი მიენიჭა.

რუსთაველის დრამატულ თეატრში დადგმული სპექტაკლისგან განსხვავებით, ამჯერად მუსიკალურ თეატრში, ჟანრისაგან გამომდინარე ახალი ვარიანტი შეიქმნა. იგი უფრო გამდიდრდა მუსიკალურად და ახალი საცეკვაო ნომრებით შეივსო. სასიხარულოა, რომ ხანგრძლივი და დიდი შრომის ნაყოფი ლამაზად დაგვირგვინდა, რაც რეჟისორის, კომპოზიტორისა და ქორეოგრაფის თანამოაზრეობის შედეგია.

ეს პრემიერა უბრალოდ, მორიგი სპექტაკლის წარმატება კი არაა, არამედ ახალგაზრდა მსახიობების შემოქმედებითი გზის ფეხბედნიერი დასაწყისი, რაც სპექტაკლის დამდგმელის, დახვეწილი ხელოვანის, ვაჟა ძიგუას უცილო დამსახურებაც გახლავთ.

**გვანცა ღვინჯილია,**
**მუსიკისმცოდნე.**

**სურათზე: სცენა სპექტაკლიდან: ფიფქია — ნატო ჩხეიძე, დედოფალი — ალა ბერიძე.**

შალვა ბუქაძის ფოტო.

## მარადიული კანდელი

# ჩემი ცხოვრების თანამგზავრი მერაბ გეგეჭკორი

ნელ-ნელა მიდიოდა ამწვანებულ მთაზე ტრამვაი-მიელტეოლი მთაწმინდისაკენ და როლზე ვფიქრობდი. ხშირად ავდიოდი იქ ინსტიტუტში ყოფნის დროს და მერეც, თეატრში რომ დავიწყე მუშაობა. ზღაპრული გარემო იყო, მზე, ნაირნაირი ყვავილები. ტრამვაი გაჩერდა თუ არა, უცბად ჩემს გვერდით ამოჩნდა მერაბ გეგეჭკორი. ეს მეორე უცნაური შეხვედრა იყო მასთან. გამიცინა და ხუმრობით მითხრა — „ისეე ხომ არ აპირებთ ამ გორაკიდან თქვენებურად „ჩაცურებასო“ — გამახსენა სამი დღის წინანდელი ამბავი...

...ინსტიტუტში მუდამ სისუფთავე სუფევდა, შემოსასვლელიც სარკესავით კრიალებდა და მე იატაკი სასრიალოდ გავიხადე. ჯიქურ რომ გაქანდი, უცბად ვიღაცას შიგ ფეხებში ჩავუვარდი და რაღაც მძიმეც მომხვდა თავში. უცნობმა წამომაყენა, თმები ჩამომშლოდა, გამისწორა და თქვა: — „რა მშვენიერი ხართ და რა ველური საქციელი გაქეთ“. ეს იყო მერაბ გეგეჭკორი. იმ დღეს პირველად გავიცანი.

ზარი დაირეკა, ბ-ნი აკაკი ფაღავას ლექციაზე შევედი. ძალიან აღელვებული და შეშფოთებული ვიყავი იმით, თუ როგორ გამიბედა და მითხრა — „ველური მოქცევა გაქვსო“. ერთი სული მქონდა ჩქარა გავსულიყავი, მომეძებნა ის ყმაწვილი და კარგი პასუხი გამეცა. ძებნა არ დამჭირდა. გავედი თუ არა, იქვე კარებთან იდგა და ხელში ის სქელი წიგნი ეჭირა, რომელიც თურმე თავში მომხვდა! ვერ მოვასწარი სიტყვის თქმა, რომ დამასწრო „გეტკინათ?“ — არა. „გეწყინათ?“ — არა, „ჩემგან უდიერი სიტყვა მოგესმათ ხომ?“ — არა! „არას მეტს არაფერს მეტყვით?“ — არა, „აი მაგ არას მალე გადაგათქმევინებთ“. გამახსენდა ეს და გზა გავაგრძელეთ, დიდი ილიას საფლავთან გავჩერდით. დავიწყეთ მის ნაწარმოებებზე ლაპარაკი. მე „ოთარაანთ ქვრივიდან“ ხმამაღლა წავიკითხე ნაწყვეტი „გიორგის სიკვდილი“, ჩვენმა საყვარელმა პედაგოგმა, მალიკო მრევლიშვილმა რომ ამომირჩია. ბევრი რამ ვიცოდი ილია ჭავჭავაძის შესახებ ელისაბედ ჩერქეზიშვილისაგან და ვუამბე, მერაბი ძალიან დაინტერესდა — კიდევ-კიდევ მომიყევიო, მეხვეწებოდა; — ამას დიდი დრო დასჭირდება-მეთქი. ის კი არ მკითხა, საიდან იცნობ ელისაბედ ჩერქეზიშვილსო. მთაწმინდის კალთაზე პაეროვანი, ნაირ-ნაირი ყვავილები იყო. პატარა კონა შევკარი. არ ვიცი საიდან, ერთი წითელი ყვავილი, რომელიც ვარდს წააგავდა, მერაბმა გამომიწოდა და მითხრა:

„გახსოვს ტურფავ ჩვენს დიდ ბაღში
მე და შენ, რომ ერთად ვრბოდით“...
ჩემს სახსოვრად გქონდეს ესა!“

...დანარჩენს აღარ გეტყვი, ვინაიდან მსურს ჩემგან მორთმეული ეს ყვავილი არასოდეს არ დაჭკნესო... მისმა მოქმედებამ ჩამაფიქრა და ძალიან მომეწონა მისი შინაგანი ბუნება — არც უნივერსიტეტში, არც თეატრალურ ინსტიტუტში ასეთი ლირიკა არც ერთი ახალგაზრდისაგან არ მიგრძნია. ბუნების წიაღმა, თეატრზე საუბარმა ისე გაგვიტაცა, ვერ გავიგე მთაწმინდიდან როგორ დავეშვით. მე გამოვემშვიდობე, ვჩქარობდი, ორი საათის შემდეგ მცირე დარბაზში იწყებოდა მხატვრული კითხვის საღამო ქოჩარიანის მონაწილეობით.

დარბაზში აუარება ხალხი იყო. შევედი თუ არა, მერაბი შევნიშნე. მის გვერდით მარინე თბილელი იჯდა — ერთად სწავლობდნენ. მარინე ისეთი ლამაზი იყო, ყველა მას მისჩერებოდა. მერაბი მოვიდა და აღელვებით მითხრა — „თქვენ გელოდით, გთხოვთ მარინესთან დაბრძანდეთ“.

მარინე ძალიან უწყობდა ხელს ჩვენს კეთილ ურთიერთობას.

კონცერტი რომ დამთავრდა, კოკისპირული წვიმა წამოვიდა. მერაბმა ლაბადა ჩამაცვა და გაცილება შემომთავაზა. გარეთ რომ გავედით, ყველა მე მიყურებდა და იცინოდნენ, კურიოზული ამბავი მოხდა, მერაბმა თავისი ლაბადა ჩამაცვა, ორივეს აგვიტყდა სიცილი. ეს, რა თქმა უნდა, ახალგაზრდული ალმაფრენა იყო, ამის შემდეგ ისე გავცივდი, ორი დღე თეატრალურ ინსტიტუტში ვერ წავედი.

ერთ საღამოს ჩვენთან სტუმრები იყვნენ. იოსებ გრიშაშვილი, ცაცა ამირეჯიბი, ელო ანდრონიკაშვილი, ბ-ნი კორნელი კეკელიძის მეუღლე — მინადორა, გასო აბაშიძე. ბებო ლიზა სტუმრებს უკითხავდა თავის მოგონებებს. ბევრი იცინეს. უცბად ზარი დაირეკა და მომესმა: „თუ შეიძლება, კატო ვინახულოო“ მაშინვე ვიცანი ხმაზე მერაბი და უნდა ვაღიარო, არ მესიამოვნა ამ გარემოებაში მისი გამოჩენა. ყველას მიესალმა, ელისაბედმა იკითხა: — „რა გვარისა ბრძანდებითო“ — გეგეჭკორიო, — უპასუხა ძალიან აღელვებულმა მერაბმა. აჭარხლებული, დაბნეული შემოვიდა ჩემს ოთახში — „სად მოვედი, ვერ გამიგია, ამიხსენი, ეს ხომ შენი სახლია, ელისაბედ ჩერქეზიშვილს აქ რა უნდაო“...

— როგორ თუ რა უნდა, ეს ხომ ელისაბედის სახლია-მეთქი. თავს უხერხულად გრძნობდა, მე ხუმრობით სიცხის საზომი მივაწოდე — ისე აწითლდით, ნამდვილად სიცხე გექნებათ-მეთქი. ცოტა ხნის შემდეგ ლანგარზე ტკბილეულობა და ყავა შემოიტანეს. „შენ ძალიან ნებიერად ცხოვრობ. რა საინტერესო ყოფილა ეს სახლი, რამდენი სურათები გაქვთ, მე შენ სანახავად მოვედი და მუზეუმში კი მოვხვდი“. სურათების ალბომი მივაწოდე. აღფრთოვანებული ათვალიერებდა, მთელი კორიფეები არიან ამ ალბომშიო. ბევრი ვიმუსაიფეთ, წასვლისას დიდი მადლობა გადამიხადა და თქვა, — ჩემს სიცოცხლეში ეს სახლი არ დამავიწყდებაო. ხელზე მეამბორა, მეც დიდი მანდილოსანიეთ გავუწოდე ხელი. წავიდა თუ არა, ცნობისმოყვარე სტუმრები შემომესივნენ. გასო აბაშიძემ თვალი ჩამიკრა და მითხრა, — ეგ ყმაწვილი ნამდვილად შენზე შეყვარებულია, გარეგნობა კარგი აქვს, ხმაც, ზრდილობიანია, მაგრამ ხომ იცი, ბევრი თაყვანისმცემლები გყავს, დიდი დაფიქრება გმართებსო.

მე და მერაბს ბევრი წინააღმდეგობა გადაგვხდა. ბევრი მოითმინა. სულ მეხვეწებოდა, ხელი მოვაწეროთ და, როცა თეატრალურ ინსტიტუტს დაამთავრებ, მერე ვიქორწინოთო: ჩემი პასპორტის საიდუმლოება ჩემი კურსის მეგობრებმა იცოდნენ: მედეა ჩახავამ, სალომე ყანჩელმა, ნათელა მახალდიანმა, ნელი ქუთათელაძემ, ხოლო ჩემს სათაყვანებელ მასწავლებელს გიორგი ტოვსტონოგოვს და თანაკურსელ ვაჟებს მიშა გიქიმრელს და დათიკო ქუთათელაძეს კი დავუმალე, მერიდებოდა. ხუთი თვის შემდეგ ელისაბედთან დაცდა თურმე იმ ქალს, ვისი მეოხებითაც ხელი მოვაწერეთ. დიდი პანიკის შემდეგ დარწმუნდნენ მერაბის პატიოსნებაში, კეთილშობილებაში, წმინდა სიყვარულსა და სისპეტაკეში. ჩემიანები მერაბის სადიპლომო სპექტაკლსაც დაესწრნენ, „პაველ გრეკოვს“, აღფრთოვანებულები დარჩნენ, არაჩვეულებრივი იყო მერაბი. ბევრი ქებაც დაიმსახურა. გეგეჭკორების ოჯახმა — მერაბის მამამ ლადომ და დედამ — თამარ გელოვანმა დიდი სიხარულით და სიყვარულით მიმიღეს. ლადომ წამოიძახა — „ჩემი ოჯახის გამხარებელი მომიყვანა ჩემმა მერაბმაო“. მაზლი, გოგიც, არაჩვეულებრივად შემხვდა, იმ დღიდან და დღემდე ისეთივე სიყვარული მაქვს მისადმი. მერაბი თავის ძმას აღმერთებდა.

ინსტიტუტში გამოცდები რომ დაგვეწყო, სამეცადინოდ მერაბმა სალომე ყანჩელთან მიმიყვანა. ეზოში ფარდაგი გაშალა. ხეზე უშველებელი რადიო იყო ჩამოკიდებული. იქვე ონკანიდან წყალი მოჩხრიალებდა. მე მყუდრო ადგილი შემირჩია, იცოდა, ბავშვს ველოდი. ერთი საათი ვიმეცადინეთ და უცბად, რადიომ საშინელი ამბავი გამოაცხადა: ომი დაიწყოო! დიდხანს ვდუმდით, თითქოს გავქვავდით. სახ[illegible] პეშვით წყალი შემასხა და მომასულიერა. მერაბი, როგორც ალპინისტი და გერმანული ენის მცოდნე უმალ გაიწვიეს. გამომშვიდობებისას მითხრა: „მე დავბრუნდები, ჩემს ვალს მოვიხდი, შენ კი ჩემო კარგო, თავს და მომავალ შვილს მიხედე, ღმერთია ჩვენი მხსნელი (მერაბი ძალიან მორწმუნე იყო), მე ჩემი ძმის იმედი მაქვს, ჩემს ჩამოსვლამდე მოგხედავსო, და მართლაც, საოცარი იყო, სრულიად ახალგაზრდა ჭაბუკს სად ჰქონდა ამდენი შეგნება, რომ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, იდეალურად, დიდი შეგნებით შეასრულა მერაბის თხოვნა.

ომის დამთავრების შემდეგ მოულოდნელად დაბრუნდა. საშინლად შეცვლილიყო. პოსპიტალში წოლილა დიდხანს. ხარობდა იმით, რომ მას დახვდა ვაჟი გურამი, ძალიან ლამაზი ბიჭი. მას მერე სულ ერთად ვიყავით. სახლიდან ერთად გავდიოდით, თეატრში სცენაზე ერთად ვიყავით. არც ზაფხულში ვისვენებდით — ქართულ ესტრადას ვემსახურებოდით. არ არის საქართველოს კუთხე, სამჯერ-ოთხჯერ არ მოგვევლოს. მერაბმა ძალიან ადრე დაიწყო ესტრადაზე მუშაობა, პირველად უფროსებთან — გიორგი სალარაძესთან და სტეფანე ჯაფარიძესთან ერთად, ხოლო შემდეგ თვითონ ახალგაზრდებმა შექმნეს ჯგუფი. ძალიან ტკბილი მოსაგონარია ზაფხულის პერიოდში ესტრადაზე ყოფნა — მედეა ჩახავა, კოტე მახარაძე, ბადრი კობახიძე, კარლო საკანდელიძე, ჯემალ ღაღანიძე, ჟორა ქორიძე კარგად შევხმატკბილდით. მერაბს კოტე მახარაძე ძალიან სწამდა და უყვარდა. ხშირად იტყოდა, — კოტე მახარაძე გვყავდეს და რა გაგვიჭირდებაო! ესტრადაზე სხვა მსახიობებიც შემოგვიერთდნენ, ჩემი ვაჟი გურამი კი გვიწერდა ხოლმე რეპრიზებს, ვოდევილებს, სკეტჩებს — მაყურებელი მშვენიერად იღებდა და მერაბსაც უხაროდა თავისი შვილის წარმატება.

რაც შეეხება მერაბის სასცენო შემოქმედებას, ერთი რამ მინდა დავძინო, მისგან ჩაგდებული როლი არ მახსოვს. დიდად შრომისმოყვარე იყო, ბევრს კითხულობდა. ბ-ნი დიმიტრი ალექსიძე ბრეხტის „სამგროშიან ოპერას“ რომ დგამდა, ბრეხტმა დიდად გაიტაცა. მთელი ტომეულები იყიდა. მეც მთხოვა, წაიკითხეო „სამგროშიანი ოპერა“, ჩემდა სამარცხვინოდ არც ბრეხტს ვიცნობდი და არც მის პორტრეტს! გული ვერ დავუდე. — „ძალიან გთხოვ ამ წიგნებს ხელი არ ახლოო“, — მითხრა, ბევრი ხვეწნის შემდეგ დამრთო წაკითხვის ნება. ეს პიესა შესანიშნავი იყო, დღიურში უწერია: დიდმა რეჟისორმა ბ-ნმა მიხეილ (მიშა) ჭიაურელმა ძალიან შემაქო — ეს ჩემთვის დიდ რამეს ნიშნავს.

ძალიან უყვარდა რამაზ ჩხიკვაძე, როგორც პიროვნება და, როგორც დიდი ოსტატი. ხშირად უთქვამს, რა კარგია, რომ ჩვენ რამაზთან გვიხდება მუშაობა, თავისი დიდი ნიჭი თავში არა აქვს ავარდნილიო.

მერაბი ძალან მორწმუნე იყო, როცა კი დრო გვქონდა, ახლომახლო ეკლესიებში დავყავდი. მე ისე როლს ვერ შევქმნი, თუ ეკლესიაში არ შევედიო. ბევრი როლი ითამაშა უცბად შესვლით. ამართლებდა და რწმობოდა იმ როლს. ბევრს შრომობდა და ყველა ნამუშევარში ჩანდა მისი პროფესიონალიზმი, თამაშის კულტურა. ბევრი რამ მაქვს მოსაგონარი: მისი ალპინიზმით გატაცება, სიკეთის ჩუმად კეთების ჩვევა. ის დაეხმარა გადასახლებიდან დაბრუნებულ, უსახლკარო თამარ წულუკიძეს ბინის მიღებაში (ბარნოვის ქუჩაზე №124-ში). ქ-ნ თამარი გაოცებული და გახარებული ამბობდა: დაუჯერებელია, ვინ მომცა? გეგეშიძე! — უპასუხა მერაბმა, მესამე დღეს თეატრში დაგვხვდა კონვერტში ჩადებული ორი სურათი. დიდი რეჟისორის სანდრო ახმეტელის სურათზე წაუწერია:

„გული რომ ვულკანს გიგავდა,
სად ჩაიფერფლა, სად არის...

ხოლო თავის სურათზე „ჩემს კეთილშობილ მეგობრებს კატოს და მერაბს“. თ. წულუკიძე.

თამამად შემიძლია გავიმეორო, — მერაბის სახით წავიდა ხელოვანი, მშფოთვარე, მოუსვენარი, მართალი, გამგანი, ძვირფასი მამა და ბაბუა.

გეგეჭკორების ტრადიცია კვლავ გრძელდება: სცენაზეა ახალგაზრდა მერაბ გეგეჭკორი. დაუვიწყარმა, საყვარელმა ბ-ნმა მიხეილ თუმანიშვილმა მერაბთან გამოთხოვებისას წერილი ასე დაასათაურა: „თეატრის რაინდი“: ჩემთვის კი დაუვიწყარი მერაბ გეგეჭკორია, ჩემი ცხოვრების თანამგზავრი...

**ეკატერინე ვაჩნაძე**
საქართველოს
სახალხო არტისტი.

---

## სანთელი

# საიამზეო საგალობელი

... შემოდგომა იყო, 1945 წლის შემოდგომა. მერვე-მეცხრეკლასელები ვიყავით.

ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ნოდარ ჩხეიძის დადგმაში (სცენარი ილია გეგეჭკორისა), ჩვენი ომისდროინდელი მყუდრო სავანისპიონერთა სასახლის სცენაზე მე ვიყავი ნინო ჭავჭავაძე, მაყვალა შამათავა-ეკატერინე, ულამაზესი თინა იგაშვილი-მანანა ორბელიანი, მართა-ლატავრა ლეალაძე, მშვენიერი იამზე ტყავაძე — მაიკო ორბელიანი. ეს იყო მისი საფერი და, ალბათ, პირველი როლიც...

მანანა ორბელიანის სალონში „თავადის ასულებს“ ავთანდილობდნენ „თავადიშვილები“: თამაზ ფერაძე, რამაზ ჩხიკვაძე, გურამ სალარაძე, ვახტანგ (ვათა) მოსიძე, გოგი გამსახურდია, გივი ელადმერაშვილი, დოდიკა...

აქ წყდება ძაფი... ეს მახსოვს კარგად: ტატოს მოლოდინში ჟღერდა მისი ლექსები... მის ნაცვლად კი მოვიდა მაცნე-ტატო გარდაცვლილაო...

(ეს ლექსი დამენათვეია, ძილიდან გამოტანილი, როგორც სიზმარი)...

1994 წლის მწიფობა-
ლვინობისთვის 15.

**„შენ იყავი ლექსის გიჟი,**
**ლოცულობდი იაზე...**
**ნაგარევში კოშკის ნანგრევს**
**აწერია —**
**იამზე!...**
**შენ იყავი ორეული**
**ორბელიანთ ასულის,**
**ბავშვობაში მოახერხე**
**გაცოცხლება წარსულის..**
..................
**მძივი გაწყდა, გაიფანტა,**
**რაღაც ცუდი ვიაზრე:**
**თურმე მამცნო-წასულაო**
**ჩვენგან ჩვენი**
**იამზე!...**
**მიითვალე ლექსი ლოცვად**
**შემოდგომის იაზე, —**
**მოგონების ნანგრევებზეც**
**აწერია — იამზე!..**

მცხეთობა — სვეტიცხოვლობის ღამე. 14.X.

**დილის მინაწერი:**

**... ვინ რას ელის —**
**ბედისაგან, —**
**წყალობას თუ გამორჩენას?!**
**გაზაფხულზე შენი ნახვა**
**ჰგავდა ფიფქის გამოჩენას...**

**ნანა ლვინეფაძე.**

სურათზე: იამზე ტყავაძე.

სახიობა

საქართველოს რესპუბლიკა

№92, შაბათი, 18 აპრილი, 1998 წელი

## მოვლენის წინ

# კატია რიჩარელი

## (სოპრანო)

კატია რიჩარელიმ მუსიკალური განათლება ვენეციაში, ბენედეტო მარჩელოს სახელობის კონსერვატორიაში მიიღო.

მისი სადებიუტო სპექტაკლი იყო პუჩინის „ბოჰემა“ (1969 წ.). ერთი წლის შემდეგ პარმის სამეფო თეატრის სცენაზე კატია რიჩარელი ვერდის „ტრუბადურში“ წარსდგა მთავარი პარტიით.

მნიშვნელოვანი წარმატებით აღინიშნა მომღერლისათვის 1971 წელი – კატია რიჩარელიმ გაიმარჯვა იტალიური სატელევიზიო არხის – **RAI**-ს მიერ ჩატარებულ კონკურსში – „ვერდის ხმები“. მას შემდეგ იგი მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ თეატრებში მღერის.

დასაწყისში, როგორც ვერდისეული სოპრანო, კატია რიჩარელი მონაწილეობდა სწორედ ამ კომპოზიტორის ოპერებში – „კორსარი“, „ოტელო“, „ორი ფოსკარი“, „დონ კარლოსი“, „სიმონ ბოკანეგრა“, „ბალ-მასკარადი“, „ლუიზა მილერი“, „ტრავიატა“, „რიგოლეტო“, ასევე იმღერა მიუნხენში, ლა სკალას დასის მიერ შესრულებულ ვერდის „რექვიემში“. თუმცა, მომღერალი მხოლოდ ვერდის შემოქმედებით არ შემოფარგლულა. მის რეპერტუარში იმავდროულად გაჩნდა ოპერები: დონიცეტის „კაპულეტი და მონტეკი“, მოცარტის „დონ ჟუანი“, ბელინის „ლუკრეცია ბორჯია“...

კატია რიჩარელის საოცრად კოლორიტული ხმა არაჩვეულებრივად მოერგო როსინის ოპერებსაც: „სემირამიდა“, „ტანკრედი“, „ტბის ქალი“, „კორინთოს ალყა“, „ქურდი კაჭკაჭი“, „მოგზაურობა რეიმსში“, „არმიდა“, „ბიანკა და ფალიერო“.

დაუვიწყარია დეზდემონას სახე, რომელიც კატია რიჩარელიმ შექმნა ფრანკო ძეფირელის ფილმში „ოტელო“, სადაც მას პარტნიორობას უწევდა პლასიდო დომინგო.

პლასიდო დომინგოს გარდა, მისი პარტნიორები არიან უდიდესი მომღერლები ლუჩანო პავაროტი, ხოსე კარერასი...

კატია რიჩარელის სპექტაკლებს და კონცერტებს სხვადასხვა დროს დირიჟორობდნენ – კარაიანი, მააზელი, აბადო, კოლინი, ლევინი, მუტი, დევისი და სხვა გამოჩენილი დირიჟორები.

ფართოა კატია რიჩარელის დისკოგრაფია. დღეისათვის მას ჩაწერილი აქვს 36 სრული ოპერა, აგრეთვე, ორატორიები, დუეტები, არიები, ნაწყვეტები სხვადასხვა ოპერებიდან.

1994 წელს, მოღვაწეობის 25 წლისთავის აღსანიშნავად, მას მიენიჭა „იტალიის რესპუბლიკის დიდი მოქალაქის“ წოდება.

კატია რიჩარელი მუდამ დიდ ყურადღებას იჩენდა ახალგაზრდა მუსიკოსების მიმართ.

1991 წელს მან ჩამოაყალიბა საერთაშორისო საოპერო აკადემია, რომელშიც სწავლობენ საუკეთესო მომღერლები, მსახიობები მთელი მსოფლიოდან.

იგი ხშირად მონაწილეობს საქველმოქმედო კონცერტებში, აქციებში.

კატია რიჩარელი 1998-99 წლების სეზონისათვის არჩეულია პოლიტეამის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად.

არაბეთის საემიროებში, კორეაში, იაპონიაში, ჩინეთში გამართული დიდი ტურნეების გარდა, კატია რიჩარელის შემოქმედებაში ბოლო დროის მნიშვნელოვან მოვლენებს განეკუთვნება ჯორდანოს „ფედორაში“, მასკანის „სოფლის პატიოსნებასა“ და ლეონკავალოს „ჯამბაზებში“, – მონაწილეობა.

თბილისის ფესტივალზე კატია რიჩარელი ქართველ მსმენელს თავის ხელოვნებას სოლო კონცერტით გააცნობს.

# სტეფანია ტიოჩესკა

## (მეცო-სოპრანო)

სტეფანია ტიოჩესკა დაიბადა პოლონეთში, ქალაქ გდანსკში. იქვე ეზიარა მუსიკალურ ხელოვნებას. იგი მრავალი საერთაშორისო კონკურსის მონაწილე და ლაურეატია.

შთამბეჭდავი იყო მისი დებიუტი საოპერო მომღერლის ამპლუაში – მშობლიურ ქალაქში მან შეასრულა კარმენის როლი ბიზეს „კარმენში“, რასაც მალე მოჰყვა აზუჩენას, დალილას, ლეონორას როლები, პარტიები.

1977-78 წლებში შედგა სტეფანია ტიოჩესკას შესანიშნავი დებიუტი დასავლეთ ევროპაში, კერძოდ, ბაზელის ოპერის თეატრში მან იმღერა ამნერისის პარტია ვერდის „აიდაში“.

ბაზელის დებიუტის შემდეგ, სტეფანია ტიოჩესკა მიიწვიეს ვენის ოპერის თეატრში, სადაც გაიბრწყინა მის მიერ შექმნილმა ულრიკას, აზუჩენას, ებოლის, ელიზაბეტის, მარია სტიუარტის, კარმენის სახეებმა. ასე დაიწყო მომღერალმა მსოფლიოს ყველა წამყვანი თეატრების დაპყრობა. ამ „ვოკალური ლაშქრობის“ შედეგი კი გახლდათ, როგორც უცხოური პრესა აღნიშნავს „მიუნხენისა და ჰამბურგის, ბერლინისა და სან-ფრანცისკოს, ჩიკაგოსა და პარიზის, ბუენოს-აირესისა და ვერონის, მადრიდის, ციურიხის, ვაშინგტონის ოპერის თეატრების, მეტროპოლიტენ-ოპერისა და ქოვენთ-გარდენის აპლოდისმენტებად დაღვრილი მსმენელები“.

მომღერლის საკონცერტო რეპერტუარი „მერყეობს“ ბახიდან – პენდერეცკიმდე. მისი შემოქმედების მშვენებაა სან-ფრანცისკოს ოპერაში ლუჩანო პავაროტისთან ერთად შესრულებული „აიდა“ და „ჯოკონდა“.

მოგვიანებით მას „აიდას“ ახალ დადგმაში პარტნიორობა გაუწია პლასიდო დომინგომ (არსებობს ამ დადგმის სატელევიზიო ვერსია).

დღეს სტეფანია ტიოჩესკა მსოფლიოს მრავალ წამყვან საოპერო თეატრში მღერის მთავარ პარტიებს.

ფესტივალზე სტეფანია ტიოჩესკა შეასრულებს ამნერისის („აიდა“) და მადლენას („რიგოლეტო“) პარტიებს.

# კრისტიან იოჰანსონი

## (ტენორი)

ჩვენი დროის ერთ-ერთი წამყვანი დრამატული ტენორი, ისლანდიელი ქრისტიან იოჰანსონი იტალიური და ფრანგული ოპერების „ჯადოსნურ შემსრულებლად“ არის აღიარებული.

მისმა ძლიერმა და მომხიბლავმა ხმამ, მუსიკის გადმოცემის მანერამ კარგა ხანია აღაფრთოვანა ლა-სკალას, ქოვენთ გარდენის, მეტროპოლიტენ-ოპერის, **Arena di Verona**-ს, ვენის, მიუნხენის, ბერლინის, ჰამბურგის, ფრანკ-ფურტის ოპერის თეატრების მსმენელი.

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიან იოჰანსონი მუსიკალურ ოჯახში დაიბადა, ოც წლამდე ვოკალით არ დაინტერესებულა. სწორედ ამ ასაკიდან მიიღო მან პირველი გაკვეთილები მშობლიური ქალაქის მუსიკალურ კოლეჯში. შემდეგ კი იტალიას მიაშურა, სადაც მისი მუსიკალური აღზრდა ცნობილმა მასწავლებელმა ეტორე კამპოგალიანიმ და ლეგენდარულმა ტენორმა ფერუჩიო ტალიავინიმ იკისრეს.

იოჰანსონის სასცენო ნათლობა მოხდა ისლანდიის ეროვნული ოპერის თეატრში რუდოლფის პარტიით პუჩინის ოპერაში „ბოჰემა“.

დებიუტი საკმარისი აღმოჩნდა დიდი ბრიტანეთისა და იტალიის საოპერო თეატრების ხელმძღვანელთა ყურადღების მისაპყრობად. ამ „გამოცდის“ შედეგად მალე შედგა იოჰანსონის დებიუტი ლა სკალას სცენაზე. მას შემდეგ იგი ამ თეატრის ხშირი სტუმარია.

1989 წელს იოჰანსონმა მონაწილეობა მიიღო ჩიკაგოელთა „ტოსკაში“. შემდგომ წლებში, იმავე ჩიკაგოს საოპერო თეატრში, მომღერალი მსმენელთა წინაშე წარსდგა ოპერებში – „მეფისტოფელი“, „ტურანდოტი“, „აიდა“, „ბალ-მასკარადი“...

ასე დაიწყო იოჰანსონის შემოქმედებითი აღმავლობის გზა. დღეს კრისტიან იოჰანსონი ყველაზე პრესტიჟული მუსიკალური ცენტრების სასურველი სტუმარია.

იოჰანსონის სამუშაო განრიგი, რომლის მეშვეობითაც წინასწარ არის დაგეგმილი მისი მომავალი საკონცერტო სეზონები, მოიცავს მნიშვნელოვან პარტიებს საოპერო ლიტერატურის ისეთი შედევრებიდან, როგორებიც არის: ვერდის „აიდა“, „ოტელო“, „ბალ-მასკარადი“, „დონ კარლოსი“, „რიგოლეტო“, „ტრავიატა“, „ტრუბადური“, „სიმონ ბოკანეგრა“, პუჩინის „მადამ ბატერფლაი“, „ტოსკა“ „მანონ ლესკო“, „ბოჰემა“, „ტურანდოტი“, ლეონკავალოს „ჯამბაზები“, ვაგნერის „მფრინავი ჰოლანდიელი“, „ტანჰოიზერი“...

კრისტიან იოჰანსონი ხშირად მონაწილეობს ცნობილ საკონცერტო პროგრამებში და, როგორც წესი, მის გამოსვლებს გულთბილად ეხმაურებიან კრიტიკოსები.

ახლახან, ცნობილმა ხმისჩამწერმა ფირმამ „ნაქსოს“-მა იოჰანსონის მონაწილეობით გამოსცა „აიდა“, იტალიური სიმღერების (ლონდონის სიმფონიური ორკესტრის თანხლებით) და იტალიური საოპერო არიების (უნგრეთის სახელმწიფო ორკესტრის თანხლებით) ალბომები.

კრისტიან იოჰანსონის მონაწილეობით ვიდეო-ფილმებში აღბეჭდილია „მადამ ბატერფლაი“ (კენ რასელის დადგმა), **Arena Verona**-ში განხორციელებული „აიდა“, **Arena Gala**-ს 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი... კრისტიან იოჰანსონი, რომელიც დღეისათვის მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ოტელოდ ითვლება, ფესტივალზე სწორედ ოტელოს პარტიას შეასრულებს. მსმენელი მას შეხვდება ვერდის „აიდაშიც“, სადაც იოჰანსონი იმღერებს რადამესის პარტიას.

თემის დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

# ანდრეა როსტი

## (სოპრანო)

წარმოშობით უნგრელმა ანდრეა როსტმა მუსიკალური განათლება ბუდაპეშტის კონსერვატორიაში მიიღო. იგი მარიამ ჰელინის ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატია.

მისი პროფესიული დებიუტი მოცარტის მესაში (დო მინორი) ჰელმუტ რილინგის დირიჟორობით შედგა. საოპერო სცენაზე კი, ანდრეა როსტი, პირველად შარლ გუნოს „რომეო და ჯულიეტაში“ ჯულიეტას როლით წარსდგა.

კარგა ხანია, რაც ანდრეა როსტმა მსოფლიოს საოპერო თეატრების სცენაზე წამყვანი ლირიკული სოპრანოს სახელი დაიმკვიდრა და ოპერის მოყვარულთა შორის უამრავი თაყვანისმცემელი შეიძინა.

მის შემოქმედებას მაღალ შეფასებას აძლევს უცხოეთის პრესა – მეტროპოლიტენ-ოპერაში დებიუტის შემდეგ „ნიუ-იორკ თაიმსმა“ როსტს „განმაიარაღებლად მომხიბლავი ადინა“ უწოდა. მას შემდეგ, რაც ანდრეა როსტმა ჩიკაგოს ოპერის სცენაზე „დონ ჟუანში“ ცერლინას პარტია შეასრულა, ჩიკაგოს „ტრიბუნი“ წერდა, რომ ეს იყო ის ნიმუში, „რომლითაც უნდა იხელმძღვანელო მოცარტის შესრულებისას“. იტალიური გაზეთი „**Venera**“ აღნიშნავდა „ანდრეა როსტი დღეს ერთ-ერთი ვიოლეტაა, რომელიც ღირსია ამ როლისა“.

ფართოა მომღერლის რეპერტუარი – ვიოლეტა, ცერლინა, ლუჩია, პამინა, ჯილდა, ადინა, სუზანა, – ეს იმ როლების მოკლე ჩამონათვალია, რომლებსაც ანდრეა როსტი მსოფლიოს წამყვან საოპერო თეატრებში ასრულებს ხოლმე. მათ შორის ლა სკალაში, ქოვენთ-გარდენში, მეტროპოლიტენ-ოპერაში, ვენის, პარიზის, ლონდონის, ჩიკაგოს, ციურიხის, ედინბურგის, ზალცბურგის, ფლორენციის ოპერის თეატრებში.

საოპერო თეატრების გარდა ანდრეა როსტის მოსმენა საკონცერტო დარბაზებშიც შეიძლება, იგი ხშირად მართავს კონცერტებს ცნობილ ორკესტრებთან და სახელმოხვეჭილ დირიჟორებთან ერთად.

მომღერლის მოღვაწეობის მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს შემოქმედებითი კონტაქტები ჩვენი დროის ერთ-ერთ უდიდეს დირიჟორთან – რიკარდო მუტისთან – ეს იყო ზალცბურგში გამართული კონცერტი ვენის ფილარმონიის ორკესტრთან ერთად, როსინის „სტაბატ მატერის“ აჟღერება ბავარიის რადიოს ორკესტრის თანხლებით...

ახლო მომავალში ცნობილი ხმის ჩამწერი ფირმა „სონი“ გამოსცემს ანდრეა როსტის ალბომებს.

ანდრეა როსტთან შეხვედრა მუდამ აღფრთოვანებას იწვევს მსმენელთა შორის და, ალბათ, გამონაკლისი არც თბილისელები იქნებიან, მით უმეტეს, რომ იგი ვერდის ჯილდას პარტიას „რიგოლეტოში“, რომლის რიგულ შემსრულებელთა შორის, ანდრეა როსტი საუკეთესოდ არის მიჩნეული.

**მოვლენის წინ**

ბრავო!

# ალესანდრა მარკი

## (სოპრანო)

დასავლეთ ბერლინში დაბადებული ალესანდრა მარკი დღეს ვაშინგტონის გარეუბანში ცხოვრობს.

მისი, როგორც საოპერო მომღერლის პირველი მნიშვნელოვანი წარმატება 1992-93 წლების თეატრალურ სეზონს უკავშირდება — ეს იყო შესანიშნავი დებიუტი, მთავარი პარტია ბერლინის შტაადსოპერის მიერ განხორციელებულ რიხარდ შტრაუსის ოპერაში „არიადნა ნაქსოსზე“. ამავე სეზონში ალესანდრა მარკმა მონაწილეობა მიიღო რომის ოპერის თეატრის „აიდაში“, ციურიხის ოპერის სცენიდან კი იგი მსმენელის წინაშე ვაგნერის „ვალკირიაში“ ზიგლინდას პარტიით წარსდგა და ისეთ წარმატებას მიაღწია, რომ ალესანდრა მარკი ამ პარტიის შესასრულებლად ერთდროულად მიიწვიეს ბავარიის ოპერაში (დირიჟორი მარეკ იანოვსკი) და ცნობილ ხმისჩამწერ ფირმაში „დეკა“, სადაც ქრისტოფ ფონ დონანის დირიჟორობით კლივლენდის ორკესტრთან ერთად განხორციელდა ჩაწერა.

1993-94 წლებში ალესანდრა მარკის შემოქმედებაში ორი გამორჩეული მოვლენა მოხდა. მან ქრიზოთემიდას პარტიით მონაწილეობა მიიღო ბერლინის შტაადსოპერაში რიჰარდ შტრაუსის ოპერის „ელექტრას“ ახალ დაბადებაში (დირიჟორი დანიელ ბარენბოიმი) და ჩიკაგოს სიმფონიურ ორკესტრთან ერთად შეასრულა ვერდის „რეკვიემი“.

ალესანდრა მარკისთვის შემდგომი სეზონიც წარმატებებით აღინიშნა, მაგრამ გამორჩეული ადგილი დაიკავა მის მიერ შესრულებულმა პარტიებმა პუჩინის „ტურანდოტში“ (ქოვენთ გარდენში) და ბელინის „ნორმაში“ (საფრანგეთის ქალაქ მონპელიერის ოპერის თეატრში).

დიდად ნაყოფიერი აღმოჩნდა მომღერლისათვის შარშანდელი თეატრალური სეზონიც.

ალესანდრა მარკმა სახელი გაითქვა არა მხოლოდ როგორც ოპერის მსახიობმა, არამედ როგორც შესანიშნავმა საკონცერტო მომღერალმაც. მას თავიანთ საკონცერტო პროგრამებში ხშირად იწვევენ სახელმოხვეჭილი დირიჟორები.

ამ მხრივ მარკის შემოქმედებით ბიოგრაფიაში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო შემდეგი საკონცერტო გამოსვლები: მიუნხენში ლორინ მააზელთან ერთად მალერის მეორე სიმფონიაში, დრეზდენში ვერდის „რეკვიემში“ ჯუზეპე სინოპოლის დირიჟორობით...

აღსანიშნავია ალესანდრა მარკის მიერ გამართული კონცერტები სიდნეიში, ვირჯინიაში, ლექსინგტონში და მსოფლიოს სხვა მრავალ ქალაქში, რომლებშიც ყოველი გამოსვლის შემდეგ მისი ხელოვნების თაყვანისმცემელთა რიცხვი სწრაფად მატულობს.

ქართველ მსმენელებს, ალბათ, ახსოვთ ალესანდრა მარკის შესანიშნავი გამოსვლა თბილისის ოპერის თეატრში. ამჯერად იგი შეასრულებს აიდას და ტოსკას პარტიებს. აღსანიშნავია, რომ ტოსკას ალესანდრა მარკი პირველად სწორედ ჩვენს თეატრში იმღერებს.

# რენატო ბრუზონი

## (ბარიტონი)

გამოჩენილი იტალიელი მომღერლის — რენატო ბრუზონის დებიუტი 1961 წელს შედგა გრაფ დი ლუნას პარტიით ვერდის ოპერაში „ტრუბადური“.

მისი უდიდესი შემოქმედებითი აღმასვლა 1967 წლიდან დაიწყო. სწორედ მაშინ აღმოაჩინა მასში მსმენელმა ფრანკო კორელის ღირსეული პარტნიორი.

განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო რენატო ბრუზონის წარმატება ლასკალაში, 1972 წელს დონიცეტის ოპერის „ლინდა შამუნიდან“ განხორციელებულ დადგმაში.

სწორედ ამ წარმატების შემდეგ უმასპინძლა მომღერალს რომის, ბოლონიის, ნეაპოლის, გენუის, პალერმოს, პარმის, ტურინის, ვენეციის, ვერონის საოპერო თეატრებმა.

რენატო ბრუზონისათვის წარმატებას არ უღალატია მსოფლიოს არც ერთი საოპერო თეატრის სცენაზე. მისმა ხმამ მოხიბლა ვენის, ჰამბურგის, მიუნხენის, ბარსელონას, ამსტერდამის, ჩიკაგოს, ლოს-ანჯელესის, სან-ფრანცისკოს მსმენელები.

მომღერლის რეპერტუარში გამორჩეული ადგილი უკავია ვერდის, დონიცეტის, პუჩინის ოპერების ბარიტონის მთავარ პარტიებს.

საოპერო თეატრებში მოღვაწეობასთან ერთად ბრუზონის შემოქმედებით კარიერაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისი საკონცერტო ცხოვრებაც. მთელს მსოფლიოში მისი სოლო კონცერტების მუდმივი თანამდევია მსმენელთა უდიდესი სიმპათია და აღფრთოვანება.

რენატო ბრუზონის მიერ შესრულებულ ჩანაწერთა შორის გამოირჩევა ვერდის „რიგოლეტო“, „ტრავიატა“, „ბალ-მასკარადი“, „ლუიზა მილერი“, დონიცეტის „ლინდა შამუნიდან“, „ლუჩია დი ლამერმური“. კრიტიკოსების მიერ რენატო ბრუზონი აღიარებულია რიგოლეტოს პარტიის საუკეთესო შემსრულებლად. ამ მოსაზრების შეფასების, განსჯის საშუალება ქართველ მსმენელსაც ეძლევა, ვინაიდან მომღერალი ფესტივალზე იაგოს პარტიის გარდა, რიგოლეტოსაც ააჟღერებს.

**ზურაბ ოიკაშვილი.**

**ღირსეულნი**

# საქართველოში მუდამ ვიმღერებ

(პირველი გვერდიდან)

*— ბატონო ზურაბ, უწინარესად ყოვლისა, გულითადად გილოცავთ ღირსების ორდენით დაჯილდოებას...*

— გმადლობთ. თქვენი გაზეთის საშუალებით კიდევ ერთხელ მინდა მადლობა მოვახსენო საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, ჩემი მოღვაწეობის დაფასებისათვის.

*— თქვენ ამჯერად ზურაბ ანჯაფარიძის საიუბილეო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის ჩამობრძანდით და რამდენიმე სიტყვას ხომ არ გვეტყოდით ამ დიდი ხელოვანის შესახებ? ხომ არ მოიგონებდით რაიმე ეპიზოდს თქვენი ურთიერთობიდან?*

— ზურაბ ანჯაფარიძე იყო უდიდესი ნიჭიერებითა და არაჩვეულებრივი ადამიანური თვისებებით შემკობილი, დიდი ბუნების პიროვნება. მისი ცხოვრება და შემოქმედება ჩემთვის მუდამ ეტალონს წარმოადგენდა. შემოქმედებითი გზის დასაწყისში ხშირად ვბაძავდი სიმღერაშიც, სამსახიობო ოსტატობაშიც, ვიმასსოვრებდი მის მიზანსცენებს.

ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მის მიერ განსახიერებულმა ხოზემ, რადამესმა... მაგრამ განსაკუთრებული მოვლენა იყო ზურაბ ანჯაფარიძის მიერ შექმნილი გერმანის სახე ჩაიკოვსკის „პიკის ქალში“ — მუსიკისა და სიტყვის ადეკვატურობისა და შესანიშნავი სცენური მოქმედების ბრწყინვალე სინთეზით იგი ამ ურთულეს როლში უჩვეულო გამომსახველობას აღწევდა.

დიდ თეატრში მისი მისამართით ხშირად ამბობდნენ, კარგი ადამიანი პროფესია არ არისო. დაუვიწყარია მისი ჩემდამი კეთილგანწყობა. მახსოვს როგორი მყარი საფუძველი მომიმზადა დიდ თეატრში მისვლამდე. მე მუდამ მისი მადლიერი ვარ...

*— რამდენადაც მახსოვს, თქვენი დებიუტი თბილისის ოპერის თეატრში სწორედ პუჩინის „ტოსკაში“, კავარადოსის პარტიით შედგა. მას შემდეგ, ეს პარტია ბევრჯერ გიმღერიათ სხვადასხვა თეატრებში... დღევანდელი გადასახედიდან, როგორ ფიქრობთ, შეიცვალა თქვენი მიდგომა ამ როლისადმი?*

— ამ ოპერის სიძლიერე, სილამაზე, სიდიადე მისი მუსიკის იმდენად ღრმა ფენებში, შრეებშია ჩამალული, რომ შესაძლოა მთელი ცხოვრება მოანდომო საშემსრულებლო საიდუმლოების ამოცნობას, რაშიც გეხმარება რეჟისორი, დირიჟორი და რაღაც მაინც მიუწვდომელი დარჩეს. მომღერლისათვის „ტოსკა“ მუდმივი ძიებებისა და წვდომის საგანია. 33 წლის მანძილზე, სწორედ ეს დრო გავიდა ჩემი დებიუტის შემდეგ, ჩემთვის ჩამოვაყალიბე ამ პარტიტურის გარკვეული ხედვა, მაგრამ ამ როლის ყოველი შესრულება მაინც სხვადასხვაგვარად აღმებეჭდება ხოლმე...

*— სამ ათეულ წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც თქვენ პირველად წარსდექით ფართო აუდიტორიის წინაშე. ვფიქრობ, სასცენო, სამსახიობო მოღვაწეობისათვის ეს საკმაოდ სოლიდური პერიოდია და, სწორედ ამიტომ, საინტერესოა როგორ შეაფასებდით თქვენს შემოქმედებას? კმაყოფილი ხართ მიღწეულით?*

— დამეთანხმებით, რთულია საკუთარი მიღწევების შეფასება... მქონდა ბევრი კარგი სპექტაკლი, მაგრამ, ბუნებრივია, ზოგჯერ არც ხარვეზები იყო ჩემთვის უცხო. მოგეხსენებათ, ხელოვნებაში არ არის ადვილი მუდამ უმაღლეს საფეხურზე, მწვერვალზე ყოფნა.

ვფიქრობ, კარგი არტისტი ცუდისაგან იმით განსხვავდება, რომ მის შემოქმედებაში მეტია წარმატება და ნაკლები წარუმატებლობა...

მიმაჩნია, რომ ჩემს მიერ შესრულებულ მრავალრიცხოვან ოპერებს შორის გამოირჩევა „ოტელო“, „ტრუბადური“, „აიდა“, „ტოსკა“, „კარმენი“, „სოფლის პატიოსნება“...

*— საოპერო სპექტაკლებში მონაწილეობის გარდა, თქვენ ხშირად გაქვთ საკონცერტო გამოსვლებიც (მათ შორის საორკესტროც და კამერულიც). ამის გათვალისწინებით, მუსიცირების რომელი ფორმა უფრო ახლობელია თქვენთვის?*

— რთულია რომელიმე ფორმის გამორჩევა, ვინაიდან ყოველ მათგანს თავისი ხიბლი აქვს.

არსებობს კამერული მომღერლის პროფილი, არიან კარგი საოპერო მომღერლები, რომლებიც ვერ ფლობენ კამერული მუსიკის რეპერტუარს. ბედნიერი ვარ, რომ შევძელი შემოქმედების ამ ფორმების შეთავსება, რადგან მათთვის სახასიათო ნიშან-თვისებების ურთიერთშერწყმა ძალიან კარგ შედეგებს იძლევა, ამდიდრებს მომღერლის ინტელექტს.

მადლობელი ვარ ვაჟა ჩაჩავასი, რომელმაც შემაყვარა კამერული მუსიკა. სადღეისოდ რამდენიმე სრულ საკონცერტო პროგრამას ვფლობ.

*— თუ არ ვცდები, თქვენ გამორჩეულად გიყვართ და აფასებთ ოთარ თაქთაქიშვილის შემოქმედებას. რა გიზიდავთ განსაკუთრებით მის მუსიკაში? საერთოდ, როგორი დამოკიდებულება გაქვთ ქართულ საკომპოზიტორო სკოლასთან? რა ადგილი უკავია დღეს თქვენს შემოქმედებაში ქართულ მუსიკას?*

— ოთარ თაქთაქიშვილი უდიდესი ცნობიერების, დახვეწილი კულტურის და ღრმა ინტელექტის მქონე პიროვნება გახლდათ. იგი ჩემთვის მუდამ ნიშანსვეტი იყო.

ყოველთვის მიზიდავდა მისი მუსიკის განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი მელოდიზმი.

დღემდე მახსოვს ის უდიდესი წარმატება, რომელიც წილად ხვდა მის ციკლს „მეგრული სიმღერები“ — საბჭოთა კავშირის ქალაქებში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, გერმანიაში, იაპონიაში...

გამორჩეულია მისი ორატორიები „რუსთაველის ნაკვალევზე“, „ნიკოლოზ ბარათაშვილი“, შესანიშნავი ოპერა „მთვარის მოტაცება“...

არ შემიძლია, კიდევ ერთხელ არ გამოვხატო ის აღფრთოვანება, რომელსაც ჩემში იწვევს ქართული საოპერო ლიტერატურის შედევრი — ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“. ამ ნაწარმოებში, განსაკუთრებით კი მესამე მოქმედებაში კომპოზიტორის ოსტატობა, ვფიქრობ ვერდის და ვაგნერის სიმაღლეებს აღწევს. საოცარია, რომ ამ ოპერამ ჯერ კიდევ ვერ დაიმკვიდრა ადგილი უცხოეთის საოპერო სცენებზე.

საერთოდ კი, უნდა ვაღიარო, რომ სადღეისოდ მე თავს მოვალედ ვგრძნობ ქართული მუსიკის წინაშე.

*— თქვენი და ქალბატონი მაყვალა ქასრაშვილის მოღვაწეობა ისე წარიმართა, რომ ხშირად გიწევთ სცენაზე ერთად ყოფნა. როგორი პარტნიორია ქალბატონი მაყვალა?*

— მე ვთვლი, რომ მაყვალას შემოქმედება სრულიად სასწაული მოვლენაა. მიყვარს მისი უჩვეულო სილამაზის ხმა, მისი მუსიკალურობა, მისი უდიდესი პროფესიონალიზმი. მაყვალა არა მხოლოდ დიდი მომღერალი, არამედ დიდი მსახიობიც გახლავთ. კიდევ ერთი თვისება, რომელიც მას გამოარჩევს, გერმანული სტილის სიზუსტეა. ბევრია ისეთი მიზანსცენები, რომლებშიც მე დირიჟორის ნაცვლად მაყვალას ვუყურებ. გარდა ამისა, მის ირგვლივ ისეთი აურაა, მას ისეთი შინაგანი ენერგია გააჩნია, რომ სიმღერის პროცესში პარტნიორს შეუძლებელს შეაძლებინებს ხოლმე.

*— ახლა კი, ერთი შეკითხვა, როგორც იტყვიან „სხვა ოპერიდან“... ცნობილია, რომ თქვენ, ბათუმის და თბილისის საფეხბურთო კლუბების „დინამოს“ შემადგენლობაში თამაშობდით, და ფეხბურთის სიყვარული დღემდე მოგყვებათ.*

*თუ დაგეხმარათ სპორტული გამოცდილება სასცენო მოღვაწეობაში? და კიდევ, წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე ვისი გულშემატკივარი იქნებით? როგორია თქვენი პროგნოზი?*

— სამწუხაროდ, ამჟამად მხოლოდ გულშემატკივარი ვარ. საფეხბურთო მოედნიდან სცენაზე გამყვა მებრძოლი სული, გამარჯვებისკენ სწრაფვა, წარმატების წადილი, ფიზიკური სიძლიერე...

ყოველთვის ვიყავი თბილისის „დინამოს“ და ქართველი ფეხბურთელების პატრიოტი და გულშემატკივარი. მინდა, რომ ჩვენმა ახალგაზრდებმა, რომლებიც უცხოეთის გუნდებში თამაშობენ, კარგ კარიერას მიაღწიონ. ვფიქრობ, ქართულ ფეხბურთს დიდი მომავალი აქვს.

მიყვარს მოსკოვის „სპარტაკის“ და კიევის „დინამოს“ თამაში.

ალბათ, როგორც ქართველთა უმრავლესობა, მეც ბრაზილიის ნაკრების გულშემატკივარი ვარ, წარმატებას ვუსურვებ იტალიის ნაკრებსაც...

*— ხომ არ გაგვაცნობთ თქვენს შემოქმედებით გეგმებს?*

— 23 აპრილს დიდ თეატრში ვმონაწილეობ ჯოვანი პაიზიელოს ოპერის „მეწისქვილე ქალის“ პრემიერაში. შემდეგ მე და მაყვალა ქასრაშვილმა კონცერტები უნდა გავმართოთ ნიუ-იორკის „ლინკოლნ-ცენტრში“ და ვაშინგტონში. ნოემბრისათვის დაგეგმილია გასტროლები — იტალიაში, პოლონეთში, ჩეხეთში და ისევ შეერთებულ შტატებში. რაც შეეხება საქართველოს — აქ მუდამ ვიმღერებ...“

ესაუბრა
**ზურაბ ოიკაშვილი.**

## მეგობრული თეატრი

# „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“

**„მეგობრობის თეატრმა“ მართლაც მეგობრული ხელი გაუწოდა მსახიობებს, რომელთაც თბილისის სხვადასხვა სახელმწიფო თეატრის დიდი სცენა „დატოვეს“ და საზოგადოება კვლავ ოსტატობით ასიამოვნეს.**

**რეჟისორ ლერი პაქსაშვილთან სამი თვის დაძაბული შრომის შედეგად მსახიობებმა დოდო ჭიჭინაძემ, თამილა ლასხიშვილმა, მარინა ბჟალავამ, ნანა მამალაძემ, ზანდა იოსელიანმა, ქეთევან აბულაძემ, ნათელა გოდერძიშვილმა, თამუნა ადამიამ და ნინო ქუთათელაძემ გარსია ლორკას პიესა „ბერნანდა ალბას ოჯახი“ წარუდგინეს ქართველ მაყურებელს და მოწონებასთან ერთად მხარდამჭერი ტაშისცემა დაიმსახურეს... ყვავილების ზღვამ, ცრემლიანმა „ბრავომ“, გამამხნევებელმა გულითადმა შეძახილებმა პარტერი და სცენა გააერთიანა და სპექტაკლის შემდეგაც დიდი ხნით ამაღელვებელ „სანახაობად“ აქცია.**

— მეტად მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა, — თქვა ბატონმა **გიგა ლორთქიფანიძემ**. — ჩვენი ღრმა რწმენით, ქუჩაში უსამართლოდ დარჩენილი მსახიობები მარტო მატერიალურად კი არა, მორალურადაც დაზარალდნენ. მთელი ცხოვრება ხელოვნებას შეწირული ხელოვნები უთეატროდ და უსცენოდ დარჩნენ. და ეს ჯოხი, ძირითადად, მსახიობ ქალბატონებზე გადატყდა. „მეგობრობის თეატრი“ დღეს ამ მსახიობთა თავშესაფარია. მათთვის უფასოდაა სცენა და არც არენდისთვის სჭირდებათ ფული. ვცდილობთ ხელი შევუწყოთ, რადგან ჯერჯერობით არც შემწე ჰყავთ და არც არავინ აფინანსებთ — საკუთარი თავისამარად არიან.

რაც შეეხება ფედერიკო გარსია ლორკას „ბერნანდა ალბას ოჯახს“ (სწორი თარგმანით ასეა), იგი გამოცდილმა რეჟისორმა, ნამდვილმა პროფესიონალმა და თავისი საქმის კარგმა მცოდნემ, მრავალი სპექტაკლის დამდგმელმა თბილისში, სოხუმსა და ქვეყნის სხვადასხვა თეატრში, ბატონმა ლერი პაქსაშვილმა განახორციელა. ჩემი აზრით, სასიამოვნო და საინტერესო სპექტაკლი შეიქმნა და რაც მთავარია, მსახიობებს, რომლებიც, ძირითადად, მარჯანიშვილელები იყვნენ, საშუალება მიეცათ თავის პროფესიული ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისა. მუსიკამ, მხატვრობამ, რეჟისურამ და საინტერესო სახეებმა კარგი ნამუშევარი წარმოაჩინეს. შემოქმედებითი გეგმებიც დაისახა, ვნახოთ... სხვადასხვა ორგანიზაცია ახალი სპექტაკლების დაფინანსებაში შეგვიწყობს ხელს, რათა ამ მსახიობებმა მინიმალური თანხა მაინც მიიღონ. ამ სპექტაკლის დადგმა ჯერ კიდევ მაშინ გადაწყდა, როცა დათო სალარიძე ქვეყნის საგადასახადო სამსახურის უფროსი გახლდათ და მოგვეხმარა, ასევე დიდად შეგვიწყო ხელი ქალაქის მერიამ.

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირთან არსებული „მეგობრობის თეატრი“ 25 წლის წინ დაარსდა. ამ მნიშვნელოვან დაწესებულებას ფრიად საპატიო მოვალეობა ეკისრებოდა — პროპაგანდა გაეწია ქართული თეატრისათვის. იმხანად ბევრი თეატრი გავიდა საგასტროლოდ და საინტერესო ნამუშევრები აჩვენა მეზობელი რესპუბლიკების მაყურებლებს; აქაც მრავალ სპექტაკლსა თუ ხელოვნების მოღვაწეს უმასპინძლეს... შემდეგ კი მიზეზთა და მიზეზთა გამო ხელოვნებაში მეგობრობის ხიდად ქცეული კულტურის ეს კერა დაშლის პირამდე მივიდა.

ახლა, როგორც მცოდნენი ამბობენ, „ადმინისტრაციული და ორგანიზატორული ნიჭით“ დაჯილდოვებულმა პიროვნებამ მიხეილ ჯოჯუამ ხელოვნების გულშემატკივართა ხელშეწყობით კვლავ ააღორძინა იგი.

— გადავწყვიტეთ უსცენოდ დარჩენილი მსახიობებისთვის რწმენა აღგვედგინა და დაგვემტკიცებინა, რომ ისინი ხელწამოსაკრავები არ არიან, — თქვა ბატონმა მიხეილმა, — მანდილოსნებს მალე მამაკაცებიც შემოუერთდებიან. სერიოზულად ვმუშაობთ სამომავლო გეგმებზე. „მეგობრობის თეატრს“ დასი არასოდეს ჰყოლია, ახლა ყველაფერი აქეთკენ მიდის. ვაპირებთ სპექტაკლებით სხვადასხვა რაიონებში გასვლას. ასევე ცალკეული ჯგუფების გასტროლებს. ამ ღონისძიებებში მთავრობის საგანგებო დავალებით რესპუბლიკის სახალხო არტისტები გოგი გეგეჭკორი, გურამ სალარაძე, კარლო საკანდელიძე და ჯემალ ღაღანიძეც ჩაერთვებიან. ეს ჯგუფი იმოგზაურებს ხოლმე და მოსახლეობა საყვარელ მსახიობებთან შეხვედრით გაიხარებს, რადგან თბილისში ყველა ვერ ჩამოდის.

... ასეთია „მეგობრობის თეატრის“ უახლოესი გეგმები, თეატრისა, რომელმაც მართლაც რომ მეგობრულად გაუწოდა ხელი სცენას დანატრებულ მსახიობებს.

**ია კალანდარიშვილი.**

**სურათებზე:** თამილა ლასხიშვილი ბერნანდა ალბას როლში და თამუნა ადამია — ადელინა. დოდო ჭიჭინაძე — ბებია.

ჯავარ ლომაძის ფოტო.

## მარადიული კანდელი

(მეხუთე გვერდიდან)

**7 აპრილის** საღამო **გრიგოლ ტყაბლაძის** ხსოვნას დაეთმო. მას პროფესიული თეატრალური განათლება არ ჰქონდა მიღებული, მაგრამ დაუვიწყარი სახეები შექმნა კინოში თუ სცენაზე. „თვითნაბადი“ მსახიობი — ასე უწოდეს მას.

საღამოზე ერთმანეთს სცვლიდა მისი კინოროლები, სიყვარულით გამთბარი ნალოლიავები სახეები: ერეკლე მეორე, ილარიონი, სპირიდონი... თითქმის ყველა გამომსვლელი აღნიშნავდა მისი თამაშის ჭეშმარიტად რეალისტურ მანერას. მერაბ კოკოჩაშვილმა კი მას ფიქრის მსახიობი უწოდა.

ბორის გამრეკელი.



გურამ მაცხონაშვილი.



ავთანდილ ვერულეიშვილი.

# «მსახიობი სიკვდილშიც ცოცხლობს»

ეს საღამო ისეთივე სიყვარულით გამთბარი გამთვიდა, როგორც თვითონ იყო ეს მართლაც და „ჭეშმარიტების მატარებელი“ ქართველი კაცი.

**მერი დავითაშვილი** და **ალექსანდრე გომელაური.** ალბათ, შეუძლებელია ეს წყვილი ერთმანეთს დააშორო. ასე იყო 8 აპრილის საღამოზეც. იყო მოგონებები ორ ლამაზ ადამიანზე, როგორც მსახიობებსა და, უბრალოდ, კარგ მეგობრებზე. საოცრად ემოციური იყო დოდო ჭიჭინაძის გამოსვლა, რომელმაც ცრემლები ვერ შეიკავა და თქვა, შეუძლებელია მათი დაივიწყებაო. ვ. მამუკელაშვილმა ილაპარაკა იმ დიდ წარმატებაზე, რომელიც ჰქონდა ალ. გომელაურის სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილს, შვეიკს. ეს სახეები ისტორიამ მხოლოდ ფოტოებით შემოგვინახა. მერი დავითაშვილის ქაბატო „ქეთო და კოტეში“ და თიმსალმაკო „ბაში-აჩუკში“ კი, დაუვიწყარი იქნება თაობებისათვის.

საღამოს დასასრულს თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძემ მადლობა გადაიხადა იმ სითბოსათვის, რომელიც დარბაზიდან მართლაც მოედინებოდა.

**9 აპრილის** საღამო რეჟისორ ბორის გამრეკელს მიეძღვნა. როგორც პროფესორმა ნათელა ურუშაძემ ბრძანა, იგი რეჟისურაში მსახიობობიდან მოვიდა. მისი მნიშვნელოვანი განაცხადი „მარგარიტა გოტიე“ იყო მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე. მარგარიტას როლს ხომ ვერიკო ანჯაფარიძე ასრულებდა. საღამოზე აჟღერდა რადიოჩანაწერი — სცენა „მადამ სან ჟენიდან“.

წლების მანძილზე ბორის გამრეკელი მუსკომედიის თეატრს ემსახურებოდა. მსახიობებმა ბადრი ბეგალიშვილმა და ზურაბ კახიანმა ბევრი საინტერესო და კურიოზული მომენტი გაიხსენა იმ პერიოდის თეატრის ცხოვრებიდან. მუსკომედიის თეატრის ძველი და ახალი თაობა დიდი სითბოთი იხსენებდა თავის საყვარელ რეჟისორს და, რაც მთავარია, მთელი საღამოს მანძილზე ჟღერდა მუსიკა, სცენები მის მიერ დადგმული სპექტაკლებიდან.

**10 აპრილი** რეჟისორ **გურამ მაცხონაშვილის დღე** იყო — დღე უაღრესად ემოციური, მოკრძალებული და სევდის მომღერლიც, სწორედ ისეთი, როგორიც ბატონი გურამი ბრძანდებოდა. საღამოს სულისჩამდგმელი, რეჟისორი ანზორ ქუთათელაძე დიდი სიყვარულით იხსენებდა მეგობარს, ინსტიტუტში, მარჯანიშვილის თეატრში ერთად გატარებულ წლებს.

გურამ მაცხონაშვილი ბევრგან მუშაობდა: თბილისის, სოხუმის, გორის, თელავის, მესხეთის თეატრებში, რადიომაუწყებლობაში. მესხეთის თეატრის მსახიობები საგანგებოდ ჩამოვიდნენ, რათა კიდევ ერთხელ მიეგოთ პატივი საყვარელი რეჟისორისათვის, მეგობრისათვის. როგორც საღამოზე პროფესორმა ვასილ კიკნაძემ ბრძანა, „გურამი იყო პოეტი, პოეტური აზროვნების ადამიანი“. მართლაც, გ. მაცხონაშვილი მარტო რეჟისორი როდი გახლდათ, იგი ლამაზი, ნატიფი ლექსების ავტორიც არის. მთელი საღამო სწორედ მისი ლექსებით იყო გაჯერებული. რეჟისორული მოღვაწეობიდან კი, სამწუხაროდ, მხოლოდ აფიშები დარჩა, რომლითაც მორთული იყო მთელი სცენა. ბოლო სიტყვა მისმა მეუღლემ ქალბატონმა ეთერ ავაზაშვილმა წარმოთქვა. ხალხური სიმღერის „კვირიას“ თანხლებით მან წაიკითხა მეუღლისადმი მიძღვნილი ლექსი — მან წიგნად გამოსცა „მხოლოდ ტკივილი“, რომლის თანაავტორი გ. მაცხონაშვილია. საღამო დამთავრდა. ალბათ, ყველა იქ მყოფს, მართლაც, უდიდესი ტკივილი დარჩა, რომ ეს სიკეთის მატარებელი კაცი ჩვენს შორის აღარ არის.

**არსებობენ** მსახიობები, რომლებსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ თეატრში, მეგობრულ წრეში. ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება უკვე უკვდავებაში გადასული **ავთო ვერულეიშვილი.** 13 აპრილს მეგობრებმა სწორედ ის გაიხსენეს. უშურო კაცი, თეატრის სული და გული, კაცი, რომელიც საერთო ატმოსფეროს ქმნიდა მარჯანიშვილის თეატრში. მისდამი მიძღვნილი ეს სიტყვები ბატონმა გ. ლორთქიფანიძემ წარმოთქვა. ქალბატონმა მედეა კუჭუხიძემ კი მსახიობის აქტიორულ ინდივიდუალობაზე ილაპარაკა. მისი შემოქმედებიდან რაც თაობებს დარჩა, ეს არის: „ძველ ვოდევილებში“ ექსშაურაშვილი, რომელიც ფირზეა გადაღებული, ქურდი კინოფილმ „დათა თუთაშხიაში“ და მძღოლი კინოფილმ „თსუნელაში“.

ავთო ვერულეიშვილის მიერ შექმნილი სახეები, მართლაც, საოცრად ინდივიდუალურია, თითოეულ მათგანს საკუთარი სული, ინტონაცია აქვს.

სამწუხაროდ, თეატრის უბედურებაა, რომ მსახიობის, რეჟისორის შემოქმედება მხოლოდ ფოტოებზე, ანდა მნახველთა მეხსიერებაში რჩება. ვასო გოძიაშვილს უთქვამს: მსახიობი სიკვდილშიც ცოცხლობსო! მართლაც, ხელოვანი, რომელიც ღირებულს, განსაკუთრებულს ქმნის, არ შეიძლება უკვალოდ გაქრეს, უკვე მარადისობაში გადასული მაინც აგრძელებს სიცოცხლეს. საღამოები, რომელიც საოცრად თბილ, ოჯახურ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, სწორედ ამის დასტურია. ასევე გულთბილად გაიხსენეს მსახიობი ვალერიან დოლიძე, კომპოზიტორი შოთა მილორავა და რეჟისორი იური კაკულია. ხსოვნის დღები აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში გრძელდება, შემდეგი დღეები: ზეინაბ ზალდასტანიშვილის და გიორგი ტატიშვილის, იამზე ტყავაძის, თამარ იმხნელის, ნოდარ დუმბაძის ხსოვნას დაეთმობა.

**ნინო კალანდაძე,**
**თეატრალური ინსტიტუტის**
**IV კურსის სტუდენტი.**



გრიგოლ ტყაბლაძე.

მერი დავითაშვილი.

ალექსანდრე გომელაური.

სარედაქციო კოლეგია:
გურამ გოგიაშვილი, ნანა ღვინეფაძე (რედაქტორი), რუსუდან მუხიგულაშვილი, გიორგი ლალიაშვილი.

## ყოფა

# აბა, ცხელ-ცხელი პური, ხინკალი, ხაჭაპური!..

(პირველი გვერდიდან)

ათასგვარი თვალისმომჭრელი მეფუთვით გამორჩეულ და მიმზიდველ ამა თუ იმ პროდუქტში კი, ვინ იცის, შეიძლება შეგნებულადაც, რა ხანგრძლივი დაყოვნების ბომბი ძევს, რომელიც ღმერთმა იცის, როდის იფეთქებს.

ამ შემთხვევაში სავალალოა თვით ფაქტი: გადამთიელის მიერ დამზადებული მთელი ეს პროდუქცია, რომელიც, ჩვენზე ზრუნვით თავგადამკვდარი, ჩვენივე მოყვასის მიერ არის შემოტანილი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, საკვებად უვარგისი და მავნებელია.

სამწუხაროდ, ისიც კარგად ვიცით, ამ საკითხისადმი ასეთი ინდიფერენტული დამოკიდებულება საბოლოო ანგარიშით კარგს რომ არაფერს მოგვიტანს, მაგრამ...

ყოველივე აქედან გამომდინარე, ალბათ, დადგა დრო, შემოტანილი პროდუქტების ვარგისიანობა, ბაზრობებზე კი არა, საზღვრის გადმოკვეთისას, განბაჟების ადგილებში შემოწმდეს.

ზემო ინსტანციებში აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტამდე კი, დღევანდელ რთულ პირობებში, ჩვენს უსაფრთხოებას შეძლებისდაგვარად იცავს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სახელმწიფო სანიტარიული ზედამხედველობისა და ჰიგიენური ნორმირების დეპარტამენტი (თავმჯდომარე **ნიკოლოზ შავდია**).

დღეს მკითხველებს, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროების ერთობლივი ბრძანებულების თანახმად, სწორედ აღნიშნული სამსახურის მიერ თბილისის ეკოლოგიური პოლიციის მთავარი სამმართველოს მუშაკებთან ერთად ბაზრობებზე მოწყობილი რეიდების მასალებს ვთავაზობთ, რომელმაც მათი სანიტარიულ-ტექნიკური და სანიტარიულ-ჰიგიენური სავალალო მდგომარეობის პარალელურად, კვების პროდუქტების შენახვის, დამზადებისა და რეალიზაციის სანიტარიული წესების დაცვის მხრივაც მრავალი დარღვევა გამოავლინა.

გიორგი ცაბაძის ქუჩის №8-ში მდებარე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ბაზარი „თეთრი ქალაქი" (დირექტორი თ. ბაქანიძე) თავის სახელწოდებას რომ ვერ ამართლებს, ეს რეიდის დროსაც დადასტურდა.

შემოწმების დროს რეიდის მონაწილეთა ყურადღება, პირველ რიგში, საბითუმო საწყობების, კონტეინერებისა და ჯიხურების წინ მოვაჭრეებმა მიიპყრეს, რომლებიც სანიტარიული ნორმების დაუცველად, პირდაპირ პრიმიტიულად მოწყობილი დახლებიდან და მუყაოს და პლასტმასის ყუთებიდან ვაჭრობდნენ კვების პროდუქტებით. ბაზრობაზე უხეშად არღვევენ, აგრეთვე, როგორც კვების პროდუქტებით, ისე საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლით ვაჭრობის საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს. რეალიზაციის დროს ისინი ერთმანეთისაგან არ იყო გამიჯნული (ასეთი მდგომარეობაა თითქმის ყველა ბაზრობაზე). სამწუხაროდ, ამ მოთხოვნას არც მათი შენახვის დროს იცავენ. ბაზრობის ტერიტორიაზე ყოველგვარი სათანადო პირობის დაუცველად იყიდებოდა, აგრეთვე, მედიკამენტები, რაც ყოვლად დაუშვებელია. აქ თითქმის ყველას ერთად შეუკრავსო პირი, უგულებელყოფილია პროდუქციის ვარგისიანობის დამადასტურებელი სერტიფიკატი. პროდუქტებს თავად საბითუმო საწყობებიდანაც კი უსერტიფიკატოდ გასცემენ.

საწყობების უმრავლესობაში უხეშად ირღვევა კვების პროდუქტების შენახვის სანიტარიული ნორმები, არ ხდება სათავსების განიავება, პროდუქტები თითქმის ყველგან იატაკზე უწყვიათ, პროდუქტების შესანახად არა აქვთ მაცივრები. შემოწმების დროს ზოგიერთ საწყობში მღრღნელების მიერ პროდუქტების დაზიანების ფაქტიც კი დადასტურდა.

ბაზრობის ტერიტორიაზე მოთავსებული საზოგადოებრივი კვების ექვსი ობიექტიდან, შემმოწმებლებს, სანიტარიული თვალსაზრისით, ექვსივეში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა დახვდათ, რის გამოც, მათ საქმიანობა აეკრძალათ.

რეიდის მონაწილეთა განსაკუთრებული გულისწყრომა გამოიწვიეს იქვე, ტუალეტებთან (რომელიც სხვათა შორის, არასაკმარისია) კვების პროდუქტებით მოვაჭრეებმა. ბაზრის ხელმძღვანელობას, ვაჭრობა, ეტყობა, ყველგან დასაშვებად მიაჩნიათ, თუ იქ ფული კეთდება.

შემოწმების დროს შესასვლელები და ტერიტორიის ნაწილი გადატვირთული იყო სავაჭრო დახლებით, ნაგვის მიმღები კონტეინერებისათვის კი სპეციალური მოედანი ვერ გამოუყვიათ, რის გამოც, ვერც სისუფთავეს იცავენ.

ხომარაულის ქუჩაზე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ტერმინალ-პორტი დიდუბის ბაზრობა" (დირექტორი თ. მეჭურჭლიშვილი) თბილისელთათვის ყველაზე პოპულარულია. პოპულარობას და სახელს რომ თვალისჩინივით უნდა გაფრთხილება, ეს მის მესვეურებს ეტყობა მაინცდამაინც დიდად არ აწუხებთ. ალბათ, ამიტომაც იყო, შემმოწმებლებს მის გამოსავლენად დიდი ჯაფა რომ არ დასდგომიათ.

ბაზრობის ტერიტორიაზე სოფლის მეურნეობის პროდუქტები ღია ცისქვეშ, პირდაპირ მიწიდან ან ავტომანქანებიდან იყიდებოდა. კვების პროდუქტები და საყოფაცხოვრებო საქონელი ერთმანეთისაგან გამიჯნული არც აქ ჰქონდათ. მოვაჭრეებს ზოგიერთ პროდუქტზე არ გააჩნდათ პროდუქციის ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი და სოფლის მეურნეობის პროდუქტების სარეალიზაციო ანგარიში. აქვე შესაცვლელია სავაჭრო დახლები, წესრიგშია მოსაყვანი ხორცის სარეალიზაციო ხარიხები, ხორცსაკიდები და სასწრაფოდაა მოსაწყობი ინვენტარისათვის განკუთვნილი სამრეცხაო.

შემოწმების დროს ბაზრობაზე გამოვლინდა კუსტარულად დამზადებული კონსერვების რეალიზაციის ფაქტები, ვეტსანიტარიული ექსპერტის ნებართვის გარეშე იყიდებოდა ღორის ქონი. რეიდის მონაწილეთა ეჭვი გამოიწვია, აგრეთვე, გასაყიდად გამოტანილმა „ნაღების კარაქმა", და ეს ეჭვი გამართლდა: ლაბორატორიულმა გამოკვლევებმაც დაადასტურა, რომ იგი ფალსიფიცირებული იყო!

ბაზრობაზე შექმნილმა მდგომარეობამ აიძულა რეიდის მონაწილენი უკიდურესად მკაცრი გადაწყვეტილებისათვის მიემართათ. გამოტანილი იქნა დადგენილება შპს „ტერმინალ-პორტი დიდუბის ბაზრობის" ექსპლუატაციის შეჩერების თაობაზე, მანამდე, ვიდრე არ აღმოიფხვრება აღნიშნული დარღვევები.

თითქმის ანალოგიური დარღვევების გამო იქნა გამოტანილი დადგენილება შპს „კოლხას" (დირექტორი დ. სიხარულიძე) ბაზრობის შეჩერების შესახებაც. მოსაწესრიგებელი კი აქ მართლაც ბევრი რამ არის. უპირველესად, რძის პროდუქტებით ვაჭრობის საკითხი. მოსაწყობია სასასწორე მეურნეობა, გადასახურია სავაჭრო დახლები.

ისე, როგორც ყველგან, აქაც წააწყდნენ სანიტარიული წესების უგულებელყოფის, ფალსიფიცირებული კვების პროდუქტებით და უსერტიფიკატოდ ვაჭრობის ფაქტებს.

თავისი თანამოძმეებისაგან დიდად არც მეველის ქუჩის №4-ში მდებარე ბაზრობა (დირექტორი ა. დევდარიანი) განსხვავდება, რომლისთვისაც მის მესვეურებს ქართველებისათვის მეტად წმიდა და პოპულარული სახელი „გიორგი" უწოდებიათ. კვების პროდუქტებით ვაჭრობა აქაც ჯიხურების წინ, ღია ცის ქვეშ, ლამის პირდაპირ მიწიდან ხდება, არც აქ ყოფილა უხარისხო და უსერტიფიკატო პროდუქციით ვაჭრობა უცხო ხილი, რაც შემოწმების დროსაც დადასტურდა.

რეიდის მონაწილეებს ბაზრობაზე გასაყიდად გამოტანილი კვების პროდუქტების ვარგისიანობის დამადასტურებელი სერტიფიკატი ვერც ჩვენი მეზობელი სახელმწიფოს – აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა წარმოუდგინეს.

ბაზრობაზე მოქმედ საბითუმო მაღაზიაში არც ერთი დასახელების პროდუქტზე არ ჰქონდათ სერტიფიკატი, რამაც რეიდის მონაწილეთა აღშფოთება გამოიწვია. მართლაც, რატომ არის დღეს ჩვენში ასე ხელაღებით კვების პროდუქტების ხარისხიანობის გარანტი – სერტიფიკატი იგნორირებული?

შპს „მავი გედის" შემოწმების დროს შემდეგი დარღვევები გამოვლინდა: მანძილი არ იყო დაცული ტუალეტსა და კვების პროდუქტებით მოვაჭრეებს შორის, მარცვლეულის ტომრები მიწაზე ელაგათ და ისე ხდებოდა მათი რეალიზაცია. შეკეთებას და კეთილმოწყობას საჭიროებს ხორცისა და რძის რეალიზაციისათვის განკუთვნილი პავილიონი, აქაც აღმოჩნდა კვების უსერტიფიკატო პროდუქტებით ვაჭრობის ფაქტები. შემოწმების დროს მოვაჭრეებს გასაყიდად ჰქონდათ გამოტანილი კუსტარული წესით დამზადებული შებოლილი თევზი, რაც ჩამოერთვათ და განადგურდა.

ბაზრობის ტერიტორიაზე მოთავსებული სამი საზოგადოებრივი კვების ობიექტიდან კი არც ერთი არ აკმაყოფილებს – სანიტარიულ-ტექნიკურ და სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებს. ამიტომაც რეიდის მონაწილეთა გადაწყვეტილებაც ერთსულოვანი იყო. მათ აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრამდე საქმიანობა აეკრძალათ.

სანიტარიულ-ჰიგიენური თვალსაზრისით ყველაზე დიდი დარღვევები მაინც შპს „ელსავაჯ"-სთან არსებულ კომერციულ ცენტრ „ნაცარქექიაში" (დირექტორი ლ. ტაბუა) აღმოჩნდა. ობიექტი უზრუნველყოფილი არ არის სასმელი წყლით, მძინვარებს ანტისანიტარია. ტუალეტებში (რომლებიც არც აქ არ არის საკმარისი) მოუწყობელია ჩამრეცხი ავზები, ხელსაბანები კი პრიმიტიულია, საკმარისი რაოდენობით არა აქვთ ნაგვისათვის განკუთვნილი კონტეინერები და მათთვის არც სპეციალური მოედანია გამოყოფილი.

მოსაწყობია ხორცის სარეალიზაციო პავილიონი და სასასწორე მეურნეობა. ყველაზე გასაკვირი კი ის იყო, რომ ვეტსანიტარიული ექსპერტიზის ლაბორატორიაში არ ჰქონდათ წყალი...

დადგენილებაში სავსებით სამართლიანად აღინიშნა, რომ საზოგადოებრივი კვების ექვს ობიექტთან ერთად მისი საქმიანობაც უნდა აიკრძალოს ზემო აღნიშნული დარღვევების აღმოფხვრამდე. ამავე დროს უნდა მოხდეს ბაზრობის ჰიგიენური სერტიფიცირება.

როგორც ჩანს, ამ უკანასკნელი მთავარი დოკუმენტის გარეშეც თავს კარგად გრძნობენ შპს „მუხიანის" ბაზრობაზე (დირექტორი რ. ჩხაიძე) მოკალათებული მოვაჭრეები, რომლებიც მომხმარებლებს ფალსიფიცირებულ სამარკო ღვინოებს სთავაზობდნენ.

შპს „ბიზნესში" ბაზრობის გარკვეული ნაწილი უკავიათ მედიკამენტებით მოვაჭრეებს, რომლებსაც ამ საქონლით ვაჭრობისათვის ელემენტარული პირობებიც კი არა აქვთ შექმნილი. მედიკამენტებით ვაჭრობა აქ ღია ტიპის პავილიონებში, სათანადო ტემპერატურისა და სხვა აუცილებელი მოთხოვნების დაუცველად ხდებოდა, რაც ყოვლად დაუშვებელია.

წამალი რომ ამავე დროს საწამლავია, ეს აქ რატომღაც გამყიდველსაც და მყიდველსაც დავიწყებია.

რეიდის მონაწილეთა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ დღეს ბაზრობების ტერიტორიებზე მოთავსებული ვეტსანიტარიული ექსპერტიზის ლაბორატორიებს, რომელთა ობიექტურ და პირუთვნელ დასკვნებზე ბევრად არის დამოკიდებული დახლებზე უვარგისი პროდუქტების მოხვედრის შანსი.

შპს „ტერმინალ-პორტი-დიდუბის" ტერიტორიაზე მოთავსებული № 26 ვეტერინარულ-სანიტარიული ექსპერტიზის ლაბორატორიას (გამგე ვეტექიმი თ. რეხაძე) შემოწმების დღისათვის 11 პირზე გაცემული ჰქონდა რძის პროდუქტებით ვაჭრობის ნებართვა, აქედან მხოლოდ 8 შემთხვევაში ჰქონდათ მოვაჭრეებს ლაბორატორიაში წარმოდგენილი პირუტყვის ჯანმრთელობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლებშიც პირუტყვის ტუბერკულოზით დაავადების შესახებ სიტყვაც არ იყო ნათქვამი.

შპს „დიდუბის" ბაზრობის ტერიტორიაზე განთავსებული №8 ვეტერინარულ-სანიტარიულ ლაბორატორიას (გამგე ვეტექიმი ლ. ნიკურაძე) 22 მოვაჭრე პირზე ჰქონდა რძის პროდუქტებით ვაჭრობის ნებართვა გაცემული. ლაბორატორიაში წარმოდგენილი ჯანმრთელობის დამადასტურებელი დოკუმენტებიდან აქაც არც ერთში არ იყო აღნიშნული პირუტყვის ტუბერკულოზზე კეთილსაიმედობა. ლაბორატორიის გამგემ კატეგორიულად უარყო აქტზე ხელმოწერა.

შპს „მავი გედის" ტერიტორიაზე განთავსებული №4 ვეტსანექსპერტიზის ლაბორატორია (გამგე ა. ნუცუბიძე) რძის პროდუქტებით მოვაჭრეებზე ნებართვას კი პირუტყვის ჯანმრთელობის კეთილსაიმედობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის გარეშეც გასცემდა. ეს ბრუცელოზისა და ტუბერკულოზის დაავადების გავრცელების საშიშროებას ქმნის. ანალოგიური მდგომარეობა დაფიქსირდა №28 ვეტსანექსპერტიზის ლაბორატორიაში.

რეიდების დროს აღებული ეჭვმიტანილი პროდუქტების ნიმუშების ლაბორატორიული გამოკვლევების ჩატარების შედეგად ფალსიფიცირებული აღმოჩნდა კრასნოდარის მხარიდან – 250-გრამიანი ქილებით შემოტანილი „ნატურალური თაფლი", აგრეთვე, „ნაღებისა" და „შოკოლადის კარაქი", საბუტერბროდე ნაწარმი „ნაცარქექია", ნახშირორჟანგით გაჯერებული ღვინო „ჯორჯიან სექტი" და ქართული „სამარკო" ღვინოები „ხვანჭკარა" და „ქინძმარაული". ამჟამად მიმდინარეობს მათი დამამზადებლების დადგენა.

იმ პირებს კი, რომლებიც სანიტარიული პირობების დაუცველად ამზადებდნენ და ყიდდნენ მწვად „შაურმას", „ჰოთდოგს" და შემწვარი ქათმის ბარკლებს – აეკრძალათ საქმიანობა.

რეიდის შედეგების შეჯამებისას 4 ბაზრობისა და 27 საზოგადოებრივი კვების ობიექტის მიმართ გამოტანილი იქნა დადგენილება მათი ექსპლუატაციის დროებით შეჩერების შესახებ.

როგორც შემოწმების შედეგებმა ცხადყო, თბილისური ბაზრობები ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდებიან, ისინი მეტნაკლებად ყველაფერში ჰგვანან ერთმანეთს და კაცს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მათ დამფუძნებელთა და ხელმძღვანელთა მთავარ მიზანს მხოლოდ ფულის კეთება წარმოადგენს.

და თუ ეს მართლაც ასეა, მაშინ მით უფრო მეტი ყურადღება და გულისყურია საჭირო იქ მოვაჭრეთათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად და, რაც მთავარია, უნდა გამკაცრდეს პოზიცია უხარისხო პროდუქტებით მოვაჭრეებისადმი.

**თეიმურაზ კინწურაშვილი.**

გენადი სანაიას ფოტო.

**P. S. წლევანდელი ცხელი აპრილით დაწყებული გაზაფხული, კაცმა არ იცის, კიდევ რა სიურპრიზებს შემოგვთავაზებს. თუ ასე გაგრძელდა, ეს ბაზრობები კიდევ უფრო მეტი საშიშროების კერად იქცევა, თუ, რასაკვირველია, შემდგომშიც ასე შემრიგებლურ პოზიციას დაიჭერენ მისი ხელმძღვანელები იქ არსებული სავალალო სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობისადმი.**

**ისე კი, ამ შემთხვევაში, როცა სინდისი არ გვყოფნის, კანონია საჭირო, რომელიც ყოველივე ამას მოაწესრიგებდა.**

თ. კ.

---

## გახსენება

# რჩეული კაცი

კიდევ ერთი რჩეული კაცით გაღარიბდა საქართველო – აგერ სამი თვე სრულდება, ჩვენს შორის აღარაა საყოველთაოდ ცნობილი მკურნალი, შესანიშნავი ინტელიგენტი, ქართული მწერლობის მეგობარი და დიდებული მცოდნე ბატონი **ამირან კვიტაშვილი.**

ლიტერატურის ისტორიას არ უკვირს მწერლობაზე შეყვარებული ექიმი. თავი რომ დავანებოთ ჩეხოვს, დიობლინს, გოტფრიდ ბენსა და სხვა დიდ სახელებს, ჩვენს შორისაც ბევრია ექიმი, ვისი მეორე დიდი სიყვარულიც მწერლობაა. ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო იმის გაგება, რომ საყოველთაოდ ცნობილი რამდენიმე სახუმარო ლექსი, რომელთაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ლამის მთელი საქართველო მღეროდა, ბატონ ამირან კვიტაშვილს ეკუთვნოდა. სამაგალითო იყო ბატონი ამირანი იმითაც, რომ თავისი ჰობით არავინ შეუწუხებია და წიგნები არ უბეჭდია. უბრალოდ, თავის დიდ სიყვარულს მეგობარ მწერლებს გვინაწილებდა, ჩვენთან საუბრებით გულს იოხებდა და ჩვენს დასახმარებლად არა მარტო თვითონ იყო მზად მუდამ, მისი მეუღლე, ასევე საყოველთაოდ ცნობილი მკურნალი, აკადემიკოსი ეთერ ბოცვაძეც საჩვენოდ ჰყავდა „მობილიზებული"...

ამირან კვიტაშვილის დიდი და საინტერესო ცხოვრება ვერ ჩაეტევა ამ ერთიბეწო გახსენებაში. მასზე მთელი წიგნი უნდა დაიწეროს, რადგან მისი ბიოგრაფია ჩემი და ჩემს წინ მავალი თაობების ძნელი, ტრაგიკული თავგადასავალია – მან ხომ თითქმის მთელი ცხოვრება ატარა ემიგრანტის შვილისა და სოციალურად და პოლიტიკურად საეჭვო ელემენტის ტვირთი და იარლიყი. მახსოვს, რა უსაზღვრო იყო მისი სიხარული, როცა 1990 წელს გაზეთ „მამულში" თავისი ღირსეული მამის, დიდი მამულიშვილის, მენშევიკ აკაკი კვიტაშვილის პარიზულ ჩანაწერებს ბეჭდავდა...

უკანასკნელი ცივი და მწარე ზამთრები, შეიძლება ითქვას, სატელეფონო საუბრებით გადავატანინეთ ერთმანეთს... მე მახლია ბატონი ამირანის ბრძნული, თბილი, იმედიანი საუბრები. ყველაფერი კარგად იქნებაო, უსათუოდ ამით დაასრულებდა სათქმელს.

მე ვიცი, ყველაფერი კარგად იქნება, ბატონო ამირან, აქაც და იქაც, სადაც ახლა შენი ლამაზი სულია – შენს ლამაზ სხეულს განშორებული სული...

**ტარიელ ჭანტურია.**

---

## ხსოვნა

### მედეა გაბუნია

გარდაიცვალა უხუცესი, ღვაწლმოსილი, ქართველი მომღერალი, ვოკალის პედაგოგი, პროფესორი, საქართველოს დამსახურებული არტისტი **მედეა გაბუნია.** დიდია მისი დამსახურება ქართული ვოკალური კულტურის წინაშე.

მედეა გაბუნია იყო მოწაფე გამოჩენილი ქართველი მომღერლისა და პედაგოგისა, პროფესორ ვალერიან ქამაკაშვილისა, რომლის მოღვაწეობით დაგვირგვინდა ქართული და იტალიური სკოლების სინთეზის პირველი ეტაპი. მ. გაბუნიამ, აითვისა რა თავისი მასწავლებლის შესანიშნავი ვოკალური სკოლა, განაგრძო მისი ტრადიციები, როგორც მომღერალმა და პედაგოგმა.

საოპერო სცენაზე მ. გაბუნიამ შექმნა მთელი რიგი შთამბეჭდავი სახეები – დეზდემონა ვერდის „ოტელოში", ბატერფლაი პუჩინის „მადამ ბატერფლაიში", ნედა ლეონკავალოს „ჯამბაზებში", ტატიანა პ. ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინში" და მრავალი სხვა. ამ ოპერებში მისი პარტნიორები იყვნენ პ. ამირანაშვილი, დ. ანდღულაძე, დ. გამრეკელი და სხვა გამოჩენილი ქართველი მომღერლები. მასთან წლების განმავლობაში მუშაობდნენ საოპერო სცენის გამოჩენილი დირიჟორები და რეჟისორები – ო. დიმიტრიადი, დ. მირცხულავა, ალ. წუწუნავა, მ. კვალიაშვილი. მ. გაბუნიამ ერთგულად შემოინახა ალ. წუწუნავას რეჟისორული პრინციპები გ. დოლიძის „ქეთო და კოტეს" დადგმის თვალსაზრისით და დიდად შეუწყო ხელი, როგორც კონსულტანტმა, ამ ტრადიციის შენარჩუნებას საოპერო თეატრში, სადაც იგი წლების განმავლობაში შეუცვლელი ბარბალე იყო.

როგორც პედაგოგმა, პროფესორმა მ. გაბუნიამ, ქართულ საოპერო სცენას აღუზარდა მთელი რიგი მაღალპროფესიული მომღერლები: მზია დავითაშვილი, მარინე ჯახუტაშვილი, ნაირა ნაჩხატაშვილი, თ. ჯანტავაძე და სხვა მრავალი.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პროფ. მ. გაბუნიას ღია გაკვეთილებს თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში. გულთბილი, კეთილმოსურნე პროფესორი თავის მდიდარ გამოცდილებას უზიარებდა ყველას, ვინც კი მიისწრაფოდა ვოკალური სრულყოფისადმი. იგი წარმატებით მუშაობდა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში, კონსერვატორიასთან არსებულ ექსპერიმენტულ სკოლაში. ვოკალური კულტურის სფეროში, პროფ. მ. გაბუნია იყო პირუთვნელი ავტორიტეტი.

სიცოცხლის ბოლო წუთებამდე გამოჩენილ პედაგოგს არ დაუკარგავს მესამური და სამაგალითო აქტივობა, როგორც თავის კლასში, ასევე საზოგადო მოღვაწეობაში. იგი იყო დ. ანდღულაძის სახელობის ქართული ვოკალური კულტურის ფონდის გამგეობის შეუცვლელი წევრი და კონსულტანტი.

პროფესორ მედეა გაბუნიას სახელი და კვალი სამუდამოდ დარჩება ქართული ვოკალური კულტურის ისტორიაში.

**საქართველოს კულტურის სამინისტრო;**
**თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია;**
**სოლო სიმღერის კათედრა; დ. ანდღულაძის სახელობის ქართული ვოკალური კულტურის ფონდი.**

---

**1998 წლის 8 მაისს 13 სთ-ზე ქ. სამტრედიაში დანიშნულია სს „იმერეთის" (სამტრედიის ხის დამამუშავებელი კომბინატი) აქციონერთა კრება დღის წესრიგით:**

- სს 1997 წლის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგების შესახებ;
- საგადასახადო დავალებათა რესტრუქტურიზაციის შესახებ;
- 1997 წლის წლიური აუქციონის შედეგების შესახებ;
- მეთვალყურეთა საბჭოს არჩევნები;
- სს მართვის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ.

**მეთვალყურეთა საბჭო.**

---

**საქართველოს ხელოვანთა საერთაშორისო ფედერაციის კონფერენცია დანიშნულია 30 აპრილს, დღის 12 საათზე, კინოთეატრ «რუსთაველში»**

დღის წესრიგი:

1. ა) ცვლილებები წესდებაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსთან შესაბამისობაში მოსაყვანად;
   ბ) ფედერაციის სახელის შეცვლის საკითხი;
   გ) ფედერაციის მისამართის შეცვლის საკითხი.
2. ფედერაციის სამუშაო პროგრამის განხილვა და დამტკიცება.
3. უცხოელი ინვესტორების ინფორმაცია.
4. ფედერაციის გამგეობის არჩევნები.
5. საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის რიგგარეშე ყრილობის მოსამზადებელი საინიციატივო ჯგუფის ინფორმაცია.

**საქართველოს ხელოვანთა საერთაშორისო ფედერაციის საინფორმაციო განყოფილება.**

---

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მშენებელი

მამია ალექსანდრეს ძე
თოდრაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.
პანაშვიდი 19, 20 IV, 5 ს. გამოსვენება 21 IV, 3 ს. ნუცუბიძის ქ. 26.

---

მეტროპოლიტენის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის სამსახური ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კავშირგაბმულობის ღვაწლმოსილი მუშაკი

გოდერძი (ნუგზარ) გრიგოლის ძე ხუხუნაიშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს შპს „საქპრესა" სამძიმარს უცხადებს თანამშრომელს, საქპრესის მცხეთის ფილიალის უფროსს ვენერა რევაზიშვილს, დედის

ბაბულია რევაზიშვილის

გარდაცვალების გამო.

---



დედა ზაირა რატიანი, ბებია ეთერ ჩხეიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გიორგი გიორგის ძე
ჩხეიძე

გამოსვენება 18 IV, 4 ს. ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 75, VI კორპუსი, I სადარბაზო, ბინა 7.

---

შვილები მარიამი, ელისო, გრიგოლი, ძმა სოსო, რძალი დარეჯან არჯევანიძე, სიძეები თამაზ ბარბაქაძე, პაატა პეტრიაშვილი, ძმისწულები თინათინი, ზურაბი, დავითი, კონსტანტინე, შვილიშვილები ზურო, ვახტანგი, კახა, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზურაბ გრიგოლის ძე მაჯავარიანი

დაკრძალვა 21 IV, 2 ს. ხარაგაულის რაიონი, სოფ. იგორეთი.

---

## გახსენება

### ზურაბ გვაზავა

ამბობენ, ადამიანი ყველაფერს ეგუებაო. ჩვენთვის ძალიან ძნელია ამ აზრთან შერიგება. ალბათ, ვერასოდეს გაგვენელდება შენი იმქვეყნად წასვლით გამოწვეული სევდა და ნაღველი, ჩვენო ძვირფასო, ჩვენო კეთილო, მზრუნველო და მოსიყვარულე ადამიანო. ყველასათვის სამაგალითო მეუღლე, მამა, ბაბუა, მეგობარი და ნათესავი იყავი. ყველა შემოგვენატროდა, ჩვენ კი, თურმე როგორი განსაცდელი გველოდა – განსაცდელი უშენოდ დარჩენით გამოწვეული.

უშენოდ გატარებული ხუთი თვე ჯოჯოხეთად გვექცა. ამ ხნის განმავლობაში ერთი დღეც არ გასულა ისე, შენს საფლავს რომ არ მოვფერებოდით. შენი დამწუხრებული მეუღლე ყოველდღე წმინდა სანთელს გინთებს, შენთვის ლოცულობს. საფლავზე მიდივართ და გესაუბრებით, ჩვენს უსაზღვრო წუხილს გიზიარებთ, ჩვენს გასაჭირზე, პრობლემებზე გესაუბრებით, მაგრამ ვაი, რომ შენებურად ველარ გვამხნევებ, შენებურ ანალიზიან რჩევებს ველარ გვაძლევ. გვიჭირს, ძალიან გვიჭირს უშენოდ.

მარტო შვილები კი არა, ყველა დაგვაობლე, – მეუღლეც, შვილიშვილებიც, შენი დიდი სამეგობროც და სანათესაოც. მაინც როგორი იმედიანი და საიმედო იყავი...

ხუთი შვილიშვილი გიხაროდა, ხუთივეს ეთაყვანებოდი. მათს სახელობაზე ხუთი პაწაწინა ოქროს ვარსკვლავი გააკეთებინე და მათ სიყვარულთან ერთად მკერდზე ატარებდი.

პატარები ხშირად გკითხულობენ. გაოცებულები არიან, ასე რომ იგვიანებ. სანამ ჭკუაში ჩავარდებიან და ყველაფერს მიხვდებიან, დაგელოდონ. ახლა შენი სიცოცხლე მათში და შენს შვილებში გრძელდება. გრძელდება იმათ ხსოვნაშიც, ვისთვისაც კაცობის ხატად დარჩი.

მშვიდად იძინე, შენს ოჯახს, ისევ შენი ხსოვნის შარავანდედი უსაზღვრებს, რომ შენმა მოდგმამ კვლავ ღირსეულად იცხოვროს.

ვიცით, ზეციდან დაგვყურებ, ნათელში გამყოფოს ღმერთმა ჩვენო საფიცარო ადამიანო.

ოჯახი.

---

### გოდერძი ხუხუნაიშვილი

ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ თბილისის მეტროპოლიტენის სპეციალისტთა რიგებს გამოაკლდა კავშირგაბმულობის გამორჩეული სპეციალისტი, თავისი საქმის დიდი ქომაგი, გულისხმიერი და მოსიყვარულე მეგობარი **გოდერძი (ნუგზარ) ხუხუნაიშვილი.**

დაიბადა 1938 წლის 26 მაისს. 1965 წლიდან – დღიდან მეტროპოლიტენის გახსნისა, სახელოვნად განვლო გზა ელექტრომონტიორიდან კავშირგაბმულობის უბნის უფროსამდე.

მეტროპოლიტენის ექსპლუატაციის, მისი ტექნიკური დონის ამაღლებისა და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებული იყო ღირსების მედლით.

დაუზარელი, მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი, უღალატო, ოჯახისა და მეგობარ-ამხანაგების ერთგული, დიდი სიყვარულით და ავტორიტეტით სარგებლობდა თანამშრომლებსა და ამხანაგებს შორის. მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ყველას გულში, ვისაც მასთან ოდესმე საქმიანი ან მეგობრული ურთიერთობა ჰქონია.

თბილისის მეტროპოლიტენი.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი – შპს „პრესა"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ ბოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბაში, ხოშარაულის 29.